

საქართველოს სემიოტიკის  
საზოგადოება

ს ე მ ი მ ტ ი კ ი ს ۹ ۳ ۴ ۳ ۰ ს  
ც ე ნ ტ რ ი



ცირა ბარბაქაძე

ტერმინი  
ლექსიკი

Semiotics  
of Poetry



გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი 2009

ნაშრომში გამოკვლეულია ქართული პოეტური ტექსტები კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში სემიოტიკური მეთოდოლოგიით. გამოკვლენილია უნივერსალური და ინდივიდუალური პოეტური კონცეპტები, რომლებიც საინტერესოა როგორც ქართული პოეტური ენობრივი სურათის შესაქმნელად, ასევე ინდივიდუალური პოეტური სამყაროს დასახატად.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და პუმანიტარული დარგის სპეციალისტებისათვის.

**სარგებაქციო კოლეგია:** გუჩა კვარაცხელია (მთავარი რედაქტორი), მიხეილ ქურდიანი, იზაბელა ქობალავა, მანანა კვაჭანტირაძე, ზაალ კიკვიძე, თამარ ბერეკაშვილი, თამარ ლომიძე, ქეთევან გენებაშვილი (პასუხისმგებელი ძალისათვის).

© ც. ბარბაქაძე 2009

**გამომცემლობა „ენივარსალი“, 2009**

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-742-7

## შ ე ს ა ვ ა ლ ო

ბოლო ათწლეულებში სამყაროს ენობრივი სურათების შესწავლისაკენ შემობრუნება განპირობებულია მრავალი სამეცნიერო დარგის (ფილოსოფია, ფიქტოლოგია, ეთნოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, კულტუროლოგია...) ღრმა ინტერესთა თანხვდომით.

სამყაროში, მის ფრაგმენტებსა და მოვლენებში, ამგვარი წევდომის ერთ-ერთი საშუალება არის ენა. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს კონცეპტუალიზაციის განსაზღვრულ მოდელს. „ჩემი სამყაროს საზღვრებს განსაზღვრავს ჩემი ენის საზღვრები“, – წერს ლუდვიგ ვიტგენშტაინი თავის ცნობილ „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“. სინამდვილის კონცეპტუალიზაცია არის მსოფლალქმის უნივერსალური საშუალება, თუმცა თითოეული ენობრივი კოლექტივისათვის ის სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. სხვადასხვა ენის მატარებლები სამყაროს რამდენადმე განსხვავებულად „ხედავენ“, ყოველი ენა „ხატავს“ თავის სურათს. კონცეპტების სფეროში შემოდის ადამიანიც, მაგრამ არა როგორც ბუნების ფენომენი, არამედ ადამიანი, როგორც კულტურის, როგორც სემიოტიკური ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ფენომენი. ადამიანში წევდომის, მის მენტალობაში გარკვევის, მისი ნაციონალურ-კულტურული წარმოდგენების გამოვლენის ერთადერთ საშუალებად გვევლინება მისი ენა. ენა (მეტყველება) ავლენს აგრეთვე კონ-

---

კრეტულ ადამიანს, მის რთულ შინაგან სამყაროს.

კვლევის ამგვარი მიმართულება ახალია ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, როგორც თავისი კომპლექსური მიდგომით კვლევის ობიექტისადმი, ასევე თავისი მიზანდასახულობით.

სამყაროს ენობრივი სურათების კვლევას საფუძვლად უდევს ჰუმბოლდტის ნაშრომები და მისი სწავლება სიტყვის შინაგან ფორმაზე, მიუღერის კულტურულ-ფილოლოგიური შტუდიები, ნეოჰუმბოლდდიანელების თეორია, ვაის-გერბერის ნაშრომები (მანვე შემოიტანა ტერმინი – სამყაროს ენობრივი სურათი, რომელიც გამოიყენა თავის პროგრამულ მონოგრაფიაში: „მშობლიური ენა და სულის ფორმირება“), სეპირ-უორფის ლინგვისტური თეორია და სხვა. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ანა ვეუბიცკას შრომები.

კონცეპტის კვლევა მნიშვნელოვანია სამყაროს ენობრივი სურათების შექმნისა და შემცნების პროცესში. ახალი ცოდნის პარადიგმის კონტექსტში კონცეპტი განიხილება, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი სააზროვნო მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მიმართებას სინამდვილესთან. სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო ჩვენთვის კონცეპტის მეტაფორული გააზრების რეპრეზენტაციული ვარიანტები ენობრივი ცნობიერების სტრუქტურებში და, ამ შემთხვევაში, ქართული პოეტური დისკურსის მასალების მიხედვით.

## ნიშნის პრობლემა სემიოტიკაში

„ნიშნის ისტორია – ეს მისი  
„გაცნობიერების“ ისტორიაა.“  
*როლან ბარტი*

სემიოტიკა, როგორც მეცნიერება (შეიძლება ითქვას, ერთგვარი მეტამეცნიერება) XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. მისი შექმნის იდეა ერთდროულად რამდენიმე სწავლულს გაუჩნდა. სემიოტიკის ფუძემდებლად პირსი ითვლება, რომლის იდეები შემდგომში მორისმა განავითარა, ხოლო სოსიურმა ჩამოაყალიბა სემიოლოგის საფუძვლები „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“.

XX საუკუნეში სემიოტიკა განვითარდა სხვადასხვა მიმართულებით. ამერიკულ სემიოტიკაში შესწავლის ობიექტი იყო სხვადახსვა არავერბალური სიმბოლური სისტემები, ევროპა კი გაჰყვა სოსიურის ტრადიციას და სემიოტიკა ძირითადად განავითარეს ლინგვისტებმა: იელმსლევმა, კარცევსკიმ, იაკობსონმა; ლიტერატურათმცოდნებმა: პროპმა, ტინიანოვმა, ეი-ხენბაუმმა... უფრო მოგვიანებით, სტრუქტურუ-

---

ლი მეთოდები სოციალური და კულტურული  
მოვლენების ანალიზისას გამოიყენეს ფრანგმა  
და იტალიურმა სტრუქტურალისტებმა: ბარტმა,  
გრეიმასმა, ლევი—სტროსმა, უმბერტო ეკომ...

რატომ გახდა საჭირო სემიოტიკის ჩამოყა-  
ლიბება?

სემიოტიკის შესწავლის საგანია ნიშანი და  
ნიშანთა სისტემები. როდესაც კონკრეტული  
მეცნიერება აღწერს ნიშანს (ლინგვისტი, ფილო-  
ქოლოგი, ლოგიკოსი, კიბერნეტიკოსი, ლიტერა-  
ტურათმცოდნე...), ასეთ შემთხვევაში, მეცნიე-  
რები იფარვლებიან ნიშნის განსაზღვრის დროს  
კონკრეტული მეცნიერების მასალით, რის გა-  
მოც ნიშნის განსაზღვრა არაზუსტი და არასაკ-  
მარისაა. სემიოტიკის კვლევის მიზანია — სხვა-  
დასხვა მეცნიერების გაერთიანებით გამოიმუშა-  
ოს ნიშნის შედარებით ზუსტი განსაზღვრა და  
დაადგინოს ის კანონები, რომლებითაც ნიშნები  
იმართებიან.

სემიოტიკა ახალი დროის მეცნიერებაა,  
რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ნიშნური  
სისტემების შექმნის, აგებისა და ფუნქციონირე-  
ბის კანონებს. იგი თავისი კვლევის ობიექტს  
პოულობს ყველგან: ენაში, მათემატიკაში, ლი-  
ტერატურაში, არქიტექტურაში, ქვეცნობიერ  
პროცესებში, მითში, რიტუალში, ცხოველთა  
და მცენარეთა სამყაროში და სხვაგან.

ფუკო წერს იმის შესახებ, რომ თანამედ-  
როვე (პოსტმოდერნისტულ) ეპოქაში ფორმირ-  
დება აზროვნების ახალი სტილი, ახალი კულ-  
ტურა. ნიშანდობლივია, რომ ბარტი სემიოტი-  
კას განიხილავს თანამედროვე ფილოსოფიაში

---

პოსტმოდერნისტული პროექტის რეალიზაციის  
საშუალებად.

სემიოტიკის ძირითადი ტერმინი – ნიშანი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულად განისაზღვრებოდა. არისტოტელესთან ნიშანი აღნიშნავს არა მარტო ნიშანს, არამედ – სიმბოლისაც, ხოლო სიტყვები აზრის პირობით ნიშნებად არის მიჩნეული. პირსის მიხედვით, ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა უნივერსალური შუამავალი ადამიანურ გონიერა და სამყაროს შორის. აღსანიშნთან დამოკიდებულების მიხედვით, პირსი გამოყოფდა: იკონურ ნიშნებს, ინდექსურ ნიშნებს და სიმბოლურ ნიშნებს.

პირსის სემიოტიკა განავითარა მორისმა. მან სემიოტიკის ერთ-ერთი მთავარი ტერმინი „სემიოზისი“ განმარტა, როგორც „პროცესი, რომელშიც რაღაც ფუნქციონირებს, როგორც ნიშანი“. მორისმა გამოყო სემიოზისის სამი განზომილება: ს ე მ ა ნ ჭ ი კ ა , რომელიც იკვლევს ნიშნის დამოკიდებულებას თავის ობიექტთან; ს ი ნ ჭ ა ქ ჭ ი კ ა – ნიშნების ერთმანეთთან დამოკიდებულებას შეისწავლის და პრაგმატიკა, რომელიც იკვლევს დამოკიდებულებას ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის.

სოსიური განიხილავდა ნიშანს, როგორც ბილატერალურს (ორმხრივი), როგორც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობას, რომელსაც არა აქვს თავისთავად მნიშვნელობა და მხოლოდ სისტემის სხვა ელემენტებით განისაზღვრება. სოსიურს მიზანშეწონილად არ მი-

---

აჩნდა ნიშნის სინონიმად სიმბოლოს გამოყენება, რადგან ნიშანი პირობითია, ხოლო სიმბოლო არ შეიძლება ყოფილიყო ბოლომდე პირობითი. ბენვენისტმა შემდგომში დააზუსტა, რომ პირობითია ნიშნის დამოკიდებულება რეალობასთან და არა ნიშნის კომპონენტებს შორის დამოკიდებულება. ნიშნები ქმნიან ენას, რომელიც გამოდის ყველა სხვა სისტემის ინტერპრეტატორად (ბენვენისტი).

კარცევსკიმ განავითარა ნიშნის იდეა და შემოიტანა ასიმეტრიული დუალიზმის გაგება (აღმნიშვნელი და აღსანიშნი მხოლოდ წამიერად უკავშირდებიან ერთმანეთს).

სხვადასხვა სკოლისა და ავტორის მიერ ნიშნისა და სიმბოლოს განსხვავებულმა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, სინონიმურმა განსაზღვრებებმა ამ ტერმინების აღრევა გამოიწვია. პირსმა ნიშნის განსაკუთრებული სახე აღნიშნა სიმბოლოთი და ტერმინად გამოიყენა. ამ ფაქტმა გამოიწვია უხერხული ომონიმია. რამდენადაც ზოგიერთ ევროპულ ტრადიციაში შესაბამისი სიტყვა აღინიშნებოდა საერთო მნიშვნელობით – ნიშანი.

ფრანგული ტრადიციის გათვალისწინებით, მალამბერგმა შემოგვთავაზა განვასხვაოთ სემიოტიკა, რომელიც შეისწავლის არაენობრივ ნიშნებს, მეცნიერებისაგან, რომელიც ენის სიმბოლოებს შეისწავლის.

კასირერი „სიმბოლურ ფორმებს“ მაკუთვნებდა ენას, მითსა და ხელოვნებას და სიმბოლურს და სემიოტიკურს სინონიმებად მიიჩნევდა. მსგავსი ტერმინების მნიშვნელობა რუსულ-

---

ში დაეფუძნა დასავლურ ენებს, ხოლო მოგვიანებით, რუსული სიმბოლიზმის მიერ შემოტანილ ტერმინებს. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნიშანი და სიმბოლო უბრალოდ, სინონიმებია.

ნიშნის საინტერესო ინტერპრეტაცია წარმოადგინა როლან ბარტმა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ნიშანი გულისხმობს სამი ტიპის დამოკიდებულებას. უპირველესად, შინაგანი დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს და ორი გარეგანი დამოკიდებულება: პირველი ვირტუალურია, იგი მიაკუთვნებს ნიშანს სხვა ნიშანთა განსაზღვრულ სისტემას, მეორე დამოკიდებულება აქტუალურია, ის აერთიანებს ნიშანს გამონათქვამის სხვა ნიშნებთან. ამ დამოკიდებულებების მიხედვით, იგი გამოყოფს ნიშნის სამ განზომილებას: სიმბოლურს, პარადიგმატულს და სინტაგმატურს.

ბარტის აზრით, ტერმინთა აღრევას იწვევს ის ფაქტი, რომ თითოეული მკვლევარი, თითოეული სკოლა ცდილობს თავისი ანალიზი დააფუქმოს ნიშნის მხოლოდ ერთ რომელიმე განზომილებაზე და ტერმინების ამოსავალიც ეს დამოკიდებულებაა.

ნიშნისა და სიმბოლოს სხვადასხვა განსაზღვრებების შეჯერების საფუძველზე ჩვენ უნდა ვაღიაროთ სემიოტიკის ტერმინთა იერარქიაში ნიშანი, როგორც ძითითადი ტერმინი, რომლის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სიმბოლოსი. სიმბოლო ნიშნის სახეა, რომელსაც თავისი მახასიათებლები აქვს და მხო-

---

ლოდ ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნიშნის სინონიმი.

მესამე ათასწლეულში მეცნიერება თავისი განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. შეიცვალა სამყარო და ის ინფორმაციული ველი, რომელიც ამ სამყაროს აკრავს. შესაბამისად, ხდება მეცნიერების გადაწყობა ახალ მეთოდოლოგიებზე, რომელიც უკეთ ახსნიან სამყაროს და ადამიანს. სწორედ ასეთი მეცნიერებაა სემიოტიკა.

სემიოლოგები ღერძისიკონებს „მნიშვნელობათა სასაფლაოს“ უწოდებენ. სემიოტიკას არ აინტერესებს სიტყვის მყარი (სალექსიკონი) მნიშვნელობა. იგი ორიენტირებულია არა იმდენად ნიშნის დენოტატიურ, რამდენადაც კონტაკიურ მნიშვნელობაზე, ანუ იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც სიტყვა იძენს ტექსტში (კონტექსტში). სემიოზისი პროცესი პრაქტიკულად უსასრულოა, რადგან განსხვავებულია ის კონტექსტები, რომლებშიც ნიშანი ფუნქციონირებს. უმბერტო ეკოს აზრით, ნიშნის არსი იხსნება შემოუსაზღვრავ სემიოზისში, რაც იმაში გამოიხატება, რომ მნიშვნელობა არასდროს არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას, რამდენადაც ნიშანთა სამყარო კომუნიკაციის პროცესში მუდმივ მოძრაობაშია.

სემიოტიკური გაგებით, ნიშანი, ამავე დროს, არის სიმპტომი (მედიცინაში სიმპტომი განიმარტება, როგორც რაიმე დაავადების დამახასიათებელი ნიშანი), რამდენადაც მისი ახსნა არის გარკვეულ აზრზე მინიშნება, ანუ, სემიოტიკური ნიშანი ნიშანი—მინიშნებაა ერთსა და

---

იმავე დროს. ამგვარი გაგება დევს ყველაზე უფრო პრიმიტიულ ნიშნებში. მაგალითად, მწვანე ფერი გადასასვლელზე არა მხოლოდ მწვანე ფერია, არამედ მინიშნება: მოძრაობა ნებადართულია!

არსებობს უფრო რთული აგებულების ნიშნები, როცა მკვლევარი თავად ახდენს კოდების მეშვეობით ახსნას, ამგვარი ინტერპრეტაციები ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული, რადგან არსებობს სუბიექტური გააზრებების დიდი აღნათობა.

დღეისათვის სემიოტიკა წარმოადგენს საკმაოდ განვითარებულ თეორიას, რომლის მეთოდები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ადამიანის შემოქმედების სრულიად განსხვავებული სფეროები. არსებობს ლიტერატურის სემიოტიკა (ბარტი, დერიდა, რუსული ფორმალისტური სკოლა...), პოლიტიკური სემიოტიკა (ბარტი, ჯგუფი „ტელ-კელ“...), მასობრივი კომუნიკაციების სემიოტიკა (გრეიმასი...), ხელოვნების სემიოტიკა (კრისტევა, ეკო, ლოტმანი...), კინოსემიოტიკა (მეტცი, პაზოლინი), თეატრის სემიოტიკა (პავი), ზოოსემიოტიკა (სებეოკი), ფსიქოანალიტიკური და პედაგოგიური სემიოტიკა (ლაკანი, პიაუე...) და სხვა.

სემიოტიკის თვალთახედვით, სამყარო შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ისეთი ნიშანთა სისტემა, რომელიც თავის თავში უამრავ განსხვავებულ ქვესისტემას მოიცავს, თანაც ამ მიკროსისტემების „ენა“ სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შეიძლება თუ არა, არსებობდეს განსხვავებულ სისტემათა „საერთო

---

ენა“? რით განსხვავდება და რა აქვს საერთო ერთი სისტემის ნიშანს მეორე სისტემის ნიშანთან? რატომ მოუყარა თავი სემიოტიკამ ყველა განსხვავებულ ნიშანს? არსებობს თუ არა უნივერსალური ნიშნები? რა პრინციპით უნდა აიგოს ახალი „ბაბილონის გოდოლი“ ისე, რომ არ დაინგრეს?

რას ნიშნავს ბარტის სიტყვები: „ნიშნის ისტორია – მისი გაცნობიერების ისტორია“? ეს არის მეცნიერების დამოკიდებულება ნიშნის მიმართ მისი ყველაზე ზედაპირული შესწავლიდან სიღრმისეული შესწავლისკენ. როგორც დავინახეთ, ბარტი სამ შრეს გამოყოფს ნიშანში. შესაძლოა, მომავალში მეცნიერებმა სხვა განზომილებებიც აღმოაჩინონ. თუ ადამიანსაც განვიხილავთ, როგორც ნიშან-სიმბოლოს, მისი შეცნობა-ამოცნობის პროცესიც ხომ მრავალგანზომილებიანია და არასოდეს ბოლომდე ამოხსნილი. საინტერესო პარადოქსია, რომ მეცნიერი სწავლობს ადამიანს (ანუ საკუთარ თავს), როგორც ნიშან-სიმბოლოს.

## სემიოტიკა და პოეზია

კითხვაზე: რა არის სემიოტიკა? ტრადიციული პასუხი, რომ ეს არის მეცნიერება ნიშნებზე და ნიშანთა სისტემებზე, — ახალს აღარაფერს გვეუბნება, რადგან „ნიშნები“, როგორც ასეთი, სამყაროს გაჩენიდან არსებობს და იარსებებს ყოველთვის, ვიდრე სიცოცხლე იქნება დედამიწაზე, მათი ახსნის მცდელობაც მუდამ ექნება აღამიანს.

„პირველად იყო სიტყვა...“, ლოგოსი, და მერე დანაწევრდა სამყარო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, აზრი იქცა მატერიად, ფუნქცია შეიძინეს საგნებმა, ხოლო თავად აზრი კი გახდა დაფარული, შეფარული, გადაფარული... ანუ შეინიღბა სხვადასხვა შინაარსით. რა უნდა ქნას მკვლევარმა, რომელიც არ ყოფილა ქმნადობის მოწმე? დაიწყო სვლა პირიქით — მატერიიდან (ანუ საგნის ფუნქციიდან, დანიშნულებიდან, შინაარსიდან) იდეისკენ, აზრის ამოცნობისკენ. იქ, სადაც ჩნდება მოთხოვნა, რომ გაიშიფროს ნიშანი, ჩნდება და აქტიურდება სემიოტიკა, როგორც ერთგვარი უნივერსალური მეტამეცნიერება ნიშანთა შესახებ.

სამყარო იქცა არა მხოლოდ ტექსტად, არამედ ძალიან რთულ ტექსტად, საჭირო გახდა ამ ტექსტის „წაკითხვა“, ინტერპრეტაცია. აქ კი საშიშროება ყოველთვის იარსებებს, რადგან „გაგება“ არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. არ არსებობს ერთი ანბანი, რომლითაც ყველა ტექსტს წავიკითხავდით, რადგან ყველაფერს

---

თავისი „ენა“ აქვს, ყველა სტრუქტურა განსაკუთრებული წარმონაქმნია... ცხოველებსა და ფრინველებს წარმოდგენაც არა აქვთ სემიოტიკაზე, მაგრამ მშვენივრად ურთიერთობენ და აგებინებენ ერთმანეთს. ადამიანს კი უფრო მეტი უნდა, ვიდრე ჩვეულებრივი გაგებინებაა, მას სურს, გააღწიოს საგანთა მიღმა და ამოიცნოს მათი არსებობის აზრი, გაარკვიოს სამყარო და საკუთარი თავი ამ სამყაროში.

სემიოტიკა სწორედ ამ პერსპექტივას გვთავაზობს... ის ეძებს კანონზომიერებებს ნიშნურ სისტემებში, იკვლევს ნიშნის ბუნებას და ამ ყველაფერს ერთ ხედვაში აერთიანებს იმის გამო, რომ ნიშანი ყველგან პირობითია, სწორედ ამიტომ სოსიური სემიოლოგიის საგნად თვლილა სისტემათა ერთობლიობას, დაფუძნებულს ნიშნის პირობითობაზე. იმის მიუხედავად, რომ ნიშანი მოტივირებულია (რომლის კვალი ზოგჯერ ჩანს და ზოგჯერ – არა ნიშანში), ეს ხელს არ უშლის მას, რომ მოქმედებისას იყოს პირობითი. მაგალითად: როცა ვამბობ, რომ – ვღელავ... მე არ ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა ენობრივი მეტაფორაა და ჩემს ცნობიერებაში ამ სიტყვის გამოყენებისას არ ჩნდება „ზღვის ღელვა“. მხატვრულ მეტაფორებში უფრო რთულადაა საქმე. ამ შემთხვევაში ენა მასალაა „ახალი ენის“ ასაშენებლად. როგორ და რატომ იქმნება და იბადება მეტაფორა? ამაზე პასუხი პოეტებსაც არა აქვთ, ალბათ გამოუქმედის გამოსათქმელად, განცდათა ზღვარზე... ერთხელ გალაკტიონს გადაეკიდნენ თურმე: რას გულისხმობთ ამა და ამ მეტაფორაშიო? პოე-

---

ტი კი გულწრფელად ჩიოდა: ისე მეკითხებიან, თითქოს ვიცოდე და არ ვეუბნებოდეო.

რას ნიშნავს: „ივლისისფერი ყინვის თასები”?... რა შინაარსია ამ მეტაფორაში და პოეტის რომელი განცდის ნიშანია? რთულია ინდივიდუალური სახეების კვლევა, მაგრამ იმგვარი სახეებიც არსებობს, უნივერსალურ, პოეტურ სახე—სიმბოლოებად რომ შეიძლება ჩაითვალოს...

## სემიოზისი პოეზიაში

სემიოზისის იდეა გამოხატავს ნიშანსა და გარესამყაროს შორის დამოკიდებულებას; ეს არის ნიშნის ინტერპრეტაციის დინამიკური პროცესი. სემიოზისი განსაკუთრებით საინტერესო მოვლენაა პოეტურ მეტყველებაში, რადგან პოეზია ენის შემოქმედებითი ბუნების გამოვლენის ერთგვარი სცენაა, სადაც სხვადასხვა განზომილების ნიშნები მუდმივ მოძრაობაში არიან. პოეტურ ტექსტში ჰარმონიას ქმნის რიტმის, რითმის, ემოციის, ბგერწერის, ტროპების... ფეიერვერკი. სწორედ მათი ჰარმონიული შეხამებით გამოიხატება აზრი, რომელიც „ცოცხალია“ და ასე უშეუალოდ მოქმედებს მკითხველზე. ამგვარი ნიშნების შექმნაზე წერდა მალევიჩი: „ნიშნის შექმნა საიდუმლოა, ნიშანი კი – საიდუმლოს რეალური სახე“.

შემოქმედებითი მეტყველება მუდმივად გვთავაზობს ახალ, მოულოდნელ სახეებს... პოეზია ყველაზე უფრო ღრმად აღწევს ენის არსები, როცა შეგვიძლია გავიმეოროთ ჰარმონიული ცნობილი თქმა: არა ენა ჩვენში, არამედ ჩვენ–ენაში! ხოლო როცა ენა გამოდის სცენაზე და ის იწყებს „ლაპარაკს“, ამ დროს ცოცხლდება პოსტმოდერნისტული მეტაფორა „ავტორი მოკვდა“, პოეტი ხდება ღვთაებრივი აზრის გამტარი, მედიუმი... ეს არის ნამდვილი დიალოგი ადამიანურ და ღვთაებრივ ცნობიერებას შორის. სწორედ ამიტომ ხდება საჭირო, რომ აიხსნას ადამიანის მიერ შექმნილი... სხვა შემთხვევაში ყველაფერი ცხადი იქნებოდა, ანუ

---

ავტორს ყოველთვის გაცნობიერებული ექნებოდა მხატვრული სახეები და, შესაბამისად, აღარ იქნებოდა საჭირო კვლევა. ვასილ ფრიაუფი ამგვარი კომუნიკაციის შესახებ წერს: „ვინ აზროვნებს კომუნიკაციის პროცესში? კიდევ ერთი პარადოქსული პასუხი: აზროვნებს ვიღაც სხვა... არა ის, ვინც „დემონსტრირებული“ ურთიერთობის ფარულ თამაშშია“.

ეს „ჭიკუისმიღმური“ ენა ვერ ეგუება შტამპს და მუდმივად ნგრევა-შენების პროცესშია... რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვებს, რა თქმა უნდა, აქვთ ძირითადი, სალექსიკონო მნიშვნელობები (ამის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა კონტაციური მნიშვნელობების გაჩენა), მაგრამ ჩვეულებრივი მეტყველების კანონებისაგან განსხვავებით სრულიად სხვა განზომილების კანონებში არსებობენ. საბოლოოდ, მნიშვნელოვანია არა თავად ნიშანი, არამედ ის განცდა, რომელიც ნიშნის მეშვეობით მიღწევა, ანუ შეცნობის პროცესი. „საგანთა შეცნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი აღმნიშვნელი ნიშნები“ (წმინდა ავგუსტინე 1999:330).

პოეზიაში ნიშანია მთელი ლექსი... სხვა დანარჩენი: სინტაგმები, ფრაზები, ტროპები... უნდა განვიხილოთ მხოლოდ მთელი ლექსის აზრთან მიმართებით; ამისათვის კი აუცილებელია ჯერ სწორად გავშითვროთ ლექსის იდეა, აზრი. ამიტომ არის სახიფათო ლექსის ახსნა... აქ მოქმედებს სუბიექტურ ინტერპრეტაციათა მთელი ჯაჭვი. ამგვარი დამოკიდებულებაა გამოხატული მუხრან მაჭავარიანის შემდეგ ლექსში:

---

„სხვას რომ არ ესმის შენი ლექსი,  
შენ როგორც გესმის! –  
სისულელეა, –  
ამის გამო უკეთუ ბორგავ:  
სისულელეა, –  
ვინაიდან,  
არამცუ ლექსი,  
სიტყვაც კი ერთი  
ერთნაირად არ ესმის ორ კაცს.“

სინამდვილეში კი პოეტურ ტექსტში ყველაფერი მათემატიკურად ზუსტია... ლექსი მაკროკოსმოსია, რომელიც კოსმოსს, გარკვეულ წესრიგს იმეორებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ლექსი ერთგვარი ქაოსის გამოშატველია, ამ დროსაც კი ის არის „მოწესრიგებული ქაოსი“, ანუ ქაოსსაც თავისი კანონები აქვს და სწორედ ამ წესრიგში მოიაზრება უწესრიგობა. ყველა შემთხვევაში პოეზია მოწესრიგებული მეტყველებაა. საკვლევია, რა თქმა უნდა, ის, რომ არსებობს სრულიად განსხვავებული წესრიგის სისტემები. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერლიბრი ტრადიციულ ლექსთან მიმართებით მოუწესრიგებელი მეტყველებაა. უფრო ზუსტი იქნება თქმა: რომ არსებობს განსხვავებული წესრიგის სისტემები, რომლებსაც თავისი კანონები აქვს. ერთი ლექსის განსხვავებული აღქმაც იმაზე მეტყველებს, რომ პოეტური ტექსტი მრავალგანზომილებიანია და მკითხველი აღიქვამს არა განსხვავებულად, არამედ სხვადასვა განზომილებას.

## სემიოზისი და ავანგარდი

რას ნიშნავს პოეზიაში ნიშნის „განულება“? ვთქვათ, ლექსიკური სემანტიკის შემთხვევაში, როცა სიტყვა არ აღნიშნავს იმას, რასაც ლექსიკონებში. ლექსემის დესემანტიზაციის დროს იწყება მეტაფორიზაციის პროცესი, რადგან არ არსებობს ბუნებაში ნიშანი, რომელიც არაფერს არ აღნიშნავს. ლევი სტროსი თავის ცნობილ „ველურ გონებაში“ გვეუბდა: რომ წვრილმანი ნივთი, ხელოსნის ან მოყვარულის მიერ გამოგონებული საგანი, თავისთავად, ძიება და საგნისთვის აზრის ბოძებაა... მართალია, ეს მსჯელობა საგნებს შეეხება, მაგრამ აბსოლუტურად ვრცელდება სიტყვებზეც... პოეტიც ქმნის და იგონებს და ახალ აზრს სძენს სიტყვებს. საინტერესოა როლან ბარტის ერთი სტატია – „საგანთა სემანტიკა“, აქ რასაც ბარტი საგნებზე ამბობს, როგორც ნიშნებზე, შეგვიძლია გავავრცელოთ სიტყვებზეც, როგორც ნიშნებზე: „საგანი ემსახურება ადამიანს, რათა გავლენა მოახდინოს სამყაროზე, გარდაქმნას იგი, იყოს აქტიური, იგი არის მედიატორი ქმედებასა და ადამიანს შორის. შეიძლებოდა აქვე აღგვენიშნა, რომ არ არსებობს, ასე ვთქვათ, საგანი არაფრისთვის... პარადოქსი, რისი მინიშნებაც მსურს, ისაა, რომ საგნებს, საერთო ჯამში, ყოველთვის აქვთ ფუნქცია, უტილიტარულობა და გამოყენებითობა. ჩვენ გვჯერა, რომ მათ აქვთ წმინდადინისტურებული დანიშნულება, მაშინ, როცა სინამდვილეში სხვა დატვირთვაც აქვთ, სხვა რამესაც წარმოადგენენ: აზრს ატარებენ“.

---

მით უმეტეს, პოეზიაში არ არსებობს ზედ-მეტი სიტყვები, სიტყვები არაფრისთვის, მაშინაც კი, როცა ეს სიტყვები კარგავენ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევაში არ იარსებებდა ავანგარდისტული პოეზია. ავანგარდისტებმა მოახდინეს მხატვრული ნიშნის ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატებოდა ტრადიციული კოდების რღვევასა და ახლის შექმნაში. ავანგარდმა არა მარტო შეცვალა მხატვრული ნიშნის აგების წესები, არამედ თავად ნიშნის გაგებაც, მისი სტატუსი. „აღნიშნული“ ეძებს თავის “აღსანიშნს” (გრიგარი 2007:9). მხატვრული ნიშნის ამგვარი რადიკალური ტრანსფორმაცია მსოფლმხედველობის ღრმა ცვლილების შედეგი იყო.

მაშასადამე, პოეზიის ლაბირინთებში შესვლისას ჩვენ სრულიად განსხვავებულ გზებზე ვხვდებით და ვმოგზაურობთ და ზოგჯერ ამგვარი მოგზაურობის ხიბლი სწორედ ლაბირინთებში სემიოტიკური დაკარგვაა.

## პოეზიის ლაბირინთებში

„ენა გზების ლაბირინთია. ერთი  
მხრიდან მოდიხარ და აგნებ გზას;  
მეორე მხრიდან მოდიხარ იმავე  
ადგილას და – უკვე ვეღარ აგნებ“.  
**ლუდვიგ ვიტგენშტაინი**

პოეზია სულის ხარისხია, ხოლო პოეტი –  
მედიუმი, რომელიც გრძნობათა სამყაროს რიტ-  
მებს საგანთა ენაზე თარგმნის და ღვთაებრივი  
ჰანგებით ელაპარაკება ადამიანს. ზემოქმედება  
სწორედაც რომ ძალდაუტანებელია, ისეთი,  
პოლ ვალერი რომ აღწერს: „.... ყველა იცნობს  
ამ თავისებურ თრთოლვას, რომელიც იმ მდგო-  
მარეობას გვაგონებს, როცა გარკვეულ გარემო-  
ებათა წყალობით, ჩვენ ვგრძნობთ, რომ აღ-  
გზნებულნი, მონუსხულნი, მოჯადოებულნი  
ვართ. ეს მდგომარეობა არავითარ კონკრეტულ  
ობიექტზე არ არის დამოკიდებული. ის ბუნებ-  
რივად და თვითნებურად იღებს დასაბამს ჩვენი  
შინაგანი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გან-  
წყობილებისა და ჩვენი შემძვრელი გარემოებე-  
ბის თანახმიერებისაგან.“ (პოლ ვალერი

---

1994:71). ამიტომ არის, რომ შთაგონებული მსმენელი(მკითხველი) სიტყვას ვერ პოულობს იმ განცდის გამოსათქმელად, რომელსაც ჭეშმარიტი ხელოვნება ჰგვრის. პოეტის მიერ შექმნილი რეალობა ისე იპყრობს ადამიანს, რომ მისი ცნობიერება პულსირებს იმ განზომილებაში, რომელშიც პოეტი ლექსის შექმნისას იმყოფებოდა და საიდანაც სიტყვებითა და სიტყვათა უჩვეულო კავშირებით და კანონებით მოიტანა რაღაც სხვა, ყოველდღიური ცხოვრებისაგან განსხვავებული რიტმები. პოეზის კვლევა გულისხმობს „სიტყვით მართული მგრძნობელობის მთელი სფეროს კვლევას, ეს კვლევა შეიძლება ალალბედზე, ხელის ფათურით განხორციელდეს. ჩვეულებრივ, ასეც ხდება, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მის განხორციელებას, ერთხელაც იქნება, თავისი მეთოდი დაეძებნოს“ (პოლ ვალერი 1997:70), ხოლო თუ კრისტევას დავეთანხმებით, როდესაც ის სემანალიზზე(სემიოტიკური კონცეფცია, რომელიც კრისტევამ დაამუშავა, როგორც სოსიურის სემიოლოგიის ალტერნატივა და როგორც ფსიქოანალიტიკური იდეების „თარგმნის“ ფორმა ლინგვისტიკისა და სემიოტიკის ენაზე, კრისტევას არ აინტერესებს „მნიშვნელობა“, რომელიც სისტემაში აქვს ნიშანს, სემანალიზს თვლის იგი ერთგვარ რისკად და ექსპერიმენტად, რათა გამოავლინოს სხვადასხვა დისკურსში ნიშნის მნიშვნელობები) საუბრობს, მიუთითებს, რომ: კვლევის ობიექტისათვის იხსნება ახალი სივრცე, ეკრანი, რომელზეც პროეცირდება ტექსტის დაფარული სიღრმისეული

---

სტრუქტურა. ტექსტი არ არის ლინგვისტური ფენომენი, ის წარმოადგენს ენის შემოქმედების პროცესს. სემანალიზი უარს ამბობს სტრუქტურის აღწერის უცილებლობაზე და, სამაგიეროდ, ტექსტის ფენომენის კვლევას ტოვებს ლიას ნებისმიერი მნიშვნელობისათვის. შეიძლება თუ არა, სემიოტიკა გახდეს ის სარკმელი, რომელშიც პოეზიის კვლევა ახალ პეიზაჟებს წარმოშობს და საგანთა იმგვარ წყობას შემოგვთავაზებს, რომელთა „წაკითხვა“ ტექსტის მხატვრულობის კანონებს აღმოგვაჩენინებს?...ამაზე პასუხი მოვვიანებით გვექნება... სამყაროში ყველაფერი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნიშანი, ხოლო პოეზიაში ნებისმიერი ნიშანი—განსაკუთრებული ნიშანია, იმის ჩათვლით, რომ თავად პოეზი—მედიუმი, საკუთარი პიროვნებისაგან დამოუკიდებლად, არის სიმბოლო, რომელიც ძალიან ხშირად თავისი თავისაგან გაუცნობიერებელ მოვლენებზე გველაპარაკება. ამიტომ ამბობს პოეტი: მუშა მეწვია, შთაგონებული ვარ და ა.შ... მალევიჩი პოეტის შესახებ წერს: „ის, როგორც ფორმა, არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ლაპარაკობს ღმერთი ან ეშმაკი... პოეტის ხილული ფორმა არის ისეთივე ნიშანი, როგორც ბგერა, ნოტი... და მხოლოდ...“ (მალევიჩი 1998:525).

პოეტური ტექსტი ერთიანად ზემოქმედებს მკითხველზე და ძალიან ხშირად ზუსტად ვერ ამბობს მკვლევარი, კონკრეტულად რა მოქმედებს და რატომ? რა თქმა უნდა, სახეები და მეტაფორა, მაგრამ ხომ არსებობს უსახეებო პოეზიაც, ასეთ შემთხვევაში იაკობსონი იტ-

---

ყვის, რომ გრამატიკასაც აქვს თავისი პოეზია და არსებობს გრამატიკის ტროპულობაც. ამ ნიშნით განიხილავს იგი პუშკინის ცნობილ ლექს „მე თქვენ მიყვარდით...“. იქნებ არც ღირდეს პოეტური ტექსტის ამგვარი დანაწევრება, მაგრამ სადმე ხომ უნდა იყოს გასაღები?

პოეზიის შემთხვევაში ყველა დეტალს თავისი ღრმა სემიოტიკა აქვს – ბგერას, სიტყვას, რითმას, რიტმს, მეტრს, ფრაზას... ლექსი ისევე პულსირებს, როგორც ადამიანის გული და ის ან ძლიერია, ან სუსტი, ან რიტმული, ან არითმიული... პულსაციის სიხშირეც, თავის მხრივ, სხვაგან გვაგზავნის, სხვა დრო–სივრცისკენ, ან სულაც–უდროობისკენ და მარადი–ულობისკენ და საბოლოოდ, რამდენი რამ უნდა ავხსნათ იმისათვის, რომ დავადგინოთ ის კანონზომიერება, რომელიც ნამდვილი პოეზიის ნიშანი იქნება. ცოცხალი ენა მუდმივ ქმნადობაშია, არასდროს არ არის დასრულებული პროცესი, მით უმეტეს, ეს ითქმის პოეტურ ენაზე, რომელიც ქმნის განსაკუთრებულ სემიოტიკურ სისტემას, რომლის ანბანი და წაკითხვის მეთოდები სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივი, პრაქტიკული ენისაგან.

## „შინ“ და „გარეთ“ პოეტურ დისკურსში

პოეტისათვის მზე ყოველთვის მზე არ არის,  
მთვარე—მთვარე და ვარსკვლავები—ვარსკვლავები...  
**ძალევიჩი**

სიტყვა—ყოფიერების შემოქმედება—ჩვენში  
განაგრძობს ცხოვრებას, როგორც მეტაფორა.  
**ანდრეი ბელი**

„დიდი ამბები ხდებოდა გარეთ, ერთი ამინ-დი ცვლიდა მეორეს...“ – წერს ოთარ ჭილაძე (ხაზგასმა ჩემია—ც.პ.), ეს სტრიქონები „შინა-გან ადამიანს“ ეკუთვნის, რომელიც თითქოს ავითარებს (ან ადასტურებს) ბახტინის თემას: „ადამიანი სარკესთან“. „გარეთ“ ყოველთვის რაღაც ხდება, ისევე, როგორც „შიგნით“, საგ-ნები და მოვლენები პოეტისათვის იქცევიან განცდათა მეტაფორიზაციის ობიექტებად, სიმ-ბოლიზდებიან და სიმბოლოთა შინაარსს ისევ მხოლოდ პოეტის შემოქმედებიდან თუ ავხსნით. სამყარო გადაეწყობა შემოქმედის კალმით და ენა იქცევა სულის მოძრაობად, რომელიც თა-ვისებურ კარდიოგრამას ქმნის. მკვლევრის

---

ფუნქცია სულის ამ კარდიოგრამის სწორად გაშეფრაა. ზოგჯერ პოეტურ ტექსტში ზედა-პირზეა გასაღები, ხოლო ზოგჯერ—ტექსტში უფრო ღრმა მოგზაურობაა საჭირო იმისათვის, რომ რაღაც ახსნა. ტერენტი გრანელის პოეზია გახდა გასაღები ერთი ძალიან საინტერესო მოვლენისა, რომელიც ყოველგვარი ლირიკი-სათვის არის დამახასიათებელი. რას გულის-ხმობს პოეტი, როცა ის ბუნების მოვლენებს აღწერს? რომელი და როგორი განცდები მეტა-ფორიზდება ქარში, წვიმაში, თოვლში...? პოეტი პარალელურად აღწერს ლექსში „შინა“ (ანუ რა ხდება პოეტის სულში) და „გარე“ (რა ხდება ბუნებაში) მოვლენებს და ამით თითქოს პირველყოფილ სახელდებას ახორციელებს და და სულს აერთებს ხორცონ (ანუ სიტყვას-თან). საბოლოოდ ხომ სიტყვა სულის მოძრაობის გამოშხატველია, მით უმეტეს, პოეტური სიტყვა.

„დღეთა სიმძიმე ჩემს სულს აჩნია  
და ვხედავ ფოთლებს, ქარში დაფენილს.“

დღეებით დამძიმებული პოეტი ქარში დაფე-ნილ ფოთლებთან იგივდება. ასეა უმრავლესად ტერენტის შემოქმედებაში, შინაგანი სულიერი განცდა ბუნებაში იხსნება და საინტერესო ის არის, რომ „შინა“ და „გარე“ მონაცელებით მიჰყვება სტრიქონებს.

„დამაგვიანდა, მორჩა, არ მოვალ,  
ჩანს გულის ლანდი და რაღაც მეტი.

---

ჰა, შემოღომის ყრუ საღამოა,  
დაღამდა ნელა, წვიმს განუწყვეტლივ...“  
ან:

„გული მიწუხს და სულია ვრცელი,  
ქარისაგან იღუპება ტოტი.“

ანდა:

„მე რა ვქნა, სიკვდილს თუ ვერ ავცდები,  
ქარმა ხეს ტოტი გადაუზნიქა.“

ისეც ხდება, რომ პოეტი კარგავს აღამიანის  
ფორმას და უკვე ბუნებაში კი არ ეძებს გან-  
ცდათა ანალოგიას, არამედ თავად ხდება ბუნე-  
ბის ნაწილი:

„მოდის ზამთარი, თოვლი და ყინვა,  
თოვლის და ყინვის ცისფერი წვეთი,  
სნეული სახე—სიკვდილის წინ ვარ,  
სიკვდილის წინ ვარ მე, როგორც გედი.  
დავდივარ დამით და მე ვარ თოვლი,  
და მე ვარ ნისლი, და მე ვარ წვიმა,  
და სულს ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით,  
ისე ვარ, როგორც ვიყავი წინათ“.

ტერენტი გრანელი ისევ თავად ადატურებს  
შინაგანი განცდებისა და ბუნების მოვლენების  
ანალოგიას: „აქაც გაისმის ქარის ვოდება, ქა-  
რია ვარეთ, ქარია სულში“ (ხაზგასმა ჩემია —  
ც.ბ.). და როცა იგი წერს, რომ: „ვუცდი სხვა  
ამინდს...“, ბუნებრივია, ის არ გულისხმობს მე-  
ტეოროლოგიურ ცვლილებას, ხოლო როცა ში-  
ნაგანი განწყობა შეეცვლება, ბუნებაც გადაეწ-  
ყობა და ბუნების მოვლენები ერთ შემთხვევაში

---

რომ სევდა-წუხილის გამომხატველი იყო, სი-  
ხარულსა და აღფრთოვანებასაც დაიტევს. შინა-  
განი ადამიანი მთავარია ასეთ შემთხვევაში,  
ხოლო სახელდება — პირობითი. თუმცა გარ-  
კვეული კანონზომიერება მაინც იქმნება. ტერენ-  
ტი, ბუნების მოვლენებს თუ შევადარებთ, მაინც  
„ქარის პოეტია“ და „უფრო მეტად მწუხარების,  
სევდისა და ტკივილის მატარებელი.

„ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე“;  
„დიდი ხანია, რომ ვცხოვრობ ქარში“;  
„ჩემი ცხოვრება ქარიშხალია“;  
„ვიცი, ქარიშხალს ვერ დავეწევი...“;  
„დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მისდევს...“  
და სხვა.

ტერენტი გრანელის პოეზიაში გამოვლენი-  
ლი ბუნებისა და შინაგანი ადამიანის ანალოგი-  
ები შეიძლება დაგვეხმაროს სხვა პოეტთა წა-  
კითხვისას, რომელთა შემოქმედებაში ასე ზედა-  
პირზე გამოტანილი არ არის ბუნებისა და სუ-  
ლის კავშირი, მაგრამ უდავოდ იგულისხმება.

## მე-ს სემიოტიკა

ენა სამყაროს მოდელია. თითოეული ადამიანის მეტყველება კი – მიკრომოდელი. პაიდეგერმა ადამიანი ასე განსაზღვრა: „მე ვარ ის, რასაც ვლაპარაკობ.“ უფრო ადრე რუსთაველმა ეს აზრი ასე ჩამოაყალიბა: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო.“

ენა ცხოვრობს ადამიანში. ეს აზრი პარადოქსულადაც შეიძლება გამოითქვას: ადამიანი ენაში ცხოვრობს! ბარტი მალარმეს გავლენით იტყვის, რომ „ლაპარაკობს არა ავტორი, არა-მედ ენა, როგორც ასეთი.“ „ეგოცენტრული სიტყვები გვთავაზობენ იმგვარ მოდელს, რომელშიც მეტყველების ცენტრში იმყოფება თავად მოლაპარაკე“ (ივანოვი 1999:560).

ეგოცენტრული სიტყვების, შიფტერების სემანტიკისა და, შესაბამისად, მათი კომუნიკაციური სტატუსის დადგენა მოითხოვს ამ სიტყვათა რელიგიური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ლიტერატურული ასპექტების გათვალისწინებას.

მე და შენ შიფტერებს არა აქვთ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სემანტიკა. ჩვენ მხოლოდ მათი გრამატიკული მნიშვნელობები ვიცით ზუსტად. პირველი პირია

---

მოუბარი უბნობის მომენტში და მეორე პირი, ვისაც ეს მოუბარი მიმართავს.

გამონათქვამი, რომელიც შეიცავს მე-ს, ენის იმგვარ მოდუსს მიეკუთვნება, რომელსაც ჩარლზ მორისმა უწოდა პრაგმატიკული და რომელიც ენას განიხილავს მოლაპარაკეს-თან ერთად(ბენგანისტი 1974:286). რა თქმა უნდა, მოლაპარაკეს „მარტო ვერ დავტოვებთ“, რადგან იგი თავისთავად გულისხმობს მეორე პირს, ვისაც მოსაუბრე მიმართავს.

მიმართვის ობიექტი შეიძლება იყოს რეალური და შესაძლოა იყოს წარმოსახვითი, მაგრამ ყოველთვის არსებობს, თუნდაც აბსტრაქტულად. შესაძლოა, ადამიანი თავის მეორე ძე-ს ესაუბრებოდეს, ამ შემთხვევაში მეორე მეიქცევა მეორე პირად შენ-ად.

ბახტინმა ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური მიდგომის საფუძველზე რომ შეისწავლა ეს საკითხი, დაასკვნა: ეს მოვლენა აზროვნების დიალოგურ სტილთან არის დაკავშირებულიო. ყოველგვარი მეტყველება – ზეპირი თუ წერილობითი, რა თქმა უნდა, აზროვნებით პროცესებთანაა დაკავშირებული და ამდენად, თუ ვიკვლევთ ენა-მეტყველებას, ვიკვლევთ მეტყველების სტილსაც.

მე და შენ შიფტერების რელიგიური სემანტიკა საინტერესოდ წარმოჩნდა ბიბლიის ტექსტში, საღაც პირველი პირის ნაცვალსახელით ძე აღინიშნება უფალი, ხოლო მეორე პირით ადამიანი. ღმერთი ესაუბრება ადამიანს, ენის უმარტივესი სიტყვებით ყალიბდება ღვთაებრივი აზრი. მე ნაცვალსახელის ონტოლოგიური სა-

---

ფუმველი, ჩვენი აზრით, კარგად იხსნება იოანეს სახარების VIII თავში, სადაც იოანე ამბობს: „მე ვარ სინათლე ამ ქვეყნიერებისა: მამა და ძე.“ ღმერთი ელაპარაკება ადამიანს ხან-პირდაპირ, ხანაც-იესოს მეშვეობით. იესო ქრისტეს სიტყვაც უფლის სიტყვაა, როცა იგი მოციქულებს მიავლენს, ეტყვის: „ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში.“ უფალი ლაპარაკობს იესოში, იესო-მოციქულებში, შესაბამისად, უფალი ლაპარაკობს მოციქულებში. „ვინც თქვენ გლებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომვლინებელს ღებულობს.“

მე-ს ფილოსოფიური სემანტიკა შეიძლება განისაზღვროს მისი ტრანსცენდენტურობით. ადამიანი შეიცნობს თავის თავს მხოლოდ II პირის მეშვეობით. „მე ვარსებობ, რამდენადაც მე ჩემს თავს გავცემ“ (სარტრი 2000:386). ამ აზრს ისევ რუსთაველის სიტყვებით გავამყარებდი: „რასაცა გასცემ, შენია.“

საკუთარი თავის გაცნობიერება მხოლოდ დაპირისპირებისას არის შესაძლებელი. მე ვამბობ მე-ს მხოლოდ ვინმესთან ურთიერთობისას, რომელიც იქნება შენ.

ბულგაკოვი წიგნში „სახელთა ფილოსოფია“ მე-ს „ენის ძირს“ უწოდებს, ხოლო შენ ნაცვალსახელს განსაზღვრავს, როგორც მეორე მე-ს. ფილოსოფოსის აზრით, ნაცვალსახელში მე „არ არის არავითარი იდეა, არავითარი სიტყვა, ის მხოლოდ ადასტურებს ყოფიერებას. ის არის ონტოლოგიური ჟესტი, რომელშიც ვლინ-

---

დება „სიტყვის ონტოლოგიური რეალობა  
(ბულგარუ 1999:49).

საინტერესოა მარტინ ბუბერის მოსაზრება, იგი პირის ნაცვალსახელებს – მე და შენ – უწოდებს ძირითად სიტყვებს, რამდენადაც ეს სიტყვები აღნიშნავენ არა რაღაც საგნებს, არა-მედ-დამოკიდებულებას, მიმართებას.

მე და შენ შიფტერები აყალიბებენ აგრეთვე ეგოცენტრულ და დიალოგურ კონტექსტებს. რამდენადაც მე ეგოა, (თუმცა ეს ეგო განსხვავებული თვისებებით შეიძლება წარმოგვიდგეს სხვადასხვა დისკურსში), ხოლო მეორე პირი პირველთან ერთად უკვე დიალოგს გულისხმობს. თუმცა შესაძლოა, ეს დიალოგი ფიქტიური იყოს. ძალზე მრავალფეროვანი შინაარსებით იტვირთება მე და შენ შიფტერები პოეზიის ენაში. პოეტურ მეტყველებაში მე ძირითადად სულიერი მეა. ხშირად პოეტის ლირიკულ ეგოს შემოჰყავს II პირი, რომელსაც მიაწერს საკუთარ აზრებს და სულიერ მდგომარეობას და ქმნის ოპოზიციას: მე-შენ, რომელიც კონტრასტულობის გამო საინტერესო პოეტიკას ქმნის. ამ მხრივ, განსაკუთრებით მდიდარია ტარიელ ჭანტურიას შემოქმედება:

„შენ დღემუდამ ითვლი ფულს!

მე დღემუდამ ვითვლი პულს!

.....

რაც მე მიყვარს – ის შენ გბულს,

რაც შენ გიყვარს – ის მე მბულს!

შენ მხოლოდ ერთს – უვლი ხორცს,

მე მხოლოდ ერთს – ვუვლი სულს!“

(გვ.277)

---

„შენ ვისაც ელი, მე იქნებ არ ვარ...  
მე ვისაც ვეძებ, შენ იქნებ არ ხარ...“

(გვ.440)

„ცუდი ვარ, შენ მაინც შემაქე,  
კარგი ხარ? მე კარგზე გიმღერებ.  
მე მოვალ, მე მოვალ უთუოდ,  
შენ სახლი დატოვე კარღია.“ (გვ.125)

„მაშინ შენ წნავდი ჩემს თმებში იებს,  
მაშინ მე ვკლავდი შენს წვივზე კოლოს,  
მაშინ მე ყველა მეძახდა „ბიჭოს“,  
მაშინ შენ ყველა გეძახდა „გოგოს“.“

(გვ.124)

„შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,  
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.“

(შ. ნიშნიანიძე, გვ.36)

„შენ ხარ მინდია, არ ხარ მეშურნე,  
მე ისიც ვიცი, ვისაც ედრები.“

(ჯ. ჩარგვიანი, გვ.206)

„შენ ჩემი წილი ხარ საქართველო,  
მე შენი წვივის ვარ საკვართული.“

(გვ.264)

„სალამს გეტყვი სალამზე,  
მე ყოველთვის – მტყუანი,  
შენ – ყოველთვის მართალი.“ (გვ.271)

„შენ ვაშლი სამოთხისა,  
მე კი – ვაშლის ნათალი.“ (გვ.271)

---

„შენ ჰყვაოდი, ვითა ვარდი,  
მეც გეტრფოდი, ვით ბულბული!“  
(აკაკი, გვ.189)

პოეტი ხშირად იდენტიფიცირდება საქართველოსთან, მის გმირებთან, მის წარსულთან და მომავალთან. ის ატარებს საკუთარ თავში არქეტიპებს.

„დღისით – თმოგვის მეციხოვნე,  
ღამით – ფანასკერტელი ვარ!  
სვალ რომ ქვა ვარ საგორავი,  
ზეგ არმაზის კედელი ვარ!  
ვისმა სისხლმაც, წვეთ-წვეთობით  
ის მწვერვალი აათავა:  
ლომი-ცოტნე,  
ლომი-დავით  
და ბოკვერი-პაატა ვარ!  
მე-ვიყავი!  
მე-ვიქნები,  
მე-მარადის ვმეორდები.“  
(ტ. ჭანტურია, გვ.128)

არ შეიძლება აქ არ გაგვახსენდეს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული, შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი-წარსული.“

იგივე სემანტიკაა ჯანსულ ჩარკვიანის შემდეგ სტრიქონებში:

---

„ეგ სატევარი მე ვაპრიალე,  
ფხას ვუსინჯავდი მე ამ ხელებით,  
დროშები ცაში მე ვაფრიალე,  
პოეტის ლექსით მე გამხნევებდით.“ (გვ.94)

მე – უფლის ნაწილია, შემოქმედი, რო-  
მელმაც შექმნა სამყარო:

„მე-მოაზროვნე პატარა მატლი,  
ვარ მონაწილე სამყაროს შექმნის“.

(შ. ნიშნიანიძე, გვ.457)

„მე ჩავუყენე შენს ლამაზ ქედებს,  
ლომის ზოზინი, ვეფხვის სიზანტე,  
შენს ცას პირველად მე შემოვბედე,  
დავიხურე და გამოვიზამთრე.“

(ჯ. ჩარქვიანი, გვ.76)

პოეზიასა და პროზაში პერსონაჟის სამყა-  
როს ინდივიდუალობის გადმოცემა შესაძლებე-  
ლია შინაგანი მეტყველებით, რომელიც თავად  
ადამიანს მიემართება; ამ განსაკუთრებულ შემ-  
თხვევაში მოლაპარაკე და მსმენელი ემთხვევა  
ერთმანეთს. სამაგიეროდ, იცვლება მეტყველების  
ფორმა. ადამიანის შინაგანი ბუნებიდან გამომ-  
დინარე, მეტყველებაში იკარგება გრამატიკული  
მნიშვნელობები.

ვიგოტსკი შინაგანი მეტყველების წარმოშო-  
ბის საკითხს რომ იკვლევდა, გამოთქვა მოსაზ-  
რება – შინაგანი მეტყველების ეგოცენტრული  
მეტყველებიდან წარმოშობის შესახებ. ბავშვები  
როდესაც ერთმანეთს ესაუბრებიან, თითოეული

---

ლაპარაკობს თავისას, თითქოს ისინი „ხმამაღლა ფიქრობენ“, მაგრამ მათ ამისთვის სჭირდებათ მეორე. როგორც პიაჟემ დაადგინა, გარკვეულ ასაკში ეგოცენტრული მეტყველება ქრება. ვიგოტსკის თანახმად, ამ დროს ყალიბდება შინაგანი მეტყველება (ვიგოტსკი 1982:105).

პოეზიაში ზოგჯერ პოეტის რამდენიმე მე ხმიანდება. ხოლო ზოგჯერ II პირი-შენ აგრეთვე მე-ს ნაწილია. მაგალითად, გალაკტიონი წერს:

„ვიცან, გალაკტიონ, შენში აკტეონი –  
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.“

მურმან ლებანიძე კი ასე მიმართავს თავის თავს:

„შენ კი წერ შენსას,  
შენ შენი გახსოვს, –  
ყელს არ მოიღერ ახლის სათქმელად,  
წერ, რაც გახრჩობდა და დღესაც გახრჩობს,  
და სულს აჩნია ძალლის ნაკბენად!“

წარმოდგენილ კონტექსტებში II პირს თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს I პირი. მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული იერარქია მაინც არსებობს. ამ შემთხვევაში I პირი, რომელიც საკუთარ თავს, როგორც მეორე პირს, მიმართავს, იერარქიულად უფრო მაღლა დგას, რადგან იგი განსჯის, აანალიზებს, ალაგებს. სწორედ ამიტომ სრული იდენტიფიკაცია გამორიცხულია.

---

ვიაჩესლავ ივანოვი ადამიანის მისწრაფებას, უფალი შენ შემოიყვანოს თავის ძეში, თვლის სერიოზულ პირობად იმისა, რომ თანამედროვე სულმა იგრძნოს მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის ჰარმონია და ადამიანის მიკროკოსმოსი გაიხსნას ღვთაებრივ მაკროკოსმოსში(ივანოვი 1979:268).

ლოტმანის აზრით კი, მე-ს სტრუქტურა კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია(ლოტმანი 2004:127).

### ც ა ს კ ვ ი ს თ ვ ი ს:

მე-ს სემანტიკა სხვადასხვა პოეტთან განსხვავებულია სიხშირით და აზრობრივი სტრუქტურით.

მე-ს სემანტიკა განისაზღვრება ტექსტში მისი გამოყენების ხასიათით.

მე-ს შინაარსი განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, მათ შორის – პოეტის მსოფლმსედველობით (განსხვავებულია მე-ს შინაარსი სიმბოლისტებთან, სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლებთან).

მე-ს სემანტიკური სტრუქტურის დადგენა აგვიხსნის ეპოქის სულს, გამოავლენს ცალკეულ პოეტთა ინდივიდუალობას, საინტერესოდ გვეჩვენება მისი შესწავლა ლიტერატურული მიმდინარეობების, ეპოქების, კულტურების მიხედვით.

## შორისდებულთა სემანტიკა

### გალაკტიონ ტაბიძის პოეზია

შორისდებული ადამიანის შინაგან განცდათა გამომხატველია. ეს თავისებური ენაა, რომლის მეშვეობითაც გამოითქმება სიყვარული, სიხარული, სიძულვილი, ტკივილი, აღფრთოვანება, გაოცება, გაკვირვება და სხვა. ზოგიერთი შორისდებული იმდენადაა დამახასითებელი ამა თუ იმ ხალხისთვის, ერისთვის, კუთხისთვის, რომ მისი წარმოთქმისთანავე მოსაუბრისათვის ცხადი ხდება, ვინ ლაპარაკობს. მაგალითად, იდიშის ენისთვის ყველაზე მეტად დამახასითებელია შორისდებულის – oy vay-ს გამოყენება. აღნიშნული შორისდებული ენობრივი სიმპტომია ამ ენაზე მოღაპარაკე ებრაელი ერის ტანჯვისა და მწუხარებისა (ვეუბიცკა 1999:646).

მხატვრული მეტყველების სტილოსტატისტიკურ გამოკვლევებში სულ უფრო ხშირად გვხვდება დაკვირვებები არა მარტო ლექსიკურ ჯგუფებზე, არამედ მეტყველების ნაწილებზეც. არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ავტორის სტილის თავისებურებები უნდა ვეძოთ ნაწილაკების, შორისდებულთა, წინდებულ-

---

თა და სხვათა სტატისტიკურ განაწილებაში, რადგან ენის ამ ელემენტებს ყველაზე ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მწერლები და ავტორის ინდივიდუალობა უნებურად სწორედ მათ გამოყენებაში ვლინდება. ის, რაც ლექსიკის ზედაპირზეა და თვალშისაცემია, შეიძლება კვლევისთვის ხელსაყრელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, არ არის არსებითი შემოქმედის ინდივიდუალობის დასადგენად.

როგორც ფუქსი აღნიშნავს, არ არის, მაგალითად, დამაჯერებელი, ბიბლიური ტექსტების ლექსიკის მარაგისა და სიტყვათა საერთო რაოდენობის ლოგარითმის მიხედვით მიღებული დასკვნები (ჰერდანისა და გრეისტონის ცდები), ანგარიშგასაწევია შემჩნეული ფაქტი, რომ ტექსტის გაყალბების ან იმიტაციის შემთხვევაში ყველაზე ადვილია ლექსიკური მიმსგავსება, მაშინ, როცა ლატენტური სინტაქსური მახასიათებლების იმიტაცია შეუძლებელია მათი ფარული ბუნების გამო (კვარაცხელია 1995:161).

რამდენადაც შორისდებული ადამიანის ღრმად შინაგანი განცდის ამოძახილია, ამდენად საინტერესოდ გვეჩვენება ამ მოვლენის შესწავლა პოეზიის ენაში. როგორც აკაკი შანიძე განმარტავს: „შორისდებული ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა“ (შანიძე 1980:621).

მაღალი სიხშირული მაჩვენებლით გამორჩეული ესა თუ ის შორისდებული პოეტის ენაში

---

შეიძლება ჩაითვალოს პოეტის ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთ მახასიათებლად.

გალაკტონ ტაბიძის შემოქმედებაში გამოკვლეული ტექსტების საფუძველზე შემდეგი სურათი მივიღეთ: სიხშირის მიხედვით პირველ ადგილზე აღმოჩნდა შორისდებული ო (და მისი ვარიანტი ოჲ). ეს შორისდებულები გამოკვლეულ შორისდებულთა 98%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს პროცენტი საკმაოდ დამაჯერებელია იმისთვის, რომ დავასკვათ: გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ო/ოჲ შორისდებულთა მოხმარება სტილური ხასიათისაა და პოეტის ემოციური ინდივიდუალობის მახასიათებელია.

საინტერესოდ გვეჩვენება ერთი პარალელი: ანთროპოსოფიაში ხმოვნები ხასიათდებიან, როგორც სულიერი განცდების გამომხატველები, თითოეული ხმოვანი თავისი განსაკუთრებული ხასიათით გამოირჩევა, მათ შორის, ო ხმოვანი, რომლის დასახასიათებლად გამოყენებულია ერთი სიტყვა: „ყოვლისმომცველობა“ (შტაინერი 1994:81; ტიტმანი 1979:37).

ო ხმოვნის ეს ხასიათი შორისდებულებში შეიძლება ამოვიცნოთ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ო/ოჲ შორისდებულით გამოიხატება ყოვლისმომცველი აღფრთოვანება ან ტკივილი, სიხარული ან მწუხარება... ამბივალენტურ გრძნობათა და ემოციათა ერთი შორისდებულით გამოხატვა დამახასიათებელია აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისათვის.

დადებითი ემოციების გამოხატვა ო/ოჲ შორისდებულით:

---

ო, როგორ ძომწეულდი...

ო, მე არ ვიცი, რას შევადარო?

ო, ქვეყნიურო სამოთხევ!

ოჲ, რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი...

ოჲ, არასდროს არ შობილა მთვარე, ასე ნაზი...

ო, ასეთი სიხარული არ მივრდგნია მე ჩემს  
დღეში!

და ასე შემდეგ...

უარყოფითი ემოციების გამოხატვა ო/ოჲ  
შორისდებულით:

ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარღს...

ო, ძვირფასო, ჯვარზე მაცვეს!

ო, რამდენი მწუხარება ამიტანია...

ოჲ, არ ველოდი, ქალბატონო, მე თქვენგან  
დალატნ!

ოჲ, სიცოცხლე, უცარი ქარია!

ო, ყოველდღე მზეები ქიმერებში ვარდება!  
და ასე შემდეგ...

---

შორისდებულთა არსებობა ენაში დაკავშირებულია ენის ექსპრესიულ ფუნქციასთან. პოეტურ მეტყველებაში პოეტი ირჩევს თქვას: ო/ოჳ, ნაცვლად ფრაზებისა: მე განვიცდი აღფრთოვანებას, მე ვგრძნობ ტკივილს, მე ვგრძნობ მწუხარებას, მე განვიცდი მონატრებას და ასე შემდეგ.

გამონათქვამის პირველი ტიპი (ო/ოჳ შორისდებულებით გრძნობებისა და ემოციების გამოთქმა) დაკავშირებულია ენის ექსპრესიულ ფუნქციასთან, ხოლო მეორე: ენის სიმბოლისტურ ფუნქციასთან (ვეუბიცკა 1999:61).

ზოგ შემთხვევაში პოეტი ენის ორივე ფუნქციას „აფორმებს“: „ო, ასეთი სიხარული არ მიგრძნია მე ჩემს დღეში“... სხვა შემთვევაში განცდათა ამოცნობა შესაძლებელია კონტექსტით: „ო, მე არ ვიცი, რას შეგადარო?“ – ცხადია, პოეტი აქ აღფრთოვანებულია.

ცნობილი ფრანგი სემიოლოგი როლან ბარტი წერს: ენით სარგებლობის დროს, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ განწირულები ვართ, „გავითამაშოთ“ ემოციები ენობრივ სცენაზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კი არ ვსარგებლობთ ენით, არამედ ენა სარგებლობს ჩვენით, გვიმორჩილებს რაღაც იდუმალი და ძლიერი სცენარით. საიდუმლო დიდი ხანია გახსნილია და იგი მდგომარეობს იმაში, რომ „უშუალობა“ შეუძლებელია ენის მეშვეობით გამოითქვას, რადგან თავისი ბუნებით ენა ყოველთვის გამაშუალებელ როლს თამაშობს: მას არ შეუძლია რამე „გამოხატოს“, ტკივილის ან სიხარულის გამოთქმა შესაძლებელია მხოლოდ ინსტინქტუ-

---

რი ყვირილით, ანდა, უარეს შემთხვევაში, შორისდებულებით... ნებისმიერი რეალობა გარდაისახება ამ რეალობის ნიშანში (ბარტი 1989:25).

შორისდებულებს, როგორც სხვა ენობრივ ელემენტებს, აქვთ თავისი მნიშვნელობა, ამიტომ საჭიროა, შევიმუშავოთ ზუსტი სემანტიკური ფორმულები, რომლებიც აგვიხსნიან შორისდებულთა გამოყენების სფეროს და აგრეთვე, აღწერენ განსხვავებებს სხვადასხვა შორისდებულთა მოხმარებისას.

ო/ოპ შორისდებულთა მაღალი სიხშირული ხასიათი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში შეიძლება ჩაითვალოს პოეტის ინდივიდუალური სტილის მახასიათებლად და აგრეთვე პოეტის ემოციური ბუნების ძირითად „სიმპტომად“.

როგორც ვეუბიცკა წერს: ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ უნივერსალურ და კულტურულ-სპეციფიკურ თემათა შესწავლა შორისდებულთა სემანტიკისა და მათ შორის დამოკიდებულებათა კვლევით.

## სიტყვა აზრის ძიებაში ანუ „ვარსკვლავების პოეტიკა“

### ანა კალანდაძის პოეზია

პოეზია, გარდა იმისა, რომ მეტყველების ფაქტად რჩება, იგი, ამავე დროს, მის საზღვრებს გარეთაც იჭრება...

ენის სტიქის მოძრაობაში ჩაფლული, მისი ნაწილაკების გადაადგილებით გართული პოეტი, ან თვითონ ირჩევს სიტყვებს, ან სიტყვები ირჩევენ პოეტს.

*ოქტავიო პასი*

...პირველად იყო სიტყვა... სამყარო წარმოგვიღება, როგორც სიტყვა, ქმნადობის აქტი კი – როგორც ნიშნის შექმნა.

*ლოტმანი*

ენაში არსებული ნებისმიერი სიტყვა პოეტურ მეტყველებაში შეიძლება იქცეს იმგვარ მეტაფორებად, რომელთა სრულად აღწერა შეუძლებელი იქნება. „მწერალი ამრავლებს მნიშვნელობებს და ტოვებს მათ დაუმთავრებელს და ღიას. ენის მეშვეობით ის ქმნის აღმნიშვნელებით გაჯერებულ სამყაროს და ვერასოდეს

---

ვერ იღებს საბოლოო აღსანიშნს“ (ბარტი 1989:284).

თავის დროზე ხლებნიკოვმა კრუჩენიხთან ერთად წამოაყენა თეზისი, რომლის თანახმადაც, მხატვრული ნაწარმოები შეიძლებოდა, რომ მხოლოდ ერთი სიტყვისგან შემდგარიყო. მათი აზრით, ეს იყო არა მხოლოდ ავანგარდული პროექტი, არამედ თავად სიტყვის სახეობრივი ბუნების ლინგვისტურად განპირობებული რეკონსტრუქცია. თავად სიტყვა უკვე პატარა ნაწარმოებია,—აცხადებდნენ ისინი. ამაზე მიუთითებს მიხეილ ეპშტეინი, როცა წერს: აფორიზმი ითვლება ყველაზე მცირე ლიტერატურულ ჟანრად,—ერთ წინადადებაშია აზრი შეკუმშული... მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მცირე ჟანრი—მხოლოდ სიტყვა. სწორედ სიტყვა წარმოდგება, როგორც დასრულებული ნაწარმოები, როგორც სიტყვაშემოქმედების დამოუკიდებელი რეზულტატი. ეპშტეინი ხახს უსვამს სიტყვას, არა როგორც ენის ერთულს და ენათმეცნიერების საგანს, არამედ როგორც ლიტერატურულ ჟანრს, რომელშიც არის პლასტიკა, იდეა, სახე, თამაში, კოლიზია და სიუჟეტი. ერთსიტყვიანობა—ერთი სიტყვის ხელოვნება, რომელიც თავის თავში მოიცავს ახალ იდეას, ან სურათს,—მაქსიმუმი აზრი მინიმუმ ენობრივ ერთეულში!

მე გავაგრძელებდი ეპშტეინის აზრს და დავამატებდი, რომ ამგვარ „ლიტერატურულ ჟანრად“ და დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებად სიტყვა შეიძლება იქცეს ამავე დროს, სხვა სიტყვებთან ურთიერთობის შედეგად. ენის ბუ-

---

ნებაში ჩადებული მეტაფორულობა მხატვრულ სააზროვნო სივრცეში კიდევ უფრო აქტუალიზდება და ამოუწურავ ქმნადობას გვთავაზობს. „ყოველი სიტყვა უამრავ პოტენციურ მნიშვნელობას შეიცავს. როცა სიტყვა სიტყვებს უკავშირდება და იქმნება ფრაზა, იმ მრავალ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი აქტიურდება და მთავარ მნიშვნელობად იქცევა“ (ოქტავიო პასი). ენაში დევს მნიშვნელობადქმნადობის იმგვარი პოტენციალი, რომელიც პრაქტიკულად ამოუწურავია.

ცალკეულ ავტორთა პოეტურ შემოქმედებაში გამოიყოფა ისეთი „სიტყვა—ნაწარმოებები“, „სიტყვა—კონცეპტები“, რომელთა გარშემო შეიძლება გადაეწყოს პოეტის ენობრივი სამყარო. იმისათვის, რომ ამგვარი სიტყვა—კონცეპტები, სემანტები, გამოვლინდეს, რამდენიმე პირობა უნდა დაკმაყოფილდეს:

- ა) ტექსტში სემანტების გამოყენების მაღალი სიხშირე, მარკირება;
- ბ) აღნიშნული სემანტების მეტაფორულობის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნაში;
- გ) პოეტის შემოქმედების კონცეპტი თავისი ფუნქციონირებით ტექსტში გამოხატავს ავტორის იდეას.

ჩვენი კვლევის ობიექტს ამ მიმართულებით წარმოადგენდა ანა კალანდაძის პოეზია. პოეტური ნაწარმოებში არის ისეთი სიმბოლოები, რომლებიც ითხოვენ ინტერპრეტაციას თავად ავტორისათვის (მამარდაშვილი 2000:127).

---

კვლევის შედეგად პოეტის შემოქმედებაში გა-  
მოიკვეთა სიტყვა-კონცეპტი „ვარსკვლავი“.

შეიძლება ითქვას, რომ სემანტემა „ვარ-  
სკვლავი“ მეტ-ნაკლები სიხშირით თითქმის  
ყველა პოეტის შემოქმედებაში გვხვდება, მაგ-  
რამ ანა კალანდაძის „ვარსკვლავი“ ნამდვილად  
განსაკუთრებულია. რატომ მაინცდამაინც ეს  
სიტყვა? კითხვაზე პასუხი მარტივია და პოე-  
ტის ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. რო-  
გორც ჩანს, ამ სიტყვით გამოხატული აზრი  
ყველაზე მეტად ენათესავება პოეტის სულს. ამ  
სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობიდან დაწყებუ-  
ლი მის ყველაზე უფრო დაუსაზღვრავ მნიშვნე-  
ლობამდე, თითქმის ყველაფერს თავი მოუყრია  
ანა კალანდაძის შემოქმედებაში. ოთარ ჭილაძი-  
სა არ იყოს:

„ძვირფასო, სიტყვას აქვს თავის ფასი,  
ზომა და წონა, სუნი და ფერი  
და ისიც ყველა ჩვენგანის მსგავსად  
იცინის, ტირის, ოცნებობს, მღერის...“  
და არა მხოლოდ...

ვფიქრობ, ვარსკვლავებთან დაკავშირებული  
სულისკვეთება და პოეტის შემოქმედების არსი  
კარგად გამოიხატა ანას შემდეგ სტრიქონებში:

„ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი  
და ცეცხლით ვივსები იმათებრ...  
„ო, ღმერთო, ო, ღმერთო, საბაოთ,  
სინათლე, სინათლე, სინათლე...“

---

რა აზრია გამოთქმული სტრიქნში: „ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი“? რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა – რომ წარმოვიდგინოთ, პოეტი როგორ აჩერებია ღამეულ ვარსკვლავებიან ცას. პასუხი ამავე სტრიქნებშია: სინათლე! არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რომ ანა კალანდაძე სინათლის პოეტია, რაც სწორედ „ვარსკვლავთმჭვრეტელობაში“ და იმათებრ „ცეცხლით ავსებაში“ მეტაფორულად გამოხატა ავტორმა. რატომ დაუნათესავდა პოეტის სული ვარსკვლავს? იმ თვისებების გამო, რომელსაც ვარსკვლავი ატარებს – სიშორე, სინათლე, იდუმალება, სიჩუმე...

თომას სტრენზ ელიოტი ერთ ესეში წერს: „რა სიტყვებიც უნდა გამოიყენოს მწერალმა, რამდენადაც შესაძლებელია, სარგებლობს ამ სიტყვათა ისტორიის ცოდნით, იმის ცოდნით, თუ როგორ გამოუყენებიათ ეს სიტყვები. ამგვარი ცოდნა ეხმარება მის ამოცანას, მიანიჭოს სიტყვას ახალი სიცოცხლე და ენას კი ახალი იდიომი შეჰქმატოს. არსებითი ტრადიცია ასეთია: მიწვდე, რამდენადაც შესაძლებელია, მთელ მნიშვნელობას ენის ისტორიისა, რაც სიტყვის მიღმაა“ (ელიოტი, 2007, 159).

ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სიტყვის სახარებისეული გაგებაც. „როცა იესო დაიბადა ოუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი აღმოსავლეთიდან და თქვეს: სად არის, იუდეველთა მეფე რომ დაიბადა? ვინაიდან ვიზილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში

---

და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას (მათე, 2.1; 2.2); აგრეთვე: „მათ მოუსმინეს რა მეფეს, წავიდნენ. და აი, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძლოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და გაჩერდებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო (მათე, 2.9). ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს ისეთი იდიომები, როგორებიცაა: ბედის ვარსკვლავი, ვარსკვლავი აენთო (ადამიანი დაიბადა), ვარსკვლავი ჩაქრა (ადამიანი მოკვდა)...

ვარსკვლავი ანასთვის აგრეთვე უფლის მაცნეა:

ღამით, იქ, ზემოთ, ვარსკვლავს აანთებს  
ვიღაცის წელი,  
გათენებამდე სანთელივით რომ  
იწვის და ღვენთავს...  
თორემ აქ ვის რა გააძლებინებს,  
კლდეთ უფსკრულებში,  
უამგარსკვლავოდ? უამსხივოდ?  
უშველოს ღმერთმა...

ბედის ვარსკვლავის მნიშვნელობით არის გამოყენებული სემანტიკა ვარსკვლავი შემდეგ კონტექსტებში:

აცისკროვნდება გულში ედემი!  
ნათობს ვარსკვლავი ჩვენი ბედისა...  
რად ვშფოთავთ ჩვენ მის გამოჩენამდე?

ანდა:

---

დამეხსენ სრბას: იგი დამეწევა  
იის კონებით, —  
ვარსკვლავი ჩემი ვარსკვლავთშორის  
მარადის მრწემი, —  
და სიხარულით ამაღლდება  
საუფლო ჩემი.

არა მხოლოდ ადამიანს, ქვეყანასაც თავისი  
ბედის ვარსკვლავი დაჰყვება:

მიწავ, უსასოდ დამცირებულო,  
გამარჯვებისას შენ ისევ შესვამ:  
მოდის ვარსკვლავი გაბრწყინებული,  
რომ დაგვიბრუნოს დიდება ესე!

ბიბლიაში ვკითხულობთ: „თქვა ღმერთმა:  
იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის  
გასაყრელად, დროუამის აღმნიშვნელად... დასხა  
ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინა  
მიწა, გაეყარათ ნათელი და ბნელი...“ სიბნე-  
ლე—სინათლის, კეთილისა და ბოროტის კონ-  
ტრასტულობას ისევ ვარსკვლავებით (ბიბლიუ-  
რი მნიშვნელობით) წარმოადგენს პოეტი:

ვარსკვლავი იგი სიხარულისა  
ჩემს წილ მარადის  
აღავლენს ციალს,  
რაც უფრო ღამე  
ჩამოდის ბნელი,  
იგი უფრორე  
ელავს და ბრწყინავს!

ან:

---

გაკრთეს ნათელი შინაგან ბნელთა,  
ვით კვალი ვარსკვლავთ მიმოსვლათანი...

ადამიანი—ვარსკვლავი ასევე არ არის უცხო  
მნიშვნელობა და მეტაფორულობა და ანას პოე-  
ზიაში ამ მნიშვნელობასაც ვხვდებით. რჩეული  
ადამიანი „შუქურვარსკვლავი“ და მისი გარ-  
დაცვალებისას პოეტი იტყვის: „ცას მოსწყდა  
შუქურვარსკვლავი“, პატრიოტ ჯარისკაცებს კი  
ვარსკვლავებს ადარებს: „მიდიხართ მტვრიანი,  
მტვრიანი ჩექმებით და ვარსკვლავებივთ  
ბრწყინავთ“.

9 აპრილს დაღუპულები უფლის ვარ-  
სკვლავებია:

ახლოა უამი შუაღამისა,  
ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება...  
კვდება სრულიად საქართველოსთვის,—  
ლოცვით,  
გალობით,  
ვინც ახლა კვდება.

შეიძლება აქ გაგვახსენდეს ოთარაანთ  
ქვრივის გორგი, რომელიც სატრფოს მიმარ-  
თავს: „სად შენ და სად — მე... სად მოგწვდე-  
ბოდი ცაში ვარსკვლავს...“ (ადამიანი—ვარ-  
სკვლავი).

ბუნებრივია, რომ ვარსკვლავი სიწმინდეს-  
თან, ბრწყინვალებასთან ასოცირდება პოეტი-  
სათვის, ამიტომ ჩნდება ამგვარი სახეები:

---

ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ,  
თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?

---

ანგელოსი დაეთხოვა მიწის შვილთა,  
შორს გაფრინდა ვარსკვლავების შარავანდით.

---

ბრწყინვა კანდელთა  
ჰგავდა ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიადთ...

---

შენ შემოდიხარ უცხოდ მორთული  
და ვარსკვლავებით თავდანამშვენი.

პოეტური მეტყველება არსებითად დიალო-  
გია, როგორი მონოლოგური ფორმითაც არ უნ-  
და იყოს გამოხატული. პოეტი ყოველთვის ვი-  
ღლაცას (რაღაცას) მიმართავს, ელაპარაკება.  
სხვაგვარად საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა  
გამოხატვა. „ენა ერთმანეთთან აკავშირებს სამ  
ელემენტს: „მე“, „შენ“ და „ის“, ანუ საგანი.  
ვიღაცა ვიღაცას რაღაცაზე ესაუბრება“ (პოლ  
ვალერი 1994:87).

მიმართვის ობიექტი პოეზიაში შეიძლება  
უსულო იყოს, ამას არცა აქვს არსებითი მნიშ-  
ვნელობა არც პოეტისათვის და არც პოეზიი-  
სათვის.

ანა კალანდაძეს ხშირად აქვს დიალოგი  
ვარსკვლავებთან.

და გაქრნენ სადღაც...  
ცის სიღრმეში კრთოდა ვარსკვლავი,  
რატომ მოსწყდიო? —  
მანაც მკითხა,—

---

## საუფლოს შენსა?

---

რას გადმომყურებ ბანზეით,  
შე ლურჯ ვარსკვლავთა ციალო?  
და სხვა.

იდენტიფიკაცია ვარსკვლავთან ნიშნეულია  
ანას პოეზიისათვის. ბრწყინვა, ანთება, ჩაქრობა  
— ეს ის ლექსიკა, რომელიც ვარსკვლავთან  
უშეალო კავშირშია, მისი მახასიათებელია. რა-  
კი ჩვენ აღმოვაჩინეთ პოეტის იდენტობა მნა-  
თობთან, შესაბამისად, ვარსკვლავის ლექსიკა  
ბუნებრივად გადადის პოეტზე, ამიტომ ის ამ-  
ბობს:

მე ავმაღლდები შენს ლურჯ ცაზე,  
შენთვის ვიბრწყინებ,  
ალვინთები და დავშრტები შენდა!

ეჭვი არ არის, რომ ამ შემთხვევაში „პოე-  
ტი-ვარსკვლავი“ ლაპარაკობს.

პოეტის იდენტიფიკაცია ვარსკვლავების  
ჩუმ სამყაროსთან კარგად გამოიხატა შემდეგ  
სტრიქონებში:

დუმს ვარსკვლავების  
ჩუმი სამყარო...  
მას შეჰდალადებს  
მიწა ცოდვილი...  
გამოიღვიძე,  
მიუსაფარო,

---

ო, სულო ჩემო,  
გეყო ლოდინი, —  
გაფრინდი ცისკენ!

თუ ცა ვარსკვლავებით თვალს დახუჭავს,  
იხუჭება პოეტის გულის თვალიც და ეს იდენ-  
ტიფიკაციის კიდევ ერთი შშვენიერი დასტურია:

დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან  
და... დაიხუჭა „გულისა თვალიც“...

ზოგჯერ ცხოვრებისაგან განრიღების მო-  
სურნე პოეტი ვარსკვლავად ყოფნას ესწრაფ-  
ვის, რადგან ყოფიერება სავსეა ცრუ და ამაო  
ხმებით, რაც აქშობს და თრგუნავს ლირიკულ  
მეს. ვარსკვლავით შორს ყოფნა — იდენტი-  
ფიკაციის შემდეგი საფეხურია:

არ მინდა და, —  
ვამბობ...  
არ მინდა და, —  
ვისმერ...  
იმ ვარსკვლავის მსგავსად  
შორს მამყოფა  
ისე...  
არსაიდან ხმაი  
არ მწვდებოდეს  
ცასა...  
ო, მამყოფა  
ისე,  
იმ ვარსკვლავის მსგავსად!

---

პოეტის იდენტიფიკაცია ვარსკვლავთან  
ისევ ანა კალანდაძის სტრიქონებით უნდა ავ-  
ხსნათ. კითხვაზე: რატომ ვარსკვლავებთან?  
ანას პასუხი ასეთია:

მაგრამ მე მაინც, ო, მე მაინც  
სიხარულს ვესავ...  
ესიტყვებიან ვარსკვლავები  
გულისთქმას ჩემსას  
უშიშრად და დაუფარავად...

ამ სტიქონებში ანას წინაპრის – ნიკოლოზ  
ბარათაშვილის სტრიქონებიც ხმიანდება: „მხო-  
ლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გუ-  
ლისა მე საიდუმლო...“; ვარსკვლავი ყოველ-  
თვის „თანამავალია“, სადაც მიღიხარ, მოგვე-  
ბა, სწორედ ამიტომ ის არის ავთანდილის მე-  
გობარიც, სატრფოს მოშორებული, მნათობებს  
რომ ესაუბრება.

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა  
ეამებოდის,  
მას ამსგავსებდის, ილხენდის,  
უჭვრეტდის, ეუბნებოდის“.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ,  
რუსთაველისა და ანა კალანდაძის ლირიკული  
გმირის სულიერი ნათესაობა, როცა ისინი მნა-  
თობებს მიმართავენ სულის სანუგეშოდ. ავთან-  
დილი მიმართავს ზუალს:

---

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა,  
ჭირი ჭირსა,  
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც  
ხშირსა,  
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე,  
ვითა ვირსა,  
მას „უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და  
შენთვის ტირსა“.

ანა კალანდაძე მიმართავს ზუალს:

აღმეკრა პირსა მე მწუხარება:  
სიხარულისგან დამცალა ზემან  
და ვარდიანი ჩემი კარავი  
წყვდიაიდისათვის დააგდო მზემან...  
შემომეძარცვა შარავანდედი  
დაუნჯებული და იდუმალი...  
განქარდა ჩემი ხატი იისა  
და... ჩემს კარავზე დგახარ, ზუალ!

აღმეკრა პირსა მე მწუხარება.

ამ ორ ტექსტს შორის საერთო მწუხარებაა, განსხვავებული ენობრივი ფორმებით გამოხატული, მაგრამ ერთი სათქმელი. ამ სათქმელს ზუალი განაპირობებს. ახლა სხვა მნათობისადმი მიმართვაც ვნახოთ:

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ  
ლახვრითა შენითა,  
შეცა-მღებე და შემსვარე წითლად  
სისხლითა დენითა,

---

მას უთხრენ ჩემნი პატიუნი, მას გააგონენ  
ენითა,  
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ  
ლზენითა.

ანა კალანდაძე:

ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური,  
არცა წუხილის ცრემლები ვკადრე:  
მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი,  
გადამაფარა ციური მადლი...  
მომართვა თვისი მაღალი ტახტი,  
დამარქვა თუღი თვისი მეფური...  
განმაძლიერა მე შიშსა ზედა...

ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური:  
ძალუმი იყო წყალობა მისი!

ავთანდილი ასპიროზს მიმართავს:

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა  
ცეცხლთა დაგითა,  
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა  
ბაგითა;  
შენ დაამშვენებ კეპლუცთა დამშვენებითა  
მაგითა,  
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი  
ცნობითა შმაგითა.

ანა კალანდაძე:

---

და ბრწყინავს, ბრწყინავს, ბრძენი ასპიროზ,  
ქვაბების თავზე ამაყად მდგარი,  
და დაუშრეტის იღუმალებით  
კვლავ ნუგეშსა სცემს ამ შემოგარენთ.

ამ უნებური ანალოგით ჩვენ ვადასტურებთ  
შემოქმედი სულების კავშირს მნათობებთან.  
ისინი სხვადასხა დორში და განსხვავებულ სი-  
ტუაციებში მიემართებიან ციურ სხეულებს,  
მაგრამ ფაქტია, რომ „თვალი ცისკენ უჭი-  
რავთ“—პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელო-  
ბითაც. ამგვარ ტექსტებში მინიმუმ ორმაგი კო-  
დირებაა, ერთი ფიზიკური სამყაროსათვის, ხო-  
ლო მეორე—მიღმური სამყაროსათვის დანიშნუ-  
ლი.

კითხვები, რომლებიც კვლევისას მიჩნდება  
და რომელზედაც პასუხებს ვპოულობ, უეცრად  
აღმოჩნდება, რომ ანა კალანდაძე რომელიმე  
ლექსით მიდასტურებს, ასე მოხდა ამჯერადაც  
პოეტის შემდეგი სტრიქონებით:

აქ სალამურით ატირდება  
პატარა მწყემსი,  
რა აღონებს პაწია ბიჭსა?  
ბრწყინავს ვარსკვლავი:  
ცას იმისი გულისთქმა ესმის,  
ცას უუცნორესს, შეუცნობელს,  
გრძნეულს და მისანს.

თუ ჩავთვლით, რომ პატარა მწყემსი ზოგა-  
დად მაძიებელი ადამიანის სიმბოლოა, გაბრწყი-

---

ნებული ვარსკვლავები ადასტურებენ, რომ  
უფალს ესმის მისი...

მიუღწეველი (ანუ უფალი) ვარსკვლავის  
ბუნებისაა (ანდა, პირიქით), ბრწყინვალეა, ამი-  
ტომ: „გამომიბრწყინდი, მიუღწეველო, აწ უც-  
ნაური მექმენ საცნაურ...“ – წერს პოეტი და  
ამ გამობრწყინებაში ჭეშმარიტების გაელვებას  
გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ვარსკვლავის პირდაპირი  
მნიშვნელობით გამოყენება შესაბამის განცდათა  
გადმოსაცემად ბუნებრივია ანასთვის.

ვარსკვლავი ბრწყინავს,  
ო, ვარსკვლავი,  
კრთის სასიამო  
და მთვარე არის კვლავ  
სხივთა მთოვარ...

ან:

და მშვიდთა ცათა ამოენთება  
ვარსკვლავი კიდეთ,  
დაუბრუნდებათ თვისი ფერი  
დიდებულ ნაძვებს...

სატრფოს კი ისე აღარ ელის პოეტი, რო-  
გორც ხავერდოვანი ღამის წყვდიადი ვარ-  
სკვლავს:

ო, აღარ ველი მას,  
როგორც ვარსკვლავს –  
ხავერდოვანი  
ღამის წყვდიადი...

---

ნამიანი ბალახიც კი ავტორისთვის „ვარ-სკვლავების ლალი ბიბინია“... და ასე შემდეგ... ვფიქრობთ, სრულად ვერ შევძელით წარმოგ-ვედინა ყველა ის კონტაციური მნიშვნელობა, რომელსაც ვარსკვლავი აჩენს ანას პოეზიაში.

„სიტყვა“, როგორც რეალობა, განუყოფე-ლია მთქმელისაგან, იმისგან, ვისთვისაც ეს მეტყველებაა დანიშნული და აგრეთვე იმ სი-ტუაციისაგან, რომელშიც ეს სიტყვა წარმოით-ქმის (გასეტი 2000:665). რა თქმა უნდა, სხვაგვარად სიტყვა მხოლოდ აბსტრაქციაა.

ასეთივე აბსტრაქციაა სიტყვა „ვარსკვლა-ვი“, რომლის სალექსიკონო მნიშვნელობაა – ცის სხეული, რომელიც საკუთარი შუქით ნა-თობს; შორი მანძილის გამო ვარსკვლავი ცის კამარაზე ჩანს, როგორც ყოველმხრივ სწორხა-ზოვნად სხივების გამომცემი მნათობი წერტი-ლი (ქეგლ-ი, 1955:30).

ქართულ სალიტერატურო ენაში ლექსემა „ვარსკვლავმა“ მყარი შესიტყვებებიც წარმოშ-ვა, ასეთებია: კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა), ვარსკვლავი მოწყდა (მეტეორმა გაიელვა), მოწყვეტილი ვარსკვლავი (მეტეორი), ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი (ძალიან ლამაზი), ვარსკვლავებს ეპოტინება (მიუწვდომლისკენ მი-ისწრაფვის), ვარსკვლავებს ეთამაშება (ლამა-ზია), ბედის ვარსკვლავი, ბედიერ ვარსკვლავ-ზე დაბადებული... გადატანითი მნიშვნელობით ვარსკვლავი აღნიშნავს აგრეთვე ბედს, განგე-ბას, მიზანს. ( მაგ.: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“(ილია).

---

როგორც დავინახეთ, სიტყვა „ვარსკვლავს“ ენის სისტემაში საქმაო პოტენცია მოეპოვება იმისათვის, რომ გააგრძელოს „მნიშვნელობათქმნადობის“ პროცესი პოეტურ მეტყველებაში...

ანა კალანდაძის პოეტური ტექსტების მიზედვით, სიტყვა „ვარსკვლავის“ საბოლოო აზრი უფლისკენ მიდის, ვარსკვლავი უფლის ერთ—ერთი ეპითეტია, საბოლოო აღსანიშნი ღმერთია, რომელიც თავად დაუსაზღვრავია და დაუსაზღვრავია ის სემანტემაც, რომელიც მისი აღმნიშვნელი ხდება. ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა შუა საუკუნეების ხედვა. შუასაუკუნეების სიმბოლიზმის კოსმოლოგიური უნივერსალიზმი დაკავშირებულია „უკანასკნელი“ აღსანიშნის გაგებასთან. წმინდა ავგუსტინესთან რეალურად ყოველ საგანს შეუძლია აღნიშნოს მეორე საგანი, ანუ გამოვიდეს აღმნიშვნელის როლში... ამ პერსპექტივაში ერთადერთი საგანი, რომელიც არ შეიძლება აღსანიშნის როლში გამოვიდეს, არის ღმერთი. გარკვეული აზრით, აქ გათანაბრებულია „რეფერენტის“ სემიოტიკური გაგება და „პირველმიზეზის“ მეტაფიზიკური გაგება.

სიგნიფიკაციური დამოკიდებულების საბოლოო პოლუსებია: ღმერთი—სიტყვა: „სუფთა აღსანიშნი“ და „სუფთა აღმნიშვნელი“, სადაც მატერიალურობა ფიქსირებულია სიტყვის პოლუსზე, ხოლო სპირიტუალობა — რეფერენტის პოლუსზე.

სიტყვის მთავარი აზრი, იდეა ყოველთვის შენიდბულია ღია ტექსტით, ანუ იმ ტექსტით,

---

რომელიც უშუალოდ არის ჩვენ წინაშე. მეტაფორულობა ზოგადად შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარეგან მეტყველებაში ტექსტის, სიტყვის შინაგანი აზრის გამოვლენის ფაქტი. თავისთავად მეტაფორა უკვე შენიღბული აზრია. მეტაფორულად ეს აზრი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: „ზღვა(ან ოკეანე), რომელიც თავის თავში აერთიანებს ზედაპირს და სიღრმეს (ზედაპირი – ღია ტექსტია, ხოლო სიღრმე – დაფარული ტექსტი, ქვეტექსტი), როგორ შეიძლება სიღრმის გამოკვლევა? სიღრმეში ჩასვლით ან ზედაპირზე ამოტივტივებული რამე ნიშნის ახსნით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ზედაპირზე ამოტივტივებული საგანი – ეს ღია ტექსტში ქვეტექსტიდან (სიღრმიდან) „შემოჭრილი“ ტროპებია, რომელთა ახსნით და ანალიზით ვშიფრავთ სიღრმეს, ანუ აზრს, იდეას. სიღრმის გამოკვლევა სიღრმეში ჩასვლითაც შეიძლება – მაგრამ ამ შემთხვევაში ენა წყვეტს არსებობას იდუმალში გადასვლის გამო“ (ბარბაქაძე 2003:50).

როგორც ვნახეთ, ანა კალანდაძის პოეზიაში საინტერესოდ წარმოჩნდა „გარსკვლავების პოეტიკა“. ფეშენკო წერს: „თუ დაგუშვებთ, რომ სემიოტიკას აქვს თავისი განვითარების სიუჟეტი, მაშინ ამ განვითარების კულმინაცია ის წერტილია, რომელშიც სემიოტიკა ხვდება პოეტიკას“ (ფეშენკო 2006:62).

მაშ, რაზე გადის გზა აზრიდან სიტყვისკენ და პირიქით, სიტყვიდან აზრისკენ? ამაზე ვიგოტსკი გვიპასუხებდა: „...აზრი არ ემთხვევა

---

არათუ სიტყვებს, არამედ არც მათ მნიშვნელობებს, რომლებითაც ის გამოითქმება. გზა აზრიდან სიტყვისკენ მნიშვნელობაზე გადის. ჩვენს მეტყველებაში ყოველთვის არის დაფარული ქვეტექსტი. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად იქმნება ახალი გზა აზრიდან სიტყვისკენ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების გავლით“ (ვიგორტსკი 1999:331). სწორედ ასეთ ახალ მნიშვნელობებს გვთავაზობს პოეტური მეტყველება. იქნებ არც ისე ახალია დღეისთვის ის აზრი, რომელიც თავის დროზე კანტმა გამოხატა აგრეთვე მეტაფორულად: ორი რამ მაოცებს ამ-ქეყნად—ვარსკვლავებიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში! — მორალური კანონი თუ უფლისმიერია (და ნამდვილად არის უფლისმიერი), მასთან ვარსკვლავებიანი ცის დაკავშირება სულაც არ არის შემთხვევითი და ამასვე ადასტურებს კანტის ამ აზრის ანა კალანდაძისული რეინტერპრეტაცია. იქნებ სამყარო სულ რამდენიმე მეტაფორის (რე)ინტერპრეტაციაა?

**ლირიკული სუბიექტის იდენტიფიკაცია  
ანუ კონცეპტი სისხლი მუხრან  
მაჭავარიანის პოეზიაში**

**კონცეპტი\* „სისხლი“**

«Понимание простого стихотворения предполагает не только понимание каждого из составляющих его слов в его обычном значении: необходимо понимание всего образа жизни данного общества, отражающегося в словах и раскрывающегося в оттенках их значения»

**Эдвард Сепир**

„— იცი, რამ მოგიყვანა, ბაბუა?  
— არა! — უპასუხა შვილიშვილმა.  
— მე გეტყვი, აბა: სისხლმა მოგიყვანა, ბაბუა,  
სასწაულია სისხლი. . . . . მხოლოდ სისხლი  
ლაპარაკობდა და ფიქრობდა, ხოლო რას ლაპა-  
რაკობდა და ფიქრობდა სისხლი, — ღმერთმა  
უწყის!“

**ნოდარ დუმბაძე „სისხლი“**

---

\* ტერმინ კონცეპტის განვიხილავთ კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც, კონცეპტი სამყაროს ენობრივი სურათის საფუძველი, „მრავალგანზომილებიანი წარმონაქმნია, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ დენოტაციურ, არამედ კონტაციურ მნიშვნელობათა მთელ სპექტრს.

---

„სისხლი“ არქეტიპული სიმბოლოა, რომელთანაც ერთდროულად არის დაკავშირებული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტაკიები. მნიშვნელობათა აბმივალენტურობა არის კონცეპტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი (განსხვავებით სიტყვისაგან).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის ფრაზეოლოგიაში სისხლთან დაკავშირებით უარყოფითი შინაარსის კონტაკიები სჭარბობს. ასეთებია: სისხლი აეძღვრა (ბრაზი მოერია), სისხლი მოაწვა (ბოლმა ახრჩობს), სისხლი გაუყინა (ელდა ეცა, შეეშინდა), სისხლი გაუშრა (გაიტანჯა), სისხლი თავში აუვარდა (მეტისმეტად გაბრაზდა), სისხლი მართებს (ვინმე ჰყავს მოკლული), სისხლს ეძებს (ვინმეს მოსაკლავად დასდევს) და ასე შემდეგ.

«Архетипический символ «кровь» имеет парадоксальную природу и создаёт более значительное, чем обычно, напряжение. Его полный семантический спектр включает элементы, связанные как с добром, так и со злом, причём первый – достаточно ясный, а второй\_относительно тёмный, но из-за этого ещё более зловещий...» (უილრაიტი 1990:99).

სისხლი არის სიმბოლო სიცოცხლის, სიკვდილისა და სიყვარულის; დაკავშირებულია დაბადებასან, ქორწინებასთან, ომთან... კონცეპტი „დაატარებს“ ბიბლიურ ცოდვასაც, რაც ასე გამოხატა ანა კალანდაძემ ლექსში: „და თქვა უფალმან...“

---

და თქვა უფალმან კაენის მიმართ:  
სად არის აბელ, მმაი შენი...  
კაენ, სად არის, აბელ?  
სისხლის იკვრება რკალი... (ხაზგასმა ჩე-  
მია—ც.პ.)  
სხვისას... არ იღებს ზეცა,  
საკუთარს ითხოვს, კაენ!

სისხლი ქრისტიანული სიმბოლოცაა: იესომ „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალ-  
თათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათე, 26, 27-28).

„სისხლის ყიფილი“ – ეს მეტაფორა დაკავ-  
შირებულია ყოველივე მშობლიურთან, რომე-  
ლიც განუყოფელია ადამიანის „მე“—სგან. ამი-  
ტომ, თუ ადამიანი ტოვებს სამშობლოს, ის  
ტოვებს საკუთარ თავსაც, გარკვეული აზრით,  
რადგანაც ადამიანი კოლექტიურ—ისტორიული  
სხეულის, სამშობლოს ნაწილია.

ვაჟა—ფშაველა „ალუდა ქეთელაურში“ სის-  
ხლის აღების წესს ასე აპროტესტებს:

ვისაც მტერობა მასწყურდეს,  
გააღოს სახლის კარია,  
სისხლ დაიგუბოს კერაში,  
თვითონაც შიგვე მდგარია.  
ღვინოდაც იმას დაპლევდეს,  
პურადაც მოსახმარია.  
პირჯვარი დაიწეროდის,  
მითამ საყდარში არია.

---

სისხლშია პქონდეს ქორწილი,  
იქ დაიწეროს ჯვარია,  
დაიპატიჟოს სტუმრები,  
დაამწკრიოდეს ჯარია.  
სისხლში დაიგოს ლოგინი,  
გვერდს დაიწვინოს ცალია,  
ბევრი იყოლოს შვილები,  
ბევრი ვაჟი და ქალია;  
იქვე საფლავი გათხაროს,  
იქ დაიმარხოს მკვდარია.  
შენ რო სხვა მაჰკლა,  
შენც მოგკვლენ,  
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

წარმოდგენილ ნაწყვეტში მტრობის მოსურნე და შურისმაძიებელი ადამიანის მთელი ცხოვრება სისხლის ფონით არის წარმოდგენილი და ნაჩვენებია ცხოვრების ამ წესის შეუქცევადი ხასიათი. კონცეპტის ამგვარი გააზრება, რა თქმა უნდა, უარყოფით კონოტაციებს ქმნის.

სისხლი ითხოვს სისხლს, სისხლი წყვეტს... ზოგჯერ ის ადამიანზე მეტია... აღექ-სანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ შეიძლება დავიმოწმოთ ამ კონტექსტით: „ძოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!“

ქართულ პოეზიაში სისხლის სხვა მნიშვნელობებიც გვხვდება. საინტერესოა, ილია ჭავჭავაძის მიერ პოეზის განმარტება: „პოეზია ნიჭია, მადლია, რომელიც ეძღვევა კაცთა, მხო-

---

ლოდ ღვთივ რჩეულთა, მადლია, მაგრამ, ამას-  
თანავე, ტვირთიც არის, რადგანაც იგი მოვლე-  
ნილია, რათა ჭრილობიდან სისხლის შეუწყვე-  
ტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს!“  
პოეზიის სისხლთან დაკავშირება საინტერესო  
სახეს ქმნის. ერთი მხრივ, სისხლდენა მტკივნე-  
ული პროცესია და, მეორე მხრივ, ლექსის და-  
ბადება – დიდი სიხარული. ამგვარ ამბივალენ-  
ტურ კონტაციას ქმნის სისხლი ტიციან ტა-  
ბიძის ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში:

გდიოდა ლექსი, შენ როგორც სისხლი,  
მოურჩენელი გულის იარა,  
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი  
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

„სისხლის სისხლთან ზიარება“ – ეს არის  
პოეზიის, როგორც სისხლის, და ფიზიკური  
სისხლის ურთიერთშერევის მისტიკური აქტი.

გარკვეული აზრით, ყოველი ცივილიზაციის  
კულტურული სტერეოტიპების სისტემა წეს-  
რიგდება იმ ენის მეშვეობით, რომლითაც მოცე-  
მული ცივილიზაცია გამოიხატება... ენა – სეპი-  
რის მიხედვით – ეს არის „სოციალური სინამ-  
დვილის“ გზამკვლევი. ადამიანები ცხოვრობენ  
არა მხოლოდ მატერიალურ და სოციალურ  
სამყაროში, როგორც ეს მიღებულია ვიფიქროთ,  
მნიშვნელოვანი ხარისხით ყველა ისინი იმყო-  
ფებან კონკრეტული ენის გავლენაში.... შეიძ-  
ლება ვიფიქროთ, რომ ენათმეცნიერებას აქვს  
ხელმძღვანელის როლი კულტურის „ფსიქო-

---

ლოგიური გეოგრაფიის“ შექმნაში (სეპირი 2003:130).

„ადამიანი სამყაროს შეიცნობს უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე. ეს გამოცდილება ჩვენს ხუთ გრძნობას ემყარება. ბუნებრივი ენის სემანტიკაზე სინამდვილის პროეცირების შედეგად წარმოიქმნება „პროეცირებული სამყარო“, რომლის რეალურისაგან განსხვავება განპირობებულია ადამიანის თავისებურებებითა და კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკით“ (გამყრელიძე 2003:465).

ვფიქრობთ, რომ ცალკეულ პოეტთა შემოქმედებაში კონცეპტების გამოვლენა—ანალიზი დაგვეხმარება აგრეთვე პოეზიის „ფსიქოლოგიური გეოგრაფიის“ შექმნაში.

## კონცეპტი სისხლი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

პოეზიით ყოფიერების დაფუძნება  
„ღმერთის მინიშნებებს“ უკავშიდება  
და, ამავე დროს, პოეტური სიტყვა  
გადმოცემაა „ერის ხმისა“.

მარტინ პაიდევერი  
პოლდერლინი და პოეზიის არსი

ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ  
სდებანო, მაგრამ სისხლი მწარდება,  
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა!  
სისხლი არასდროს არ დაწყნარდება!  
გალაკტიონი

ტექსტთან დაკავშირებით იდენტიფიკაციის  
განსხვავებული ფორმები არსებობს, რამდენა-  
დაც ტექსტი დინამიკურ დამოკიდებულებაშია  
ავტორთან და მკითხველთან. ბახტინი ორი ტი-  
პის ავტორს განასხვავებს. ერთი, რომელიც  
ტექსტს ქმნის და მეორე, რომელსაც ტექსტი  
აღადგენს, ანუ წარმოსახვითი (ლირიკული სუ-  
ბიექტი). მკითხველი ძალიან ხშირად ნამდვილ  
ავტორთან აიგივებს ლირიკულ სუბიექტს.  
ბახტინის მიხედვით კი, ლირიკული მე არ  
შეიძლება გავაიგივოთ ავტორის მე—სთან, რად-  
გან ავტორი ყოველთვის „თამაშობს“ და ხში-  
რად ემიჯნება კიდეც წარმოსახვით ავტორს,  
ზოგ შემთხვევაში, ამისთვის ის ირჩევს ფსევ-  
დონიმებს და ახდენს მისტიფიკაციას...

შესაძლოა, რომ ბახტინის ეს შეხედულება  
სხვაგვარადაც გავიაზროთ. ხშირად პოეზიით  
შექმნილი დრო—სივრცე არსებითად განსხვავე-

---

ბულია რეალური დრო—სივრცისაგან, ამიტომ შეიძლება გაჩნდეს ილუზია, რომ წარმოსახვითი ავტორი რეალურს არ შეიძლება ემთხვეოდეს, მაგრამ ამგვარი დამთხვევა—დაუმთხვევლობაც მხოლოდ პირობითია. თუ პოეზია „სხვა დროა“ ან, უფრო ზუსტად, სხვა განზომილება, რომელშიც დროს სხვა სიჩქარე აქვს, ან საერთოდ არა აქვს სიჩქარე, მაშინ რეალური ავტორი, რომელიც რეალურ დროსა და სივრცეშიც ხოვრობს, შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ შემოქმედად, რომელიც ახალ—ახალ სამყაროებს ქმნის და ამრავლებს (ანაწევრებს) საკუთარ თავს... არის თუ არა, წარმოსახვითი ავტორი „სიმულაკრი“, რომელსაც „დედანი“ არა აქვს, ეს სხვა მსჯელობის საგანია.

როგორც ბარტი იტყოდა ედგარ პოს ერთი ტექსტის ანალიზისას, კვლევის მიზანია არა ნაწარმოების მთელი სტუქტურის აღწერა, არა—მედ მოძრავი სტრუქტურების აღმოჩენა, რომლებიც იცვლება მკითხველიდან მკითხველამდე ისტორიის მანძილზე; მთავარია, ნაწარმოების აზრობრივ სივრცეში შეღწევა, სემიოზისში წვდომა. „ჩვენი ამოცანაა — წერს ბარტი, მოვიხელთოთ არა ყოველგვარი აზრი ტექსტისა (ეს შეუძლებელიც იქნებოდა, რამდენადაც ტექსტი უსაზღვროდ გახსნილია უსაზღვროებაში: არანაირ მკითხველს, არანაირ სუბიექტს, არცერთ მეცნიერებას არ შესწევს ძალა, გააჩეროს ტექსტის მოძრაობა), არამედ ის ფორმები, ის კოდები, რომელთა მეშვეობითაც წარმოიშობა ტექსტის აზრი“ (ბარტი 1989:425).

---

ამ მიზნისა და ამოცანების გათვალისწინებით, განვიხილავთ ლირიკული სუბიექტის იდენტიფიკაციას პოეტის შემოქმედებაში ინდივიდუალური კონცეპტების გამოკვლევის გზით. ალბათ, ქართველი მკითხველისათვის არ იქნება მოულოდნელი, თუ ვიტყვით, რომ მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი კონცეპტი სისხლია. ამ ტიპის კვლევის შედეგად, ანა კალანდაძე ვარსკვლავების პოეტია, ტერენტი გრანელი-ქარის და ა. შ...

განვიხილოთ მუხრან მაჭავარიანის ლექსი:  
„შენ, სისხლო ჩემო“, რომელშიც

სისხლი – საქართველო / საქართველო –  
პოეტი / სისხლი = პოეტი

შენ –

სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო...

შენ –

სად არ გხვრებდა შავი ყორანი...

ვინ გაგაკვირვოს,

რამ გაგაკვირვოს,—

ნადიდგორალი,

ნაშამქორალი.

შენ –

სისხლო ჩემო –

შენი ღვაწლია,

რამაც აქამდეც კი მოაღწია:

სვეტიცხოველი,

სანძთა,

ვარძია

---

და ისიც, —  
რაც მტერს წარუტაცნია.

შენ —  
სისხლო ჩემო —  
შენი დინება  
ვეფხისტყაოსნით ზშირად მიგრძვნია...  
სიტყვა,  
რომელიც გეჩოთირება —  
ვცდილობ — გაშორო, —  
რაც შემოძლია,

შენ —  
სისხლო ჩემო —  
სისხლო ზნიერო,  
დაუცხრომელო და უცნაურო...  
საბედნიეროდ,  
საბედნიეროდ, —  
ჰაი, ჰაი, რომ  
კიდევ ხმაურობ.

ლექსში იდენტიფიკაციის საინტერესო ფორმაა: პოეტი იდენტიფიცირებულია საქართველოსთან, ხოლო, თავის მხრივ, საქართველო სისხლია, რომელიც პოეტის სისხლძარღვებში ჩეფჟს. ლირიკული გმირი II პირის ნაცვალსახელით მიმართავს საკუთარ (საქართველოს) სისხლს: „შენ, სისხლო ჩემო!“

სისხლის მეტაფორიზაციის მაღალი ხარისხი მრავალი ფაქტორით შეიძლება აიხსნას: ის არის მთავარი მკვებავი გულისთვის და ადამიანის (ქვეყნის) სიცოცხლის წყარო (სისხლის

---

გაშრობა ადამიანის სიკვდილია), თხევადია, დენადი, წითელი ფერის, გენეტიკური კოდის (ინფორმაციის) მატარებელი...

ყველაფერი სისხლის დამსახურებაა, რამაც აქამდე მოაღწია... ხოლო პოეტისთვის „ვეფხისტყაოსნით“ მისი დინება კიდევ უფრო საგრძნობი ხდება.

საქართველო ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია, რომელშიც ქართველების „დაღვრილი“ და „დასაღვრელი“ სისხლია...

**დაღვრილი სისხლი –**  
„შენ, სისხლო ჩემო,  
სად არ დაღვრილო“.

„ხმითა უხმოთი შებღავის ზეცას  
სისხლი, – ძეთათვის დაღვრილი ძეთა.“

„მამული სისხლით გააჯერეს იმდენად  
მტრებმა, –  
წვიმას ვერ იტანს...  
დროდადრო ცრემლი ისე წვეთავს  
საბას წვერიდან...“

„უნდა დაღვარო რამდენი სისხლი...  
კაცი რომ გახდე კუთვნილის ღირსი“.

„თხევა სისხლისა მათისა –  
ღვარი წვიმისა ვითა...“

**დასაღვრელი სისხლი –**  
„მაგრამ, ჯერ კიდევ,

---

ღვთით, შემოგვრჩა სისხლი იმდენი, –  
ქვლავ რომ დაუღვაროთ,  
დასჭირდება სამშობლოს თუკი!“

„სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,  
მე დასაღვრული მედარდვის სისხლი“.

კონცეპტი სისხლი მუხრან მაჭავარიანთან, ძირითადად, დაღვრილ და დასაღვრულ სისხლთან, რაიმეს სისხლით მოპოვებასთან არის ასოცირებული, რომლითაც შეიძლება აიხსნას ქართველთა ეთნოკულტურული თავისებურებანი.

სისხლი ინფორმაციის მატარებელია, სისხლის ფასიც იცის პოეტმა:

ნამყო მე არ მეეჭვება,  
სისხლის ვიცი ჩემის ფასი;  
.....  
რის ბეჭედი! რა ბეჭედი! –  
მთავარია, სისხლი! სისხლი!..  
ნამყო მე არ მეეჭვება,  
სხვათაშორის, არც მერმისი.

ცნობილია, რომ ძველ საქართველოში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს თავისი „სისხლის ფასი“ ჰქონდა (აქედან – ცისფერი სისხლი – ყველაზე მაღალი ფასის მქონე). მაგალითად, ვახტანგის „სამართალში“ თავადთა სამი ხარისხის სისხლი არსებობდა. „დიდებული თავადის“ სისხლი 1536 თუმანს უდრიდა,

---

„მუა თავადისა“ – ორჯერ ნაკლებს, „მესამე ხარისხის თავადისა“ კი – ოთხჯერ ნაკლებს. აზნაურებიც სამ ხარისხად იყოფოდნენ, ვაჭრების, მსახურთა და გლეხთა სისხლის ფასიც განსაზღვრული იყო.

როცა პოეტი ამბობს, რომ: „სისხლის ვიცი, ჩემის ფასი!“ – მისი სისხლი ყველაზე უფრო ძვირ ფასთან იდენტიფიცირდება, რადგან მეტაფორულად იგი მხოლოდ გმირებისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების სისხლს დაატარებს, რომელთა სისხლი ფასდაუდებელია. ვინ არიან ისინი, რომელთა სისხლიც პოეტის სისხლში „ბოლთას სცემს?“ დავიმოწმოთ ისევ მუხრანის ლექსი:

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი,  
შოთა რომ იყო,  
რუსთველი,  
მისი.

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი,  
საბა რომ იყო,  
სულხანი,  
მისი.

სხვათანი შენში სისხლი ჩქეფს ვისი, –  
არცა მსურს ცოდნა  
და არცა ვიცი.

კიდევ ვინ „მიმოდის“ პოეტის სისხლში? ამ კითხვაზე პასუხი ისევ ლექსში უნდა ამოვიკითხოთ:

---

ყველაზე უწინ ვინც გასხლა ვაზი,  
ქვა სხვაზე უწინ ვინც დასვა ქვაზე,  
ვინც სხვაზე უწინ გასჭედა რკინა,  
ვინც სხვაზე უწინ იხმარა ინა,  
ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი, —  
სისხლად მიმოდის  
დღეს  
ჩემში  
იგი.

მოიპოვება რა! — ქვეყანაზე!  
მოიპოვება რა! — თუგინდ ცაში!  
რომ ჩემთან იგი არ იყოს ბავშვი  
და სისხლის ჩემის რომ იყოს ფასი?!  
(ხაზგასმა ლექსებში ყველგან ჩემია—ც.პ.)

სისხლი ყველაფერს იმახსოვრებს, სისხლმა  
ყველაფერი იცის... პოეტი ქმნის საკუთარ  
ასლს (თუ დედანს) პოეზიის სახით, რომელ-  
შიც ისევე ხმაურობს სისხლი, როგორც ფიზი-  
კურ სხეულში:

სამაგიეროდ, —  
ოდეს ხორცი მიეცა მიწას,  
ოდეს ლექსშილა ხმაურობდა პოეტის  
სისხლი, —  
ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა...

რაკი, ლექსებში სისხლი მოძრაობს და ხმა-  
ურობს, ქართულ ლირიკაში ჩნდება იმგვარი  
მეტაფორული სახე, როგორიცაა „სულის კარ-  
დიოვრაძა“.

---

სისხლია შემოქმედი, ზღვასავით ბობოქარი:

ძალ—ღონე  
სისხლსაც ზღვასავით ერჩის,  
ზღვასავით  
ბრდლვინავს ხანდახან ისიც:  
ვით ზღვა ქვიშიდან აკეთებს კენჭებს,  
სიტყვებს  
აკეთებს ფიქრიდან სისხლი.

საბოლოოდ, სისხლი წყვეტს:

რომ არა ხორცი იყო,  
არამედ  
იყო უხორცო სიცოცხლის ღირსი! —  
ვერავინ გეტყვის,  
არავინ იცის, —  
თვინიერ სისხლის, —  
შენივე სისხლის!

სისხლი უწყვეტ ციკლს ქმნის — წარსულიდან მოდის აწმყოში და გადაედინება მომავალში. სისხლის უწყვეტობა (ქართული გენის უკვდავების მეტაფორა) კარგად გამოიხატა მუხრან მაჭავარიანის ლექსში: „ვითარცა მტკვარი...“

ვითარცა ღვინო — ქვევრიდან ხაპში —  
ხაპიდან დოქში — დოქიდან ჯამში —  
ქართული სისხლი, ქართული სული,  
ქართული სიტყვა, ქართული გული  
გადადიოდა კაციდან კაცში...

---

გზადაგზა სვამდნენ, ამღვრევდნენ,  
ღვრიდნენ,  
უღმერთოდ პრყვნიდნენ, უგულოდ ჰყიდდნენ.  
და . . . მიუხედავად ამისა,  
მაინც, —  
გამოიარა რუსთველის გული,  
გამოიარა ვახტანგის გული,  
გამოიარა თამარის გული,  
გამოიარა სულხანის გული...  
და დღეს —  
შოთაის ნაქონი სისხლით,  
და დღეს —  
ვახტანგის ნაქონი სისხლით,  
და დღეს სულხანის ნაქონი სისხლით —  
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:  
ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი,  
ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი  
და...  
იარონ! იარონ! იარონ!  
ამინ!

წარმოდგენილი ლექსი ერთგვარი ლოცვა  
და საგალობელია ქართული გენისა. ამ სიმ-  
ძაფრეს ავტორი სწორედ სისხლის პოეტიკით  
აღწევს. „კაციდან კაცში“ სისხლის გადასვლა  
„თასიდან თასში“ გადასვლასთან ასოცირებუ-  
ლი, ერთგვარად მისტიკურ რიტუალს ემსგავ-  
სება და „გრაალის თასის“ სიმბოლიკასაც  
გვახსენებს.

მუხრან მაჭავარიანის ამ განწყობას ენათე-  
სავება ოსიპ მანდელშტამის ლექსი ბატიუშკო-  
ვისადმი მიძღვნილი:

---

Что ж! Поднимай удивлённые брови,  
Ты, горожанин и друг горожан,  
**Вечные сны, как образчики крови,**  
**Переливай из стакана в стакан.**

მარადიული სიზმრები ასოცირებულია ისევ  
სისხლთან. „ჭიქიდან ჭიქაში“ გადასხმა კი იძ  
ტიპის მეტაფორაა, როგორიც „კაციდან კაცში“  
და „თასიდან თასში“. ამ შემთხვევაში მთავა-  
რია „გადასხმა“, როგორც უწყვეტობის, ციკ-  
ლურობის სიმბოლო. თავად ბატიუშკოვის პოე-  
ზიისთვისაც დამახასიათებელია „გადასხმის“ და  
„თასიდან შესმის“ პოეტიკა. მაგალითად:

Ах! Пото же мне заране,  
Друг любезный, унывать?  
**Вся судьба моя в стакане,**  
**Станем пить и воспевать... («К Петину»)**

მირზა გელოვანი ერთ ლექსში წერს:

თქვენ ღვინოს ნუ სვამთ სხვა თასიდან,  
  უარი თასებს!  
უარი ყველას... სიყვარული ერთს ათასიდან.  
ვინც უკვდავებას, როგორც ხვითოს,  
  ქვეყნად აფასებს,  
დალიეთ ღვინო ჩემი თასიდან.  
ვულკანის ტკივილს სიყვარული  
  ვინც შეავედროს,  
ვისაც სურს, ღამის ნაოჭებში ცამ  
  გაუღიმოს,  
დალიეთ სისხლი ამ თასიდან უაღავერდოდ,  
ჩემი თასიდან დალიეთ ღვინო.

---

მირზა გელოვანის დამოწმებულ ლექსში სისხლი და ღვინო სინონიმებია. „დალიეთ სისხლი ამ თახიდან“ ბიბლიური ალუზიაა. კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ზემომოტანილ ციტატას: იესომ „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათე, 26, 27–28).

რატომ მაინცდამაინც სისხლის მეტაფორიზაციით გადმოიცემა სულის უკვდავების იდეა? ამ მოვლენის ასახსნელად შეიძლება მივმართოთ ისევ სისხლის ბიბლიურ გაგებას. მაგალითად, ბიბლიაში ვკითხულობთ: „რაღვან სისხლშია ხორციელის სული...“ (ლევიანნი, 17:11) ანდა: „რაღვან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი...“ (ლევიანნი, 17:14). ამ გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთ აიხსნას ილია ჭავჭავაძის გამონათქვამი: პოეზია მოვლენილია, „რათა ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს!“. მაშასადამე, პოეზია „სისხლის გადასხმაა“, თან გამუდმებული გადასხმა... რატომ სისხლის? რაღვან სისხლშია სული! (ბიბლიური გაგება).

სისხლის განსაკუთრებულობასა და ძალაზე მეტყველებს ძველ საქართველოში ძმადნაფიცობის სისხლის შერევით განმტკიცების ტრადიციაც.

---

ზემომოყვანილი ასოციაციები გამოიწვია  
სწორედ მუხრან მაჭავარიანის ლექსმა: „ვითარ-  
ცა მტკვარი“.

თანამედროვე პოეზია წინამორბედებისაგან  
ესტუაფეტასავით იღებს და სვამს ღვთაებრივ  
სითხეს პოეზიის თასიდან იმ ფაქტის აღსანიშ-  
ნავად, რომ ახლა მასში მოედინება რუსთავე-  
ლის, თამარის, ვახტანგის... გალაკტიონის,  
ანას, მუხრანის... სისხლი. ამ მხრივ, საინტე-  
რესოდ გვეჩვენება ახალგაზრდა პოეტის, რეზო  
გეთიაშვილის ლექსი – „ძკვდრების მანიფეს-  
ტი“, რომელიც პოეტური (და არა მხოლოდ)  
სისხლის ერთგვარი რეინტერპრეტაციაა და  
რომელშიც ისმის მუხრანის: „მე დასაღვრული  
ძედარდვის სისხლი“ – ს გაცილებით მძაფრი პა-  
თოისი. აი, ფრაგმენტი ამ ლექსიდან:

მოდით, დავხოცოთ ერთმანეთი, თავისუფლება,  
სისხლის დუღილი, სისხლის მაღლმა,

თვალებს დასიცხულს,  
სისხლის აღების, სისხლის წესით, სისხლის  
სუფრებად,

შენ, სისხლო ჩემო, სისხლო სხვისო,  
ზოგადად, სისხლო.

ვინც გადარჩება, ჩაიბარებს სულ ყველას ცოდვას,  
ჩვენი სულების საუკუნოდ განსასვენებლად,  
ჩვენ უკვე მზად ვართ ვემსახუროთ სამშობლოს,

ჰოდა,  
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში სისხლი  
ღმერთის სინონიმადაც კი გამოიყენება. როცა

---

ცხოვრებისგან დაღლილ პოეტს უნებურად აღმოხდება:

აღარც სისხლი მწამს,  
აღარც გრძნობა  
და აღარც ალლო...  
ღმერთმანი, ვერა გავიგე რა  
მე ამ ცხოვრების:  
მე შენზე უფრო არავისთან  
ვყოფილვარ ახლო,  
ყველაზე უფრო  
მე მაინც შენ მეუცხოვები.

„აღარც სისხლი მწამს“ გამონათქვამით ჩანაცვლებულია „აღარც ღმერთი მწამს“ გამონათქვამი. წარმოდგენილი კონტექსტიც განსაზღვრავს სისხლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოეტისათვის.

### P. S.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ქართული სისხლი და პოეტური სისხლი, მაშინ მუხრან მაჭავარიანი, მეტაფორულად რომ ვთქვათ, „ცისფერსისხლიანი“ პოეტია!“ და კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ მარტინ ჰაიდეგერს: „პოეზიით ყოფიერების დაფუძნება „ღმერთის მინიშნებებს“ უკავშიდება და, ამავე დროს, პოეტური სიტყვა გადმოცემა „ერის ხმისა“. პოლდერლინის პოეზიის გამო ნათქვამი ასე მორგებული აღმოჩნდა მუხრან მაჭავარიანის პოეზიისთვისაც!

---

## დასკვისთვის:

სამყაროს ქართული ენობრივი სურათის „დასახატად“ მნიშვნელოვანია ქართული პოეზიის ენობრივი სურათი, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ცალკეულ პოეტთა ენობრივი სურათების შექმნას. ინდივიდუალური კონცეპტების გამოვლენა-ანალიზი ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა. აღმოჩნდა, რომ თუ ანა კალანდაძე „ვარსკვლავების“ პოეტია, ტერენტი გრანელი – „ქარის“... მუხრან მაჭავარიანის პოეზიის მთავარი კონცეპტი სისხლია. კონცეპტი სისხლი პოეტის შემოქმედებაში ავლენს არა მხოლოდ ძირითად სალექსიკონო და მეტაფორულ მნიშვნელობებს, არამედ ინდივიდუალური პოეტიკის მთელ სპექტრს, რაც, საბოლოოდ, ნასაზრდოებია ამ სიტყვის არქეტიპული, ბიბლიური თუ მითოლოგიური შინაარსებით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი დეტალი, რომელიც კვლევისას გამოიკვეთა: თუ სისხლი ქართულ ფრაზეოლოგიაში უმეტესად უარყოფით კონოტაციებს აჩენს, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში პირიქით, დადებითი კონოტაციების სიჭარბეა.

ამდენად, კონცეპტი სისხლი გვევლინება იმ მეტაფორულ ბადედ, რომლის ქსოვა არ დამთავრებულა და არც არასოდეს დამთავრდება, სანამ ენა ცოცხალია და აგრძელებს ქმნადობას. ძირითადი აზრი კი მუხრან მაჭავარიანის სისხლისა, ეს არის პოეტის საქართველოსთან და საქართველოს სისხლთან იდენტიფიკაცია, რომ-

---

ლიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს — პოეტის სისხლთან იდენტიფიკაცია. ეს ის სისხლიცაა, რომელიც, როგორც ილია იტყოდა, „კაცთა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად“ არის მოვლენილი.

## თოვლის სემანტიკა

ადამიანის ცნობიერება წარმოადგენს „სუფთა დაფას“, რომელზეც ბუნება, სამყარო აღბეჭდავს თავის ნიშნებს...  
მერაბ მამარდაშვილი

სემიოტიკაში მნიშვნელოვანია ნიშნის პრობლემა, ხოლო ნიშნის კვლევისას სიტყვის სემანტიკის განსაზღვრა უმთავრესია. ლექსემის მნიშვნელობა შეიძლება გამოვიკვლიოთ ენის (როგორც სისტემის) ფარგლებში და მეტყველების ფარგლებში. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს სალექსიკონო მნიშვნელობასთან, ხოლო მეორე შემთხვევა სიტყვის სემანტიკის დასადგენად უფრო რთულია, რადგან მნიშვნელობას შევისწავლით ენის გამოყენებისას სხვადასხვა დისკურსის ფარგლებში(ოფიციალურ-საქმიანი, საგაზეთო-პუბლიცისტური, სამეცნიერო, სასაუბრო, მხატვრული და სხვა). შესაბამისად, სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება რომელიმე მეტყველებაში ამავე სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობის ასიმეტრიულიც კი იყოს, ან გაუჩნდეს უამრავი კონტაკიური მნიშვნელობა.

---

პოეტური დისკურსი ამ მხრივ ყველაზე უფრო რთული და მრავალგანზომილებიანი სივრცეა, რამდენადაც ენა თავის შესაძლებლობებს ყველაზე მეტად პოეზიაში ავლენს. რაღაც ენა აზრის გაფორმების საშუალებაა, ნებისმიერი ენობრივი ერთეული (სიტყვა, ფრაზა, გამონათქვამი...) განხილული უნდა იყოს კონტექსტში. ჩვენი კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ აქტუალიზებული ენობრივი ერთეულები (რომლებსაც ამავე დროს აქვთ უნივერსალური ხასიათი) პოეტურ მეტყველებაში და დავადგინოთ მათი სემანტიკური საზღვრები. ასეთ შემთხვევაში კონცეპტის „ბირთვი“ იქნება სალექსიკონო მნიშვნელობა და შემდეგ ყველა ის კონოტაციური, მათ შორის, გადატანითი მნიშვნელობები, რომელსაც აჩენს ესა თუ ის ლექსემა გარკვეულ კონტექსტში. ამ მეთოდით ენის აღწერა გამოავლენს ქართული ენის პოტენციალსა და სილრმეებს და, ამავე დროს, სხვა ენების შესაბამის მასალასთან შედარება საშუალებას მოვცემს გამოვავლინოთ უნივერსალური და სპეციფიკური სახე—სიმბოლოები პოეტურ მეტყველებაში.

რას აღნიშნავენ პოეზიაში ბუნების მოვლენები? პოეტის რომელი და როგორი განცდის მეტაფორები არიან? ამ მხრივ, ქართული პოეზია მდიდარ მასალას იძლევა. მირზა გელოვანის ლექსში „ოოვლი“ სიტყვა თოვლი მრავალგვარ კონტექსტშია წარმოდგენილი და სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

---

## თოვლი

თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი,  
სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა.  
მგონია მოხვალ, შენ მოხვალ ერთი  
და თოვლის სპეტაკ კუბოს მომიტან.

დამმარხე თოვლში, დამმარხე ქარში,  
თორემ მომბეზრდა მიწა ბოროტი,  
იჩქარე, ვიდრე თოვლივით წავშლი  
შენზე ფიქრებს და შენზე მოლოდინს.

წახვედი როდის, ჰბრუნდები როდის –  
დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი,  
ჩემკენ, ო, ჩქარა, გზაც აქეთ მოდის,  
თოვლი, თოვლი, თოვლი.

მათოვდა წუხელ, ავად ვარ ახლა  
და თვალზეც ბინდი ჩამორხეულა,  
ამდენი ვნება, ამდენი დაღლა,  
სად დაიტიოს ჩვილმა სხეულმა.

თოვლი მოსულა, რომელ მხარეში,  
სად გიღამდება დღე თოვლნარევი,  
დავრჩი მზისა და თოვლის გარეშე,  
ამ თოვლზე უფრო ნამტირალევი.

წახვედი როდის, ჰბრუნდები როდის –  
დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი,  
წამოდი ჩემთან, გზაც აქეთ მოდის,  
თოვლი, თოვლი, თოვლი.

მირზა გელოვანი, 1944 წელი, ფრონტი

---

პირველ სტროფში გვაქვს ასეთი ოპოზიცია: თეთრი თოვლი – სხვანაირი თოვლი. სხვანაირი თოვლი მითითებაა არა ფერზე, არა-მედ რაღაც გარკვეულ შინაარსზე. შემდეგ სტრიქონში კი გვაქვს ამგვარი სინტაგმა: თოვლის სპეციაკი კუბი, რომელიც სატრფომ უნდა მოუტანოს პოეტს, ეს მეტაფორა ერთდროულად აღნიშნავს სიცივისა და სისპეტაკის განცდას.

მეორე სტროფში არის პოეტის მოწოდება: „დამძარხე თოვლში, დამძარხე ქარში...“, ავტორი აქვე განმარტავს, რატომ თოვლში? „რადგან მომბეზრდა მიწა ბოროტი“. ამ კონტექსტიდან გამომდინარე: მიწა – ბოროტია, თოვლი – კეთილი... ესეც პოეტური თოვლის კიდევ ერთი სემნტიკური ნიუნი. ამავე სტროფშია სინტაგმა: „თოვლივით წავშლი“... პოეტი სატრფოს მიმართავს: „იჩქარე, თორემ თოვლივით წავშლი შენზე ფიქრებს და შენზე მოლოდინს“ (თოვლი როცა დნება, უკვალოდ მიდის).

მესამე სტროფში სატრფო შედარებულია „დამწვარი თოვლის მსუბუქ ბოლოთან“, რადგან სატრფო არის შორს, რადგან პოეტი ფრონტზე (სადაც ყველაფერი იწვის, მათ შორის, თოვლიც...), ხოლო ბოლო სინაზის სიმბოლოა. შემდეგი სახე თოვლთან დაკავშირებული არის გზა, რომელიც ისევე მიღის პოეტისკენ, როგორც თოვლი, ამიტომ სატრფოს ამ გზისკენ მიანიშნებს.

მეოთხე სტროფში სტრიქონი: „ძათოვდა წუხელ, ავად ვარ ახლა“ უნდა გავიაზროთ პირდაპირი მნიშვნელობით. ხოლო მომდევნო

---

სტროფში გამოთქმული განცდა: „დავრჩი მზისა  
და თოვლის გარეშე, ამ თოვლზე უფრო ნამტი-  
რალევი” იმ რეალობის აღნიშვნაა, რომ პოე-  
ტისთვის უცხო მხარეში მზე და თოვლი იგივე  
არ არის, რაც მშობლიურ მხარეში... მით უმე-  
ტეს, რომ ის ომშია და ყოველდღე სიკვდილს  
ელოდება... სწორედ ამიტომ ის „თოვლზე უფ-  
რო ნამტირალევია“ (ანუ თოვლი ტირის, როცა  
დნება...). განცდათა ზღვარზე თოვლის კიდევ  
ერთი მშვენიერი მეტაფორა დაიბადა.

როდესაც თოვლის სახე—სიმბოლოებზე და  
სემანტიკურ ნიუანსებზე ვსაუბრობთ, შეუძლე-  
ბელია გალაკტიონის „ისფერი თოვლი“ არ  
გავიხსენოთ. როგორც ზემოგანხილულ ლექსში,  
აქაც თოვლი სატრფოს სახეს უკავშირდება.  
თოვლთან ისფერის დაკავშირება უფრო მის-  
ტიურს ხდის ნარატივს. თოვა შედარებულია  
ქალწულების „ხიდიდან ფენასთან“ (რაც სიწ-  
მინდის ასოციაციას აჩენს). თოვლის სახეს  
უკავშირდება აგრეთვე „ძწუხარე ვრძნობა ცივი  
სისოვლის“ და, რაც მთავარია, ამ სტრიქონე-  
ბით მეტაფორიზებულია პოეტის შინაგანი გან-  
ცდა — „სიყვარულის მომენტი“.

ავტორის სევდიანი განცდის გამოხატულე-  
ბაა „ძვირფასო, სული ძევსება თოვლით“. სევ-  
დას თან ერთვის სისპეტაკის, სინაზისა და დი-  
ნამიკურობის განცდაც.

გალაკტიონისთვის სატრფოს ხელებიც  
„თოვლივით ძკრთალია“, რომელიც უღონოდ  
დახრილა „თოვლთა დაფნაში“. თოვა, პოეტის  
თქმით, ეს არის „ძწუხარე ვრძნობა ქროლვის,

---

მიმოვლის“ (ანუ ისევ დინამიკასთან, მოძრაობასთან დაკავშირება).

თოვლი „ლურჯი და დაღალული სიზმარიცაა“:

„თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული სიზმრით დამთოვა,  
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა...“

ასეთია გალაკტიონის ერთი ლექსის „თოვლისმეტყველება“. ამავე პათოსის გაგრძელებაა და სატრფო თოვლთანაა დაკავშირებული ირაკლი აბაშიძის ლექსში: „პირველი თოვლის სიმღერა“, ასეთივეა ოთარ ჭილაძის „მარინას თოვლი“:

### მარინას თოვლი

„თოვლი მოვიდა, მარინა, თოვლი.  
არც ისე მკაცრი ყოფილა ღმერთი.  
დედოფალივით სუფთას და მოვლილს,  
ჩემთვის აგზავნის და მხოლოდ ჩემთვის.

მე თოვლს ველოდი ძალიან დიდხანს,  
ცისკენ გარბოდა თვალი თავისით.  
და აი, ისიც, მოვა და მკითხავს...  
თუმცა, რას მკითხავს თოვლი, რა ვიცი.

მარინა, თოვლი შენი სულია!  
და განგებაა გამოგზავნილი,  
რომ ამირიოს გზები სრულიად  
და გზის ნაპირას დამსვას მგზავრივით.

---

ვითომ მივდივარ, თორემ ნამდვილად  
კი არ მივდივარ, შენ გელოდები.  
და თეთრი სივრცე ფიქრს მიადვილებს,  
მორთული ნაძვის მწვანე ტოტებით.

და თოვლი, ცივი ქურქით შეფუთვნილს,  
თავზე მევლება ქალური თრთოლვით,  
მაგრამ მე ვიცი, რომ შენ გეკუთვნი,  
გარემოცულიც ამხელა თოვლით.

წარმოდგენილი კონტექსტები არ არის  
სრული, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ  
უმთავრესად, ქართულ პოეზიაში თოვლი (თო-  
ვა) დაკავშირებულია სატრფოს სახესთან.

თოვლი არის: სატრფო, დედოფალი, სული,  
ქალი, განგება, ბედისწერა...

თოვლთან დაკავშირებულია ატრიბუტები:  
შორეული, იდუმალი, მონატრებული, თეთრი,  
სუფთა, სპეტაკი, კეთილი...

თოვლი ქმნის სინტაგმებს: თოვლივით წაშ-  
ლა, იისფერი თოვლი, თოვლში დამარხვა,  
სხვანაირი თოვლი, თოვლის სპეტაკი ქუბო,  
დამწვარი თოვლი, თოვლნარევი დღე, თოვლზე  
უფრო ნამტირალუვი, სულის თოვლით ავსება...

## **ცა და მიწა - სულისა და ხორცის მეტაფორა**

Поэта взор возвышенном безумье  
Блуждает между небом и землей.

*Шекспир*

ადამიანის შექმნის ბიბლიური ფაქტი, რომ უფალმა იგი შექმნა თიხისგან და ჩაპბერა სული, ანუ სიმბოლურად მიწა და ცა, მიწიერი და ზეციური გააერთიანა მასში, ეს „ფაქტი“ პოეზიაში შესაბამისად აღინიშნა და ბევრი ძებნა არ დამჭირვებია, რომ ამ აზრის შემცველი „სინონიმური სტრიქონები“ ამომეკითხა ქართულ პოეზიაში სხვადასხვა ავტორთან...

*იღია ჭავჭავაძე*  
„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა..“

*აკაკი წერეთელი*  
„ოქვენ რომ გვინდით, ის არ ვარ,  
სხვებს რომ ჰვინდით, არც ისა!  
შუაკაცი ვარ უბრალო,  
ხან მიწისა ვარ, ხან – ცისა!“

*გალაკტიონ ჭაბიძე*  
„მაგრამ მაინც შედარებით  
ცის და მიწის შეზავება,

---

მოგონების ნეტარებით  
ჩემს გულს ენათესავება.“

**გიორგი ლეონიძე**  
„მიწა ვიყავ და ცაი შევიქენ.“

**ტერენტი გრანელი**  
„არ ვიცი, ვინა ვარ,  
არ ვიცი, საღა ვარ,  
მე თითქოს იქა ვარ,  
მე თითქოს აქა ვარ...“

**მუხრან მაჭავარიანი**  
„ხორცი მასესხა მიწამ,  
სული მასესხა ზეცამ,  
თხემით ტერფამდე სესხმა,—  
რა უნდა გავცე სესხად.“

**ჯანსულ ჩარკვიანი**  
„ერთიანი ცა და მიწა  
ვის უპყრია ხელში...“

**შოთა წიმნიანიძე**  
„ოუ მიმზიდველი ეგ ცხოვრება  
ლეგენდად იქცა,  
მიზიდულობა წესია და  
კანონი ბრძნული,  
და რაკი სრულად ექუთვნოდა  
ცასა და მიწას,  
მიწამ სხეული მიიზიდა  
და ზეცამ — სული.“

---

### ტარიელ ჭანტურია

„ხარ სული და ხორცი –  
ხარ მიწის და ხარ ცის...  
მე რომ ვფიქრობ – არც ეს...  
სხვა რომ ფიქრობს – არც ის...  
ხან ისე გმულს თავი,  
ხანაც გავხარ ნარცის!“  
ხარ, ცხადია, მიწის,  
მაგრამ უფრო – ხარ ცის...“ და ა. შ.

თითქოს პოეტი „პირველი ადამიანია“, ქმნა-  
დობის შედეგი და ამავე ღროს, ახალი ქმნადო-  
ბის შემოქმედი, რადგან პოეზია „სიტყვებით“  
ახალი სამყაროს შექმნა და ეს სიტყვები უბ-  
რალო, ყოველდღიურ მეტყველებაში ინფორმა-  
ციის გადასაცემად გამოყენებული ლექსიკური  
ერთეულები კი არა, არამედ ღრმა აზრის გა-  
მომხატველი ნიშნებია, რომლებსაც პოეტის ში-  
ნაგანი სამყაროდან სრულიად შეუცნობელი  
სივრცეები „ამოაქვთ“, ამიტომ პოეტური ტექ-  
სტი, ისევე როგორც ნიშანი პოეზიაში, მრა-  
ვალგანზომილებიანია...

ერთი აზრი სრულიად სხვადასხვა შინაარ-  
სით, განსხვავებული სინტაქსითა და ლექსიკით  
შეიძლება გაფორმდეს სხვადასხვა ავტორთან. აზრის ძალა მის განსხვავებულ გამოვლინება-  
შია. მაგრამ ამგვარი პრეზენტაციის დროსაც კი  
გარკვეული კანონზომიერება იკვეთება. სწორედ  
ნიშნის ეს ბუნება უნდა ამოიცნოს სემიოტიკის  
მკვლევარმა. დაინახოს სისტემებს შორის ნიშ-  
ნის მოძრაობის უნივერსალური მოდელი. იმის  
მიუხედავად, რომ ეს ნიშანი ერთ შემთხვევაში

---

შეიძლება იყოს ვერბალური, სხვა შემთხვევაში – ვიზუალური...

გზა იდეიდან მატერიისკენ და საგნიდან აზრისკენ ნიშანში იკვეთება. სიტყვა კვდება, როცა მას ენაში აღარ გამოიყენებენ, როცა ის ფუნქციას კარგავს. შესაბამისად, საგანი როცა ფუნქციას კარგავს, კარგავს აზრსაც. მხოლოდ ფუნქცია, დანიშნულება ამოძრავებთ ნიშნებს და სძენს მათ აზრს.

ადამიანიც ნიშანია, თავისებური სიმბოლო და როცა ის ამბობს, რომ „აზრი შეიძინა მისმა ცხოვრებამ“, ნიშნავს: რომ ფუნქცია იპოვა, რომლითაც ის გარკვეული აზრის, იდეის მსახური იქნება.

ამ მსჯელობაში ნიშნის ერთი უნივერსალური ბუნება გამოიკვეთა, იმისათვის, რომ ნიშანმა იარსებოს, აუცილებელია ფუნქცია. სამყაროში შემთხვევით არც არაფერი ჩნდება და არც არაფერი კვდება.

მერაბ მამარდაშვილი თავისი ცნობილი „აზროვნების ესთეტიკის“ სალექციო კურსში ერთგან ამბობს: „ტრადიციულად ადამიანის ცნობიერება წარმოადგენს „სუფთა დაფას“, რომელზეც ბუნება, სამყარო აღბეჭდავს თავის ნიშნებს, ეს ნიშნები წესრიგდება რაღაც ასოციაციური კავშირებით, შეგედად კი ჩვენ ვიგებთ: ასე იგება ენა... ასე იგება ხელოვნება და სხვა“ (მამარდაშვილი 2000:166).

სამწუხაროდ, ადამიანური ცნობიერება თავისი აპარატით შეზღუდულია აღიქვას, დაინახოს და შეიმეცნოს სამყაროში ყველაფერი,

---

რაც ხდება, რადგან ჩვენ მხოლოდ იმას და იმ-  
დენს ვხედავთ, განვიცდით და აღვიქვამთ, რამ-  
დენიც ეს შეუძლია ადამიანურ ცნობიერებას.  
სინამდვილეში ჩვენი ხედვა ძალიან შეზღუდუ-  
ლი და ნაწილობრივია, რადგან თავად ვართ  
სუბიექტებიც და ობიექტებიც, როცა ვცდი-  
ლობთ, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საკუ-  
თარი თავი.

სემიოტიკა – ერთგვარი მოზაიკური მეც-  
ნიერებაა, მცდელობაა, უფრო მეტი სისტემის  
მეშვეობით ახსნას სამყარო და ადამიანი.

## ენის ფასცინაციური (მაგიური) ფუნქცია და ნისლის სემიოტიკა

პოეზია და მაგია

აი,ჩვენ წინაშეა ტექსტი. იგი ობიექტი კი არაა, არამედ რუკა – გეოგრაფიული აზრით, ან ქარტია – კონსტიტუციურად. ეს რუკაა, რომელსაც საკუთარი გზები და უხილავი განშტოებები, მიწისქვეშა ბილიკები აქვს.

უკა დერიდა

ენათმეცნიერებაში კარგად არის ცნობილი ენის კომუნიკაციური მოდელები, რომელთაც საფუძვლად უდევს იაკობსონის ფუნქციური სისტემა. აღნიშნული სისტემა ენისა და მეტყველების ფუნქციათა შორის ფიდეისტურ (მაგიურ) ფუნქციასაც განიხილავს.

კომუნიკაციის თეორიაში ნებისმიერი ურთიერთობის სიტუაცია ხასიათდება შემდეგი კომპონენტებით:

ადრესანტი – ე. ი. მოლაპარაკე ან მწერალი;

ადრესატი – მსმენელი ან მკითხველი;

---

ურთიერთობის მიზანი: ადრესატზე ზემოქმედება, ან თვითგამოხატვა, ან „სუფთა“ ინფორმირება, ან – სხვა;

ურთიერთობის სიტუაცია – ფართო გაგებით, კომუნიკაციის კონტექსტი;

ურთიერთობის შინაარსი – გადასაცემი ინფორმაცია;

ურთიერთობის არხი და კოდი – ზეპირი, წერილობითი, სატელეფონო, კომპიუტერული; სიმღერა, ჟესტი, მიმიკა; ურთიერთობის ენა და სტილი და სხვა (იაკობსონი 1975:193).

იაკობსონმა კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით განსაზღვრა ენისა და მეტყველების ფუნქციების სისტემა. მან გამოყო სამი უნივერსალური ფუნქცია ნებისმიერი ენისთვის ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში. ესენია: შეტყობინების (ურთიერთობის) ფუნქცია, ექსპრესიულებისური ფუნქცია და მარეგულირებელი ფუნქცია. იაკობსონი მარეგულირებელი ფუნქციის კერძო შემთხვევად განიხილავს ენის(მეტყველების) ფიდეისტურ(მაგიურ) ფუნქციას, რამდენადაც სიტყვიერი მაგის ადრესატი—თანამოსაუბრე, გრამატიკული II პირი კი არ არის, არამედ უხილავი III პირი, შესაძლოა ეს არის უმაღლესი ძალა.

ენის ფიდეისტურ(მაგიურ) ფუნქციას ავლენს შელოცვების ენა, რომელიც განსაკუთრებული სემიოტიკური სისტემაა. ენობრივი ნიშანი აქ ამჟღავნებს არაკონვენციურ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვა საგნის პირობითი აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ მისი

---

უშუალო ნაწილია. ელენე ბლავატსკაია ამის შესახებ თავის „საიდუმლო ღოქტრინაში“ მიუთითებს: ნიშანი გამოხატავს საგანს, საგანი (ფარული ან ოკულტური) არის ნიშნის თვისება. სიტყვის წარმოთქმა ნიშნავს, გამოიხმო აზრი და გახადო იგი არსებული. ოკულტურ სამყაროში ადამიანის მეტყველების პოტენციური მაგნეტიზმი არის ყოველგვარი გამოვლინების საწყისი. საგანი ჩვენთვის არის ის, რადაც სიტყვა ქმნის მას, როდესაც ასახელებს. სიტყვა (ზმნა) ან თითოეული ადამიანის მეტყველება, მათვის სრულიად გაუცნობიერებლად, წარმოადგენს განდიდებას ან შეჩვენებას. დიახ, სიტყვები ან კეთილშემოქმედი არიან, ან – ბოროტეულნი, ან – მომწამლავი, ან – ჯანმრთელობის მომტანნი (ბლავატსკაია 1998: 129).

როგორც აღვნიშნეთ, შელოცვების ენა ავლენს მაგიურ ფუნქციას. აქ ნიშანი უპირობოა. „ნიშნის არაკონვენციურობა ცნობიერების თავდაპირველ ფიდეიზმში კი არ დევს, არამედ ადამიანის ფსიქიკაში სამყაროს ასახვის პირველად სინკრეტიზმში. ეს არის ლოგიკურ-აზროვნებამდელი აზროვნების ფუნდამენტური მახასიათებელი. ასეთი იყო პირველყოფილი ადამიანის აზროვნება“ (მეჩეტება 1998:42).

სიტყვის არაკონვენციური გაგება დამახასიათებელია ბავშვთა ფსიქოლოგიისათვის – „სიტყვა იგივდება საგანთან“ (ჩუკოვსკი). მაგალითად, პირველკლასელმა შეიძლება ჩათვალოს, რომ წინადადებაში: „აქ დვას ორი სკამი და ერთი ძავიდა“ – სულ სამი სიტყვაა, ან

---

რომ სიტყვა „კანჯეტი“ – ტკბილია. მაშასადა-  
მე, ნიშნის არაკონვენციურობა ნიშნისა და აღ-  
სანიშნის, სიტყვისა და საგნის, საგნის სახე-  
ლისა და საგნის არსის იგივეობრიობა ყოფილა.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ჯა-  
დოსნური და წმინდა სიტყვების რწმენა დაკავ-  
შირებულია თავის ტვინის მარჯვენა ნახევარ-  
სფეროს მუშაობასთან, განსხვავებით მარცხენა  
ნახევარსფეროს მექანიზმებისაგან, რომელიც  
განაპირობებს ინტელექტუალურ-ლოგიკური და  
აბსტრაქტული ინფორმაციების მიღებას და გა-  
დაცემას. მარჯვენა ნახევარსფერო პასუხს  
აგებს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების  
გრძნობით-ემოციურ შხარეზე. თავის ტვინის  
მარჯვენა ნახევარსფეროშია აგრეთვე „მოთავსე-  
ბული“ არაცნობიერი და გაუცნობიერებელი  
პროცესები. ასეთ ვითარებაში ნიშნის არაკონ-  
ვენციურობის ფენომენი გვევლინება ძირითად  
ფსიქოლოგიურ-სემიოტიკურ მექანიზმად, რომე-  
ლიც ქმნის ენასთან ფიდეისტური დამოკიდებუ-  
ლების შესაძლებლობას. ეს ის მარცვალია,  
რომლიდანაც ამოიზრდება რწმენა ჯადოსნური  
და წმინდა სიტყვებისადმი. ენობრივი ნიშნის  
უპირობობა ამა თუ იმ ფორმით განსაზღვრავს  
ენის დამოკიდებულებას მითოლოგიურ-რელიგი-  
ურ ცნობიერებასთან.

იაკობსონი ენის მაგიურ ფუნქციას „ანათე-  
სავებს“ ენის ესთეტიკურ (პოეტურ) ფუნქციას-  
თან. გარკვეული აზრით, ეს მართლაც ასეა.  
ენის პოეტური ფუნქცია არ არის ორიენტირე-

---

ბული ტექსტის შინაარსზე. პოეზია მსმენელს (მკითხველს) განაცდევინებს ამაღლებულ გრძნობას. ზეგავლენა მიღლწევა რიტმის, რით-მის, სიტყვათა განსაკუთრებული რიგის, მეტა-ფორულობის და ა. შ. მეშვეობით. მაგალითად, გალაკტიონის „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ... ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის... სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“ – მსმენელზე ზემოქმე-დებს არა მხოლოდ შინაარსის მეშვეობით, მნიშვნელოვანია აგრეთვე მუსიკალობა, ბგერწე-რა, რიტმი, სტრიქონების შინაგანი ვიბრაცია...

მაგიურ სიტყვასა (შელოცვები) და პოე-ტურ მეტყველებას საერთო აქვს კიდევ ერთი ნიშანი: ადრესატზე ფასცინაციური ზემოქმედე-ბა, რაც გულისხმობს დარწმუნების მაღალ ხა-რისხს, შთაგონებას, „მოჯადოებას“, მაგრამ პო-ეზია, ჩემი აზრით, ამას აკეთებს ძალდაუტანებ-ლად, ბუნებრივად, შემოქმედებითად, ადრესატის წინასწარი მომზადების გარეშე, მაშინ, როცა შელოცვების ენა ძირითადად ავტომატიზებული ტექსტია და არა შემოქმედებითი, სავსეა კლი-შეებით, გაბუნდოვანებული სიტყვებითა და გა-მოთქმებით – აბრაკადაბრებით; შელოცვების ენის მხატვრულობა ბანალურია, განსხვავებუ-ლია კომუნიკაციური სიტუაციის კონტექსტიც. შელოცვების დროს ადრესატი (ე. წ. შემკვეთი) მზად არის „შთაგონებისათვის“ და შესაძლოა, შემღლოცველზე მეტად სჯერა შელოცვის სიტ-ყვების აზრისა (ამის მოდელია თანამედროვე ფსიქოთერაპიის პრაქტიკა), ამიტომ გამოლოც-

---

ვის ტექსტის ბუნდოვანება და აბრაკადაბრების ტიპის გამონათქვამი მისთვის მხოლოდ საშუალებაა სასურველი მდგომარეობის მისაღებად; რაც შეეხება პოეტურ მეტყველებას, მას პრაქტიკული მიზანი არა აქვს. მაშასადამე, პოეზიასა და მაგიას შორის განსხვავება აღემატება მათ შორის ნათესაობას.

თუმცა პოეზიას თავისი მისტიკა აქვს, განსხვავებული „პრაქტიკული მაგიისაგან”, რადგან პოეზია არ არის ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობა და, შესაბამისად, მისი აღქმაც მოითხოვს ”გადაყვანას” შემოქმედის, პოეტის მდგომარეობაში, რათა მოხდეს ავტორისა და მკითხველის შეხვედრა.

რა ხერხებითა და საშუალებებით აღწევს ამას მხატვრული სიტყვა, შეუძლია თუ არა მკვლევარს იმ იდუმალი კანონების მოხელთება, რომლებიც ნამდვილად არსებობს ტექსტში, მაგრამ არ დევს ზედაპირზე და შეუმჩნეველია, როგორ უნდა გაიზომოს ლექსის ზემოქმედების ხარისხი, მისი ენერგია...? – ეს ის კითხვებია, რომლებზედაც პასუხს ვეძებთ.

როდესაც პოეტური ტექსტი მეტაფორულია, მხატვრული სახეებით დატვირთული, მაშინ ვამბობთ, რომ ზეგავლენას ახდენს სწორედ ამგვარი მხატვრულობა, მაგრამ როდესაც ტექსტი დაცლილია მეტაფორულობისაგან და მხოლოდ უბრალო სიტყვათა სინთეზია, მაშინ? ასეთ შემთხვევაში იაკობსონი საუბრობს ”გრამატიკის პოეზიაზე”, როდესაც აქტუალიზდება გრამატიკული კატეგორიები და ქმნის გარკვე-

---

ულ ტროპულობას...., თუმცა ამგვარი მტკიცებულებაც შეიძლება სადაც გახდეს.

პოეზია „მიგნებული სიტყვის“ ხელოვნებაა, მაგრამ რას ნიშავს „მიგნებული სიტყვა“ და როგორ ვზომავთ ამ მიგნებულობას? ჩვენ მხოლოდ დროში და დროით შეფასებული მხატვრული ტექსტები ვიცით, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ზეგავლენის მექანიზმი ბუნდოვანი რჩება.

ენის ესთეტიკური (პოეტური) ფუნქცია ორიენტირებულია აღქმის მთლიანობაზე, ანუ ზემოქმედებას ახდენს ენის არა ერთი რომელიმე, არამედ მთელი მისი კომუნიკაციური შესაძლებლობები. ასეთ ნიშანს უმბერტო ეკო, მორისის მსგავსად, უწოდებს „იკონურ ნიშანს“ (ეკო, 2004:89). მისი აზრით, პოეზიაში ლინგვისტური ნიშანი იქცევა ერთგავრ „სტიმულთა ველად“, ესთეტიკური ველი კი იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ მის ასახსნელად საკმარისი არ არის უბრალო მოქმედებები, რომლებიც, მაგალითად, რეფერენციული შეტყობინების აღქმისთვის იქნებოდა საკმარისი.

შესაბამისად, პოეტური ენის აღქმის ამგვარი რთული მექანიზმი, ტექსტის წაკითხვის მრავალ შესაძლებლობას აჩენს, რადგანაც აღქმა სუბიექტური პროცესია და განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის, აღმქმელის შინაგანი მდგომარეობით და სხვა.

ერთი და იგივე ნიშანი პოეტურ ტექსტში და ჩვეულებრივ, პრაგმატულ მეტყველებაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ენის ესთეტი-

---

კური ფუნქცია ენის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაა და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოეტურ ტექსტში არ არის მეტაფორა, სიტყვა, როგორც იკონური ნიშანი, არავითარ შემთხვევაში არ იგივდება ლინგვისტურ ნიშანთან, რომელიც სხვა დისკურსებში გამოიყენება (მაგალითად, ბუნების მოვლენები: წვიმა, თოვლი, ქარი, ნისლი.... პოეზიაში და მეტეოროლოგიურ პროგნოზებში საერთოდ განსხვავებულ კონტექსტებშია).

როგორც აღვნიშნეთ, ენის ესტეთიკური ფუნქცია გულისხმობს „მისტიკურ“ და „მაგიურ“ დონეებსაც და რაც უფრო მაღალმხატვრულია ნაწარმოები, მით უფრო იზრდება ამგვარი ზემოქმედების ხარისხი. ამიტომ არის, რომ კარგი ლექსის მოსმენისას მსმენელს ეუფლება დუმილი და სიტყვებით ემოციას ვერ გამოხატავს გარკვეული პერიოდი. ამბობს, რომ ამ სტრიქონებმა „გააბრუა“, „გათიშა“, „თავბრუდააზვია“, „დაამუნჯა“, „ენა წაართვა“ და სხვა.

ამ მდგომარეობას მისტიკის ენაზე „წაშლა“ ჰქვია, ანუ ჩვეულებრივი ცნობიერების ერთგვარი „დაბინდვა“, „დაცარიელება“.... ანუ, ჩვეულებრივ ენაზე: ესთეტიკური სიამოვნების მიღება.

პოეზია — ეს არის სიტყვების გზით და სიტყვების მეშვეობით „დუმილის“ მოპოვება. ჭეშმარიტი პოეზია ის არის, რომელიც დუმილს ბადებს. „პოეტი — არის მისტიკოსი წამიერად, ხოლო მისტიკოსი — პოეტი მარადიულად“ (ოშო რაჯნიში).

## ნისლის პოეტიკა

შემომხედეთ, მე მზე ვარ და  
გადავწიე ნისლის ფარდა,  
ახალ გაზაფხულად მოგელ,  
რომ ვახარო უფლის ყანა.

ჯალალ ჯა-დინ რუმი

პოეტურ ლექსიკაში შეიძლება გამოვყოთ  
იმგვარი სახე-სიმბოლოები, რომლებიც უფრო  
მეტად ატარებენ „მისტიკურობის“ და „მაგიუ-  
რობის“ სემანტიკას. ერთი ასეთი სიტყვა-კონ-  
ცეპტია ნისლი, რომელსაც სულხან-საბა ასე  
განმარტავს: „მზის სიმხურვალე წყალთა ქვეყა-  
ნათა ნოტიოთაგან ორთქლსა აჰკრეფს და შეიქ-  
მნების ნისლი, უკეთუ მრავალი აღიღო მისგან,  
იქმნების წვიმანი და თუცა მცირედი აღიღო,  
მანანად შეიქმნების, ხოლო ნისლიცა ესრეთ  
განიყოფებიან: მცირესა და თხელსა ნისლსა  
ეწოდების ფოშფოში, ხმელსა და მტვრის  
მსგავსსა ნისლსა – ბორიაყი, ხოლო ნოტიოსა  
ნისლსა ბორი და ნისლსა მონათოვსა ბუერი  
და ნისლსა ზრქელსა და ძლიერად მქროლელ-  
სა, რომელი შეკრბების მთათა ზედა, არმური“.

სიმბოლოთა ლექსიკონების მიხედვით: ნის-  
ლი – სიმბოლოა “ნაცრისფერი ზონისა” რეა-  
ლურსა და არარეალურს შორის. ძველი კელ-  
ტური მითის მიხედვით, ის ფარავს დედამიწის  
ჩრდილო-დასავლეთს ამქევენიური სამყაროსა  
და იმქევენიურის საზღვარზე, ის არის აგრეთვე  
სიმბოლო ადამიანისთვის მიუწვდომელი სფე-  
როებისა...

---

აღმოსავლურ-აზიურ ლირიკაში ნისლი არის უმთავრესად შემოდგომის და აფორიაქტული განცდების, აგრეთვე ავი სულების სიმბოლო... ევროპულ ზღაპრებში ნისლი სიმბოლოა ხშირად ადამიანისათვის მომავლის და იმპერიურის ჩაკეტილობისა, რაც მხოლოდ სინათლით შეიძლება გაიხსნას.

მხატვრულ ლიტერატურაში ნისლი აქტუალიზებული სახე-სიმბოლოა, რომელიც განსხვავებულ კონტექსტებში განსხვავებულ სემანტიკურ და ემოციურ კონტაციებს აჩენს. ნისლი ბინდში ხვევს საგნებსა და მოვლენებს, აფერხებს მოძრაობას, ბადებს გაურკვევლობის შეგრძნებას... შესაბამისად, გზაზე მიმავალი მგზავრი ჩერდება, ფერხდება.... ან აგრძელებს გზას და იკარგება... ნისლი ქაოსის მდგომარეობაა, რომლიდანაც შემოქმედი(მწერალი) ქმნის „ახალ წესრიგს“... ნისლი ფერისცვალების წინა ეტაპია, მასში იბადებიან მონსტრები, დემონები, ურჩხულები და ნისლიდან იბადება ანგელოზი, ღვთისმშობელი.... მისტიკური რელიგიები ნისლის სიმბოლიზმს მიმართავენ ინიციაციის დროს. სულმა უნდა გაიაროს სიბნელისა და ნისლის მდგომარეობა და გასხივოსნდეს, გავიდეს სიცხადეში. საინტერესოა ქართულ ენაში არსებული ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორებიცაა: თვალებზე ნისლი გადამუქრა, გონება დამებინდა, ნისლში წავედი, ნისლი გადამუჯარა... და სხვა, რომლებიც ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობის დაკარგვას აღნიშნავენ, როდესაც ადამიანი შორდება რეალობას და დროებით „იკარგება“.

---

ორი უკიდურესობის კარგ ნიმუშს გვაძლევს ამერიკელი მწერალი ფანტასტიკისა და მისტიკის უანრში: სტივენ კინგი(იგივე რიჩარდ ბახმანი) პროზაულ ნაწარმოებში: ნისლი (The Mist) და ბრაზილიელი მწერალი პაულო კოელიო რომანში: რიო პიედრას ნაპირზე ჩამოვჯეხი და ავტირდი (By the River Piedra I Sat Down and Wept).

ერთ შემთხვევაში პატარა, პროვინციულ ქალაქში თითქოს არსაიდან მოსული ნისლი იპყრობს ქუჩებსა და სახლებს, ნისლიდან იბადება მრავალსახოვანი სიკვდილი, რომელიც ნოქავს და ანადგურებს ადამიანებს... ხოლო პაულო კოელიოს ნაწარმოებში ნისლიდან იბადება, გამოდის ქალღმერთი... „ჩვენ გარშემო ნისლი თითქოს გამოცოცხლდა, შეიძინა თავისი საკუთარი ყოფიერება, გარდაიქმნა ერთგვარ წმინდა სუბსტანციად...“ (რიო პიედრას ნაპირზე ჩამოვჯეხი და ავტირდი).

ნისლის საინტერესო, ამბივალენტური სემანტიკაა ფრანგი მწერლის ბორის კიანის მოთხრობაში „სიყვარული ბრძა“ (*l'amour est aveugle*). სქელ ნისლში თანდათან ჩაძირულ ქალაქში ადამიანები ვეღარ ხედავენ ერთმანეთს, ამიტომ თავს უფლებას აძლევენ, რომ მიძინებულ ვნებებს გასაქანი მისცენ, რის შედეგადაც ყველა ბედნიერად გრძნობს თავს. „შესაძლებლის საზღვრები ფართოვდება, როცა არ გეშინაა, რომ სინათლე აინთება“. და აი, რადიო აცხადებს, რომ ნისლი იფანტება და ქალაქის მოსახლეობამაც გამოსავალი მონახა: ყველამ

---

დაითხარა თვალები, რათა გაეგრძელებინათ  
ბედნიერად ცხოვრება.

ქართული პროზიდანაც არაერთი ნიმუშის  
დამოწმება შეიძლება. მაგალითად, კონსტანტინე  
გამსახურდიას „დიონისოს ღიმილიდან“: „....ნის-  
ლი თავს დასხმია ქალაქს, მთელი ქუჩები ნის-  
ლით დავუბულა. იხრჩობა ქალაქი ნისლის  
წარლვნაში. ნისლი დვას კარებთან, ნისლი კედ-  
ლებთან ატუზულა და კანკალებს...

...თალხი ლანდები დაღასლასებენ ნისლში  
ჩაძირულ ქალაქის ქუჩებში...

...ზაფხული მოძვრარა და ეს უშველუბელი,  
ადამიანების ლანდების პროცესია თავზაქინდორუ-  
ლი მიჰყება უკან ამ საარაკო ყეუნობას...

...ნისლი ამდგარა ყინულოვან ოკეანედან,  
ნისლი ამდგარა ზღვების ფსკერებიდან და ამ-  
ბოხებულა...

...ჩრდილოეთიდან მოსულა ქურდულად, ფე-  
ხაკრეფით, ზამთრის სუნთქვა და ჩემი გული  
იკუმშებება კარამისაგან...

...მე მარად მიხდა ვიყიალო ამ ქვეყანაზე,  
თუ ჩემს სულს გათოშავს ჩრდილოეთის ნის-  
ლი, საქართველოში კი ბევრია მზე და ცის ნა-  
ჭერი...“

ამგვარი მაგალითები მსოფლიო ლიტერა-  
ტურაში მრავლადაა და ნიშანდობლივია, რომ  
ნისლი ერთსა და იმავე დროს არის სიკვდილი-  
სა და სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის,  
დადებითისა და უარყოფითის აღმნიშვნელი. ის  
არის კონცეპტი, რომელიც მრავალინტერპრე-  
ტაციის საშუალებას იძლევა.

## ნისლის გზა ქართულ პოეზიაში

საინტერესო პოეტიკას ქმნის ნისლი ქართულ პოეზიაში:

**ნისლი დაბრკოლებაა, ვაურკვევლობაა:**

მთაო, გადმიშვი, მაღალო,  
რას ნისლი მოგიხვევია,  
მთას იქით ჩემი ლამაზი  
სხვას ვისმეს ჩაუხვევია. (ხალხური)

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?  
ნისლი პბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“  
(აკაკი წერეთელი, აღმართ-აღმართ)

დღემ მოიტანა ალაზანამდე,  
ნისლის შავი ზღვა რომ გადათელა;  
დღეო, ნეტავი აღარ დაღამდე,  
თუ დაღამდები, არ გაგათენა.

(ტიციან ტაბიძე, ალავერდობა)

თითქოს ნისლია, არაფერს ვხედავ  
და თითქოს მქონდა შავი ნიღაბი.  
(ტერენტი გრანელი, სიზმარი)

ნისლი ადამიანივით სულიერია, ამიტომ პოეტი მიმართავს მას, როგორც თავისი სულის თანაზიარს, ან, უფრო სწორად, იდენტიფიკაციას ახდენს მასთან, როგორც ვაჟა-ფშაველა, როდესაც ამბობს: „ნისლი ფიქრია მთებისა“ ან უსვამს საკუთარი თავისთვის დასასმელ კითხვებს:

---

რას ფიქრობ, ნისლო ტიალო,  
შემჯდარო გორის ფხაზედა?  
განა შენც რამე გაწუხებს  
ამ ოხერ ქვეყანაზედა?

(არჩილ კიტოშვილი, ნისლი)

გაძრიელ ჯაბუშანური კი პირდაპირ ამ-  
ბობს:

მე ვარ: გორზე რომ ლოცულობს ნისლი,  
ღამის სიჩუმე ჩემი ფიქრია,  
წყაროა ჩემი ცრემლი და სისხლი,  
თმა არის, კლდეს რომ ქუჩი მიჰკვრია.

ზოგჯერ კი ნისლი სატრფოა:

ვაჟაო, დილის მზის სხივო,  
სან მთებზე ნისლთა დინებავ...

ან:

ნისლაურო, ნისლი ხარო,  
გამიქრები: მზისი ხარო...  
მე არაგვზე დავრჩებოდი,  
მაგრამ, რა ვქნა, სხვისი ხარო...

(ანა კალანდაძე)

სხვაგან კი ანა წერს, რომ უნდა ისე განუ-  
ყოფელი იყოს სატრფოსგან, როგორც ნისლი  
და მთები:

---

მოვედით სამადლოს ზევთან...

ნისლებში დანთქმულა ისიც...

მე მინდა, სულ ვიყო შენთან,

როგორც ეს მთები და ნისლი!

ტარიელ ჭანტურიას ლირიკული გმირები  
ლექსში: კოლგოთა, ზღვის დონიდან 7500  
მეტრის სიმაღლეზე, შეყვარებულები, თოკით  
გადაბმულები, მიიწევენ ნისლში მწვერვალის-  
კენ, რაც მეტაფორულად გამოხატავს იესოს  
გზას:

შეკრულებს ერთი თოკით და რწმენით –

ორვეს ბნელი უფსკრული გვიმზერს...

აქ არ არსებობს სანდო და ძველი

გზა.... ნისლებს ნისლი უსხლტებათ ქიმზე.

---

ბედია: ზოგი აღწევს ღრუბლებთან...

და უფსკრულების წერაა ზოგი!

მე არ გემდური.... გქონდა უფლება,

რომ გადაგეჭრა სიკვდილის თოკი....

პოეტ გუჩა კვარაცხელიას ლირიკული გმი-  
რისთვის სიყვარული სატრფოსგან შექმნილი  
ნისლი და ბურუსია:

მე შენით შექმნილ ბურუსში ვცხოვრობდი.

ჩვენ ამას სიყვარულს ვეძახდით. თუმცა

არასოდეს გითქვამს, რას გრძნობდი,

როცა ჩემი ნესტოების სუნთქვა გესმოდა.

ჩემს წერტილს ვეძებდი შენს

კოორდინატთა სისტემაში.....

(გუჩა კვარაცხელია, ნუ დაყნოსავ ყაყაჩორას)

---

ნისლის საინტერესო სახეს გვთავაზობს აგრეთვე პოეტი რატი ამაღლობელი, როცა მას სატრფოს თვალებთან და ფერისცვალებასთან აკავშირებს:

თვალები შენი, ჩემი თვალების ნისლი,  
შენი თვალების ნისლი,  
ფერისცვალება მთვარის,  
ფერისცვალება სიზმრის.....

სხვა შემთხვევაში პოეტი თეთრი ნისლით საგანთა ჭეშმარიტ ბუნებას სწვდება:

თეთრი ფერით, მკვეთრი ფერით  
დაიფარა ყველაფერი.  
თრთვილით, თოვლით, თეთრი ნისლით  
გამოვლინდა ფერი მისი.

(რატი ამაღლობელი, თეთრეული)

ნისლიდან იბადებიან გალაკტიონის უსახ-  
რულობისაკენ და შეუცნობლისაკენ მსწრაფი  
„ლურჯა ცხენები“, რომელზეც ანა კალანდაძე  
დაწერს:

თეთრი ნისლი ნისლებს ირევს –  
ეს ხომ „ლურჯა ცხენებია“,  
შვიდი ზეცა გადირბინეს,  
არსად შეუსვენებიათ...

მანამდე კი თავად გალაკტიონი აღიარებს,  
რომ „ლურჯა ცხენები“ მხოლოდ „ნისლის თა-  
რეშში“ დაჰქრიან:

---

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო  
მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის  
ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა—გრიალით ქრიან ლურჯა  
ცხენები!

და რადგან ნისლი შეუცნობლის მეტაფორა-  
ცაა, ის ყველა „მოგზაურის“ თანამდევია და  
ქროლვა უსასრულობისკენ, დაუსაბამობისკენ,  
შეუცნობლისკენ და, საბოლოოდ, უფლისკენ —  
ნისლში მოგზაურობაა. ნიკო სამადაშვილის  
ლექსში: „დაუსაბამობის ხილვა“ — პერსონაჟი  
ნისლშია გახვეული...

მე მივქროლავდი, როგორც უდაბნო,  
ცხედარზე უფრო დაუზარებლივ...  
და მსოფლიოდან ისევ მეძახდნენ  
ცადაკარგული ხშირი ზარები.  
სიტყვებს ვუგდებდი შეხვედრილ შარას:  
ტერფებს ფოთლებით ვერ დამიამებ,  
მონასტრის ზემოთ ვხედავდი შავად  
სივრცეში გაკრულ ადამიანებს.

ნისლის სკეტები იდგნენ გარშემო,  
ნისლებს შუადღეც ვერ ათენებდა.  
გული იწვოდა და ლურჯი კვამლი  
მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან...

---

---

„ნისლის გზა“ რჩეულთა გზაა, ამიტომ პო-  
ეტები „ავად არიან“ ნისლით, როგორც „შეოფ-  
ლიო სევდით“. ეს აზრი კარგად აქვს გამოხა-  
ტული ნიკოლაი გუმილიოვს ლექსში „ნისლი“:

я верно болен на сердце туман  
тумана нет на сердце я не болен  
нет я не болен и тумана нет  
ни в сердце нет ни даже в атмосфере  
тумана нет и облачности нет  
всё ясно значит ты наверно болен  
неизлечимо на сердце туман

.....

ტერებეტი გრანელის ლექსში „ექსკურსია  
ცისქანის“ „ნისლიანი უსაზღვრო სივრცე“ აგ-  
რეთვე შეუცნობელის სიმბოლოა:

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,  
არ მინდა გული სამარეს მივცე,  
მე წომ მინდოდა გასვლა მიწიდან,  
მე წომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.  
იქ უხილავი მხარე მიცდიდა  
და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე...

ნისლისა და მგზავრის სემანტიკაა დაკავში-  
რებული ნიკო სამადაშვილის ამ სტრიქონებში:

საღამო მოდის, ნისლი ზედაშეს  
სვამებ და დაისს მთები კენკავენ.  
ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ  
საქართველოდან გამოგვრეკავენ.

---

რა ვუყოთ მერე, ვიღაცა მგზავრი  
გაპყვება სტვენით გზნების მოლალურს,  
და შეადარებს გაქმნდილ ზარებს  
მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს.

ალექსანდრე აბაშელი კი სიკვდილის წინ  
დაწერილ ლექსში ერთგვარად აჯამებს გან-  
ვლილ „ნისლიან გზას“ და აფასებს, როგორც  
მოგზაური, რომელიც ამაოდ დაშვრა:

სანდახან ფიქრი დამბურავს,  
ვწევარ და არ მეძინება.  
ვიტყვი ცხოვრების სამდურავს  
და ცრემლი დამედინება.  
გზას რომ გავხედავ ნისლიანს,  
ჩავქრები, ჩავიშრიტები:  
გზაზე რომ ყრია, ვისია,  
ფრთამოტეხილი ჩიტები?

---

ვერაფერს გავხდი მზისაკენ  
მუდამ ხელების აშვერით,  
რაც გულს უნდოდა, ისა ვქმენ,  
მაგრამ ამაოდ დავშვერი!

როგორც ვხედავთ, ქართულ პოეზიაშიც  
ნისლს თავისი გზა აქვს, თავისი პოეტიკა და  
თავისი უღრმესი სემიოტიკა. ის ქმნის საკუთარ  
ზღაპარს და საკუთარ სიუჟეტს. ნისლი და-  
მოგზაურობს პოეტიდან პოეტში, სტრიქონიდან  
სტრიქონში, ტექსტიდან ტექსტში... ის გაივ-  
ლის შემოქმედ გულებს და სულებს... ანდა, სა-  
მუდამოდ რჩება მათში. ნისლი თვითონ წყვეტს,

---

საით წავიდეს და ეს თვისება მას დააქვს პოეზიაშიც. ის არ არის ყველა პოეტის სტუმარი, ყველას არ წყალობს, მხოლოდ რჩეულებს და რჩეულთაგან მხოლოდ ერთეულები აღწევენ თავს და აი, სწორედ მაშინ დგება სულის მისტიკური გასხივოსნება – ინიციაცია...

ნისლის არსი და იდეა კარგად აქვს გახსნილი ერთ თანამედროვე ავტორს, ნიკა ჯორჯანელს, ლექსში „მეზავრობა ნისლში“, რომლის სრულ ვარიანტსაც აქვე გთავაზობთ:

„ნაღვლიანი სივრცე ღია/ ბარდნის. დაზრებ ეკალ-ბარდნი./ ძველი დროის თეთრი დღეა./ ძველი დროის ციდან ბარდნის./ თვალი ნისლში ლამის გადნეს./ კელარაფრის ძჭვრეტი. თვითონ/ ნისლი კელზე ზანტად გადის./ ეშინიათ ღრუბლებს ციდან/ უცნაური ჩამოვარდნის./ წინათ თეთრზე რბოდა შავი./ ახლა უპვე თეთრის რონის/ ვხედავ შავზე, გაიშალა/ უსაგნობის მოქმედი ფონი./ წაიშალონებ მიღამონი./ გაქრნებ კვამლნი, საკვამურნი./ გათანაბრდა ყველა ღონებ./ აღალბედად გაკვალულმა/ გზამ, რომელიც მართმევს ღონებს./ კელარასგ ზით მოარიდა/ თავი ნისლს და გაქრა ისევ./ ყველაფერი მომხდარიდან/ ერთი რაღაც რჩება – ნისლი./ მაგრამ მაინც, მაგრამ ვისი/ ანდა რისი ბოლო არის/ ის? რა ცხადის დასაწყისი?/ ვინ წერს ამ, ვთქვათ, მემუარებს?/ ნება რისი ასახვისა/ აღარაფრად ავდებს ფიქრს და/ აივივებს სივრცეს ამგვარ/ ღანდთან, ჯვარს კი, ღმერთო, – იქსთან?/ უცებ „მე თუ მეძებ, აქ ვარ“/

---

მესმის ხვალის. მესმის, მაგრამ/ ის არ უნდა ყოფილიყო/ აქ. კტკრუებ მასში ჭმუნვის სავანს:/ გაცრეცილი პროფილიდა/ დამრჩენია სახისა-გან./ ნისლის შიგნით ვარ. ჩემ შიგნით კი/ ნის-ლის მხვავსი არის რაღაც./ სინაძღვილევ, შემი-რიგდი, / მინაზულე ზოგჯერ აქაც./ შენს კე-დელზე ფერმკრთალ ლაქს/ წარმოვადგენ ხვა-ლის შუქზე/ ნუ იფიქრებ, რომ დრო ვამყავს/ ნუ იფიქრებ, რადგან უკვე/ ხვალ არაფერს ნამ-დვილს არ ჰვავს/ დღე, რომელშიც ვსუნთქავ ჯერაც./ იმდენად ხარ სინაძღვილე, / რამდენა-დაც ჩემი გჯერა/ ნახავ: ნისლში ვინაძირებ/ კურდღლის მხვავსად მხტომ და მცირე/ ვასას-კლელზე გარეთ – შენში/ მაგრამ ვიცი, ავაცი-ლებ/ ყველა ტყვიას და შენ შეგმლის/ ჩემი სროლა სასაცილო, / ჩემი ხვალის სკელი ცეც-ხლი/ ...ხვალეში ვარ. ის კი თითქოს/ ვერ გე-ბულობს, რად ვიქცი, / მოხვედრილი მასში. მიღვას, / ფიქრობს სული და აღმითქვამს/ თა-ვისსავე ბოლოს კეთილს./ მეათასედ მისვამს კითხვას, თუ რა ვარსი ვავიკეთე/ მიღიმის და პასუხს ითხოვს.../ გზები, გზები, ვამირბიან./ ერთადერთის გაყოლებით/ ორივ მხარეს ხრამე-ბია./ ნელა-ნელა, დაღონებით,/ შეფერხებით, დაყოვნებით,/ უხალისოდ, არა ნებით/ მსრუსენ ნისლის ვაგონები.../ ვმადლობ ხვალეს, თუ იქ-ნება/ და ცოცხალი ვეგონები.“

ამ სტრიქონებში მთავრი პერსონაჟი ნის-ლია, ავტორი კი ნისლსშერთული ხმაა, რომ-ლის ნებელობა გადაფარული და დაკარგულია... ყველაფერი წაშლილია, გათანაბრებული... არე-

---

ულია დროც... ავტორი „ხვალე“-დან მოთქვამს, იქ არის... თუმცა ის ხვალეც არაფერს ნამდვილს არ ჰგავს... დახატულია ქაოსი, დაახლოებით „ჩანასახის“ მდგომარეობა, რომდღიდანაც წუთი წუთზე უნდა მოხდეს დაბადება... დაბადება ახალ გარსში, ახალ ცნობიერებაში... რა დაიბადება ამ ქაოსიდან? ახალი ნისლი და გაურკვევლობა, თუ სიცხადე და სინამდვილე.... ეს ჯერ არ ჩანს, თუმცა გარკვეული მინიშნებები ისმის „ჩანასახის“ ხმაში: „ფიქრობს სული და აღმითქვამს თავისსავე ბოლოს კეთილს“.

წარმოდგენილი კვლევიდან შეგვიძლია ნისლის სემიოტიკური ძოდელი გამოვიყვანოთ სიუჟეტის სახით:

მოქმედების ადგილი: ნისლი  
მოქმედების დრო: გაურკვეველია  
მოქმედების მიზანი: სწრაფვა სრულყოფილებისკენ, უფლისკენ;  
მოქმედი პირი: ავტორი სატრაფოსთან ერთად;  
მთავარი გზა: სიყვარულისა და ჰარმონიის;  
ნისლის გზა: უგზოობა;  
სხვა პერსონაჟები: შიში, მარტოობა, ნისლის ურჩხულები, ნისლის „ლურჯა ცხენები“...  
სულები...

მეტაფორა მნიშვნელოვანი მოვლენაა სამყაროს შემცნების პროცესში. ახალი ცოდნის პარადიგმის კონტექსტში მეტაფორა განიხილება,

---

როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი სააზ-როვნო მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მიმართებას სინამდვილესთან. სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო ჩვენთვის ბუნების მოვლენათა კონცეპტების მეტაფორული გააზრების რეპრეზენტაციული ვარიანტები ენობრივი ცნობიერების სტრუქტურებში და ამ შემთხვევაში ქართული პოეტური დისკურსის მასალების მიხედვით.

ბუნების მოვლენების კონცეპტებიდან ნისლი ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალიზებული სემანტიკაა, რომელიც პოეტურ დისკურსში გამოირჩევა მეტაფორიზაციის მაღალი ხარისხით. ქართულ პოეზიაში ნისლი ქმნის საინტერესო პოეტიკას, რაც გამოიხატება არა მხოლოდ მეტაფორულ და სიმბოლურ სემანტიკაში, არამედ ემოციური მნიშვენლობების მრავალფეროვნებაშიც. ნისლი ერთსა და იმავე დროს არის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციების აღმნიშვნელი, თუმცა საკვლევ მასალაში პროცენტულად დადებითი ემოციების სიჭარბე აღინიშნა. ნისლი პოეტების „მსოფლიო სევდის“ სიმბოლოცაა, რომლითაც პოეტები „ავად არიან“ და რომლიდანაც მათ არ უნდათ გამოსვლა... ნისლით გამოწვეული გაურკვევლობა ასოცირებულია იდუმალებასთან, იდუმალება კი ღვთაებრივის ნიშანია.

## სემიოტიკური ესეი „დუმილის ნაკრძალებში“

(გურია კვარაცხელიას ვერლიბრი)

ის გამოჩნდეს,  
ვისაც მკაცრი დუმილის  
ნაკრძალოვან სივრცეში  
შეესვლება.

გურია კვარაცხელია

სხვა ვერ გაიგებს, სხვა ვერ იგრძნობს, სხვა ვერ ახსნის, თუმცა პოეზიის ენას ახსნა სულაც არ სჭირდება, ის თავად ახსნის ბევრ რამეს, როცა ადამიანში შეაღწევს... როცა... მანმადე კი პოეზიის ჭიდან წყლის ამოღება უნდა ვისწავლოთ მთვარის სხივებით, მერე ამ წყლის დაგემოვნება — ნება-ნება, მზის თუ მთვარის სხივების თანხლებით შესძა ისე, რომ წყურვილის ყველა ნერვი გაცოცხლდეს და დატკბეს ღვთიური სითხით. ჩვენს აჩქარებულ სამყაროში კი წყალიც ისე სწრაფად ამოგვაქვს ჭიდან, რომ ნახევარზე მეტი გზაში გვექცევა,

---

ხან—მთვარის სხივებიც გვიწყდება, ჭის კედლებიდან ჩამოყრილი ხავსი უღიმღამოდ დაყრილა სათლის ფსკერზე... აბა, ასეთ წყალს რა გემოს გაუგებ?...

ლექსიც იმ წყალივითაა, გნებავთ, ღვინოსავით, რომელიც კარგად უნდა დაიგემოვნოთ! კარგად უნდა შეიგრძნოთ... თითოეულ სტრიქონს ხომ თავისი განსაკუთრებული ფერი, გემო, არომატი აქვს.

ის გამოჩნდეს,  
ვისაც მკაცრი დუმილის  
ნაკრძალოვან სივრცეში  
შეესვლება.

ბევრს იფიქრებთ — შეგესვლებათ თუ არა... ნუ იფიქრებთ, თქვენ იგრძნობთ... მეტაფორა მხოლოდ იმიტომ არ არსებობს, ლამაზი სამყაულივით დაამშვენოს ლექსი. მეტაფორა უსასრულობისაკენ გვიტყუებს, „განონების სამყაროს“ ანგრევს, დაუკავშირებელს აკავშირებს და ახალ რეალობას გვაზიარებს. აბა, წესით და რიგით, რა საერთო აქვს „დუმილს“, „ნაკრძალებთან?“ ისე, პოეტისა არ იყოს, რას არ წამოედები, „როცა საკუთარ თავში საკუთარ თავს ეძებ“ („უცნაური ამბავი“).

აქ შეხვდებით „წვიმით გაუეჟილ ჩრდილებს, შუქი რომ ქსაქსავდა“ („არითმია“). სიტყვის მნიშვნელობათა ჯამით ამ სახეს ვერ ახსნით. მართალი არიან სემიოლოგები, როცა ლექსიკონს „მნიშვნელობათა სასაფლაოს“ უწოდებენ. სიტყვა ცოცხლდება წინადადებაში,

---

ფრაზაში და ათასგვარ ნიუანსს იძენს. „წვიმით გაჟეჟილი ჩრდილების“ აღქმისას კი ცნობიერებაში ვიზუალური ხატიც ჩნდება, ერთგვარი ფერწერული ტილო, სწორედ ამაშია ამ სიტყვების ძალაც, რასაც, თავის მხრივ, იწვევს პოეტის ვიზუალური აზროვნების ცხოველმყოფელობა. რუსი ფსიქოლოგი ზინჩენკო ვიზუალურ აზროვნებას განსაზღვრავდა, როგორც ადამიანთა იმგვარ შემოქმედებას, რომელიც წარმოშობს ახალ ხატს, ახალ ვიზუალურ ფორმებს, რომლებიც მნიშვნელობას ხილვადს ქმნიან.

აბა, ეს სურათი თუ გინახავთ ოდესმე, თუ არა, აუცილებლად დაინახავთ ამ სტრიქონების წაკითხვის (არა, შეგრძნობის) შემდეგ:

ნიგვზის სქელ ფოთლებში  
ღიღველა ბარტყყივით  
ფართხალებს სხივი —  
ფეხს ვერ იკიდებს რტოზე,  
საიდან სად მოსული,  
აქ არ ჩამოვარდეს, საწყალი!  
(„აღწერა ტრაფარეტული სტილისტიკით“)

ამ სახემ ახლახან წაკითხული პარუირ სე-ვაკის ლექსის ფრაგმენტი გამახსენა:

მზის სხივებს მწვანე ჭინჭრიანშიც  
უნდათ შეღწევა,  
მაგრამ ცვივიან აქეთ—იქით —  
დასუსხულები.  
(თარგმნა გივი შაპნაზარმა)

---

სივრცესა და დროში დაშორებულ შემოქმედთა შორის ყოველთვის არსებობს იდუმალი რამ კავშირი.

გუჩა კვარაცხელიას მეტაფორული აზროვნება უამრავი ახალი განცდის, შეგრძნების წყაროა და, რაც მთავარია, მისი პოეზია უკიდეგანო, დაუსაზღვრავ სივრცეს გვთავაზობს. პოეტის შემოქმედებაში არცერთი ტროპი არ იქცევა იმგვარ სიმბოლოდ, ერთი, ერთადერთი მნიშვნელობა რომ ჰქონდეს.

ანდრეი ტარკოვსკი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: ხშირად მეუბნებიან, თქვენს ფილმებში უამრავი სიმბოლოაო და არავის სჯერა, რომ იქ ერთი სიმბოლოც რომ არ არის... რა არის სიმბოლო? ეს არის შიფრი, კოდირებული იდეა, ცნება, რომელიც შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გაიშიფროს. როცა კი მჭვრეტელი მას შიფრავს, ყველაფერი დამთავრებულია, უსასრულობის ილუზია ბანალობად, გაცვეთილ სახედ, ტრუიზმად იქცევა. ქრება საიდუმლო და მთლიანობის განცდა.

არც გუჩა კვარაცხელიას ამ სახეს მინდა მოვპარო საიდუმლო:

ბატქნის ცხვირივით  
ნოტიონ ნისლი  
ჩაიმუხლებს ასეთ მინდორზე  
და მიწას კოცნის.

(„ბუკოლიკური“)

---

რამხელა სინაზესა და სიფაქიზეს მატებს  
ბატკნის ცხვირის სინოტივე იმ ნისლს, მიწას  
რომ კოცნის.

ასე ყოფილა თურმე:  
როცა საკუთარ თავში  
საკუთარ თავს ეძებ,  
მაშინ წამოედები ხოლმე  
მანამადე შეუმჩნეველს.  
გვიან, მაგრამ მაინც ამჩნევ, რომ  
უთქმელობა,  
ვიცი, უთქმელობა  
გვაშორიშორებდა...  
(„ქალი“)

„უპასუხობის კონცხებმა“ დაამსხვრია  
„უსიტყვო ხომალდები“... ქალის საფლავს კი  
ამასობაში „ბამბა დაათოვს“. ნუთუ? ... აიშლება  
საფიქრალი... საინტერესოა, ხან თქმა აშორებთ,  
ხან — უთქმელობა ადამიანებს, ეს თითქოს  
ისეც იცი, მაგრამ პოეზიით განცდილი მაინც  
სხვა დასტურია.

ის მოვიდეს,  
ვინც წვიმის საიდუმლო იცის.

ასეთია „ხალხის მოთხოვნა მიტინგზე“ ვინ?  
ვინ იცის წვიმის საიდუმლო? ან ასეთი რა სა-  
იდუმლო აქვს წვიმას? პოეტმა იცის, გვეუბნება  
კიდევ — ოღონდ სხვაგვარად, ოკრობოკროდ,  
მიხვეულ-მოხვეულად, ორაზროვნად, აი, ასე:

---

ცოცხლები ტყუიან,  
დაიმოწმეთ მკვდრები!

ხლებნიკოვი ადამიანის მიერ ენის გამოყენებას ბავშვების თოჯინებით თამაშს ადარებს. ის წერს: თოჯინებით თამაშის დროს ბავშვმა შეიძლება გულწრფელად იტიროს, როცა მისი „ნაჭრის გუნდა“ ავადაა ან კვდება. თამაშისას ეს „ნაჭრის გუნდები“ ცოცხალი, ნამდვილი ადამიანები არიან — თავისი გულითა და გრძნობებით.

ენა „აშუალებს“ ადამიანის შინაგან ემოციებსა და გრძნობებს, მაგრამ აღბათ „თამაშის ხარისხზე“ დამოკიდებული, რამდენად ზუსტად გამოხატავს „ნიშანი“ (ენა) პოეტის სათქმელს, რამდენად გულწრფელად თამაშობს შემოქმედი სიტყვებით, როგორც ნაჭრის თოჯინებით.

თქვენ დაინახავთ „სიტყვების მომღერალ სილუეტებს“, როცა გუჩა კვარაცხელიას ლექსის: „ვისაც ჩვენი სახელები გერქმევათ“ — ჩაიკითხავთ. რაზე მღერიან „სიტყვის სილუეტები“, რომლებიც „თქვენი ხმების გრძელ დერეფნებში“ ჩასახლებულან? აქვეა პასუხიც:

ჩვენი სიტყვები ჩასახლდებიან თქვენს ხმებში,  
რომ მოგითხრონ,  
როგორ გავედით მეხუთე მხარეს  
და დავცინეთ ნაცრადქცევის შიშს;  
გასწავლიან ფოთლის მორცხვობას,  
რტოების როკვას მენუეტის მოკლე ნაბიჯით,  
თავის დაკვრით და რევერანსებით...

---

გუჩა კვარაცხელიას ლექსების კითხვისას, მისივე თქმის არ იყოს, „ბევრ რამეს წამოედებით, მანამდე შეუმჩნეველს“, იქნებ ძალისხმევაც არ გეყოთ, ლექსი ბოლომდე ჩაიკითხოთ, რადგან პოეტის რთული სინტაქსი, აზროვნება, დატვირთული ასოციაციებით, რომელიც ერთ წინადაღებაში დაახვავებს ჩართულებს, დეტალური აღწერის მანერა კი იმდენად ვრცელს ხდის წინადაღებას, რომ ზოგ შემთხვევაში წერტილს მხოლოდ ლექსის ბოლოს დაინახავთ... მანმადე კი, საკმაოდ ღრმად უნდა ჩაისუნთქოთ, რომ ძალა გეყოთ, აღიქვათ და გაიგოთ — ჯერ სად მთავრდება წინადაღება, მერე — რომელია მთავარი წინადაღება, ... შემდეგ — აზრი, ქვეტექსტი, მინიშნება და ა. შ. რითაც მდიდარია გუჩა კვარაცხელიას პოეტური ტექსტები, მაგრამ დამერწმუნეთ, თუ ბოლომდე ჩაიკითხავთ ლექსებს, თქვენ მას მეორედ და მესამედ აუცილებლად მიუბრუნდებით.

თანამედროვე მკითხველი — თავბრუდამხვევი რიტმების სამყაროს მკვიდრი, მოანგარიშე გონება, ლირიზმისაგან დაცლილი, მაგრამ ლირიკის თეორიით დატვირთული... ერთი სიტყვით... მკითხველთა უმრავლესობას, იოლზე, მარტივზე, ადვილადაღსაქმელზე რომ არის ორიენტირებული, რა თქმა უნდა, გუჩა კვარაცხელიას ლექსების წაკითხვა გაუჭირდება.

პოეტის აზროვნება, ისევე როგორც მისი შესაბამისი წერის სტილისტიკა, პარადიგმულია. ის პარალელურად უამრავ მიძინებულ აზრს და ფიქრს აღვიძებს, გრძნობას გიფორიაჟებს, შეგრძნებებს გიხალისებს, ემოციებს გი-

---

ცოცხლებს, წარმოსახვასა და ფანტაზიებს აგიმლის და ბოლოს, ყველაფერს ერთ მთლიანობაში შეკრავს შემოქმედი, საკუთარ სულში (და მკითხველის სულშიც) მოიხელთებს და რისთვის სჭირდება ეს ყველაფერი? მისი ლექსების კითხვისას რეფრენივით ჩაგესმის სოკრატესული: „შეიცან თავი შენი“, ამას პოეტიც არ გვიძმალავს:

როცა საკუთარ თავში  
საკუთარ თავს ეძებ,  
მაშინ წამოედები ხოლმე  
მანმადე შეუმჩნეველს.

ფრაზაში უამრავი აზრის ჩატევის მანერით გუჩა კვარაცხელიას შემოქმედება პონქს მაგონებს, საგანთა შინაგან არსს მათთან იდენტიფიკაციით რომ გამოხატავდა. პონქი ერთგან წერს, რომ ადამიანს წონასწორობისათვის სიტყვა სჭირდება (შემოქმედს, მით უფრო), გამოთქმული სიტყვით ახალი რეალობის კარს ვაღებთო. მართლაც, რომელ შემოქმედს არ აღმოუჩნდა, რომ წერისას, აზრი რომ ყალიბდება და ფორმდება, ჩვენთვისვე უცხო დაგვინახავს იმ ენის მეშვეობით, ჩვენ რომ გამოგვთქვა და გამოგვხატა.

ასე ხდება ნებისმიერი კარგი ლექსის წაკითხვის შემდეგაც. ზოგჯერ კი ქრება სიტყვებით გამოხატული შინაარსი და ისევ „უცხო კარიბჭესთან“ აღმოვჩნდებით, მანმადე უცნობი შეგრძნება დაგვიპყრობს და იქნებ სულ ეს არის, რასაც ჭეშმარიტმა შემოქმედებამ უნდა

---

გვაზიაროს. მაშინ, ვიკმაროთ პოეტის ამ სტრი-  
ქონების მიღმა თუ თანხლებით გაცოცხლებუ-  
ლი უნაზესი სევდა-ტკივილი:

...როცა ერთხელაც,  
შენს მაღალ ტოტებს,  
ვარსკვლავებს რომ იჭერენ ახლა,  
მეტყვევე მოსწვდება,  
გაგახსენდეს:  
მე ვიყავი, მე,  
გზააბნეული და ცალულელა,  
სხივივით რომ დაგტრიალებდი...  
(„ქალი“)

გუჩა კვარაცხელიას ვერლიბრი ერთ დიდ  
მდინარეს მაგონებს უამრავი შენაკადით – ეს  
შენაკადები განსხვავებულია სითბო-სიცივით,  
სიგრძე-სიმოკლით, სიჩქარით, ფერით, გემოთი...  
ზოგი მთიდან ჩამორბის კისრისმტვრევით, ზო-  
გი ბარიდან უერთდება დინჯი ხმაურით, ზოგს  
დამდნარი თოვლი მოაქვს, ზოგს – აყვავებული  
ატმის რტო, ზოგს – შემოდგომის ფოთლები...

ის დიდი მდინარე თავად პოეტის სულია,  
სტრიქონებით რომ სხვადახსევა შენაკადის ხმას  
გვასმენინებს, ზოგი შენაკადი ჩავლილია, ზოგი  
– ჩასავლელი და ზოგიც – ჩაუვლელად გუბ-  
დება...

მაინც კარგად იცნობ  
ჩავლილსაც და ჩაუვლელსაც  
თავიანთი სახელებით,  
დაბადების ადგილებითა და თარიღებით.

---

ძალიან ძველი და მკვიდრი კი,  
რომლის ამოსაცნობი  
არცერთი ნიშანი არ იცი,  
იმ სიღრმეშია უსხეულოდ ჩაფენილი,  
რომლის აპკი უსასრულობას ატარებს,  
ორი სიღრმე ერთმანეთს ერევა  
და კიდევ უფრო წყვიადდება  
ერთმანეთში გაზავებული...

(„უცნაური ამბავი“)

და ბოლოს, პატრიკ ზიუსკინდის „ლიტერატურული ამნეზია“ რომ დაგვემართოს გუჩა კვარაცხელიას პოეზიაზე, წაიშალოს ყველა ტექსტი თავისი შინაარსით, გაქრეს ყოველგვარი აზრი, ერთი ხომ მაინც გადარჩება:

ის მოვიდეს,  
ვინც წვიმის საიდუმლო იცის...

და დაგამატებდი: გუჩა კვარაცხელიას ლექსებიც მან წაიკითხოს:

ვისაც მკაცრი დუმილის  
ნაკრძალოვან სივრცეში შეესვლება,  
რომ წვიმის სათქმელი  
გაფილტროს და გარეთ გამოიტანოს...

## მზის სემიოტიკა პოეზიაში

ორი მზე  
მიყროკოსმოსი - მაყროკოსმოსი

„მსურის ქება და დიდება ნათლისა  
წარუალისა,  
მზეთა-მზის ვახში თავს მაძეს, მმართებს  
გარდახდა ვალისა,  
ჭირს საცნაურის მზისაცა სწორედ  
გამართვა თვალისა,  
არამც-თუ უცნაურისა ცნობა გზისა და  
კვალისა“.  
**დავით გურამიშვილი**

„ჯერ საჭიროა, მოვიპოვოთ ჭვრეტის  
ორგანო, რომელიც მსგავსი და ანალოგი-  
ურია თვით ჭვრეტის ობიექტისა. თვალი  
ვერასდროს დაინახავდა მზეს, ჯერ თვი-  
ონბ რომ არ მიეღო მზის ფორმა.“  
**პლოტინი**

*War nicht das Auge sonnenhaft,  
Wie konnten wir das Licht erblicken?*

*Будь не солнечен наш глаз,  
Кто бы солнцем любовался?*

*Гёте*  
(Перевод В.А. Жуковского)

---

ორი მზე — საცნაური და უცნაური! — ასე განმარტავს მას დავით გურამიშვილი. ერთი მზე — ასტრონომიული პლანეტა და მეორე მზე — უფლის მეტაფორა. საცნაური მზისთვის თვალის გასწორებაც კი ჭირს, ხოლო უცნაური მზის (უფლის) გზა-კვალის ცნობა კიდევ უფრო რთულია: „ო! ღმერთის სიძიდიდრეთა, და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორ ჩა-უწვდომელნი არიან მისნი სამართალნი და მი-უკვლეველნი მისი გზები!“ (რომაელთა, 12, 33).

საინტერესოა მარინა ცვეტაევას „ორი მზეც“: ერთი — ცაზე რომელიც ანთია და მეორე — მკერდში...

“Два солнцастынут — о Господи, пощади! —  
Одно — на небе, другое — в моей груди.”

პოეტი თითქოს მიკროკოსმოსია და სამყაროს ანალოგია... პოეტისთვის გარესამყარო და იქ არსებული მოვლენები ყოველთვის შინაგან განცდათა მეტაფორებია.

მ ზ ე — ერთ-ერთი უნივერსალური კონცეპტი და სახე-სიმბოლოა, რომელიც უამრავ კონტაციურ მნიშვნელობას აჩენს. მათ შორის არის: ბიბლიური, არქეტიპული, მითოსური, ასტრონომიული, ასოციაციური, პოეტური და სხვა მნიშვნელობები. მაინც რას აღნიშნავს მზე? ასტრონომიულად: მზე ირმის ნახტომის გალაქტიკაში, მზის სისტემის ცენტრში, ყვითელი ვარსკვლავია, რომლის გარშემო, ორბიტაზე, მოძრაობენ სხვა ციური სხეულები და, მათ

---

შორის, დედამიწაც. ის არის სინათლისა და სითბოს წყარო...

მზე გავლენას ახდენს ადამიანსა და ბუნებაზე იმით, რომ ის განსხვავებული სიჩქარის ენერგიებს ასხივებს... სინათლე და მაგნეტიზმი ქმნის მიწიერ ფორმებს.

მზე უმაღლესი კოსმიური ძალის სიმბოლოა, ყველგანმჭვრეტი ღვთაებაა, მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს უძველესი სურათები გეოცენტრულია, მზე არის სიმბოლური ცენტრი, კოსმოსის გული, ყოფიერების ცენტრი; ის არის აგრეთვე სიმბოლო ინტუიციური ცოდნისა, გონისა, გასხივოსნებისა, დიდებისა და დიდებულების, მეუფების... მზე სამყაროს “თვალია”, ღვთაებრივის ხილული ხატი, სინათლის ტრანსცენდენტული არქეტიპი; მზე „სამყაროს კარია“ ცოდნასა და უკვდავებაში შესასვლელი.

ბევრ ტრადიციაში მზე არის მამაკაცური საწყისი, ზოგ კულტურაში – ქალური. ქართული ფოლკლორული ტარდიციის მიხედვით: „მზე – დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, ბლუკა-ბლუჯა ვარსკვლავები – და და ძმაა ჩემი!“

მზე – უძრავად მყოფი ცაზე – დროის მიღმაა. ეს არის მუდმივი „ახლა“.

ალქიმიკოსებისათვის: მზე გონებაა, Sol et Luna – ოქრო და ვერცხლი, მეფე და დედოფალი, სული და სხეული...

„მზის თავგადასავალი“ (როგორც თავად ავტორი უწოდებს მას) დაწვრილებით აქვს გამოკვლეული ვიქტორ ნოზაძეს „ვეფხისტეანის მზისმეტყველებაში“. ამ თავგადასავლის გამოკვლევა მას სჭირდება იმისათვის, რომ თა-

---

ვისი ადგილი მიუჩინოს ამ ისტორიაში „ვეფზისტყაოსნის მზეს“. ჩვენ კი ვიხსენებთ ამ თავგადასავალს იმისათვის, რომ დავინახოთ როგორ ანათებს ქართული „პოეტური მზე“, რას აღნიშნავს, პოეტის რომელ განცდათა სიმბოლოა, რისი მეტაფორაა, რას ადარებენ მზეს ქართველი პოეტები და სხვა.

„ვეფზისტყაოსანში“ მზე არის პერსონაჟების მეტაფორა, ანუ: მზე—ადამიანია... ეს გამოძინარებს უფრო დიდი მეტაფორიდან: მზე უფლის ხილული სახეა; გავიხსენოთ ავთანდილის მიმართვა მზისადმი: „იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა ერთისა, მის უუამოსა უამისად“... ადამიანი შექმნილია ღმერთის სახედ და ხატად, ამიტომ არის ის „მზის წილი“ ანუ: „უფლის წილი“; მით უფრო, ეს ითქმის შეყვარებულ ადამიანზე (ღმერთი სიყვარული არს). სწორედ ამიტომ: ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი ნესტანი სატროოს წერს: „მზე უშენოდ კერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“.

აქაც ორი მზე: მზე — უფალი და მზე — ადამიანი.

**„მზე – თვალი“ უნივერსალური  
სემანტიკური ფორმულა ქართული ენის  
ლექსიკაში**

Из органов боги прежде всего устроили светоносные глаза, которые приладили с таким намерением: по их замыслу должно было возникнуть тело, которое не имело бы жгучих свойств огня, но доставляло кроткий огонь, свойственный всякому дню. И боги сделали так, что родственный дневному свету огонь, находящийся внутри нас, вытекает очищенным через глаза, которые боги сгостили, особенно в середине, так, чтобы они задерживали грубейшую часть огня и пропускали только в чистом виде. И вот, когда дневной свет окружает поток зрения, тогда подобное, исходя к подобному, соединяется с ним и по прямому направлению зрачков образует в связи с родственным одно тело - где бы падающее изнутри ни натолкнулось на то, что встречает его извне. И как скоро все вместе, по подобию, приходит в состояние подобное, то прикасается ли к чему само или что другое прикасается к нему, действие тех предметов распространяет оно через все тело, до души, и производит то чувство, которое мы называем зрением. А когда сродный огонь на ночь отходит - этот (т.е. огонь глаз) обособляется, потому что, исходя к неподобному, он и сам изменяется и гаснет, не соединяясь более с ближним воздухом, так как в нем нет огня".

**Платон "Тимей"**

მზის ერთ-ერთი გავრცელებული მეტაფორაა „მზე–თვალი“. ამ წყვილს შორის არსებული სემანტიკური კანონის მიხედვით, ეს მიმართება არის მიმართება: ძიკროკონსტრუქტორული, ანუ ადამიანის გრძნობის ორგანო-

---

ებს სამყაროში დაეძებნება ანალოგი. ბევრ ენა-სა და კულტურაში ეს მიმართება აისახება არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ მითებში, გამოსახულებებში, პოეზიაში...

საინტერესოა ამ მხრივ ქართული ენის მასალა. მზე-თვალის მეტაფორული მიმართება ყველაზე კარგად ჩანს საწყისში „მზერა“. ქართველ ენათმეცნიერთა სარწმუნო მტკიცებით: მზერა-ში სწორედ მზ-ძირი (ანუ მზე) დასტურდება. (მზ-ერ-ა; ამავე ტიპისაა წარმოების თვალსაზრისით ძგ-ერ-ა). მაშასადამე, თვალის ფუნქცია ყურება, ცქერა აღინიშნება ლექსიერით, რომელიც სემანტიკურად მზეს უკავშირდება, რაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა და რაც ადასტურებს ამ უნივერსალური მიმართების (მზე-თვალი) ქართულ ენაში არსებობას.

მზერას სულხან-საბა ასე განმარტავს: ჭკვრეტა. მზერაცა ესრეთ განიყოფებიან: ხედვა არს რა თვალით კეთილად ხედვიდეს; ჩენა არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს; მზერა არს რა შორით ხედვიდეს; ჭკვრეტა არს რა ხანგრძლით დაკვირვებით უმზერდეს რასმე; ცქერა არს გარჩევით ხილვისათვის ახლორე დაცქერით თვალი დააპყრას; ჭკვირობა არს რა სარკმლით გარე გამოიხედვიდეს.

მზე არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონისთვის აღადგინა გიორგი კლიმოვმა.

ქართ: მზე

ძეგრ: მჟა/ბჟა

ლაზ. მჟა/ბჟა

სვან. მიჟ/მგჟ

---

მზე, როგორც არქეტიპული ფუძე, საინტერესო სიტყვაწარმოებას ქმნის ქართულში.

იწარმოება ატრიბუტები: მზიური, მზეგრძელი, მზებნელი, მზედაკრული, მზედალუული, მზედასანბელებელი, მზეთუნახავი, მზეჩამქალი, მზისდარი, ენამზე და სხვა. საწყისი: მზეობა; ზმნა: ამზიანებს, მზეობს („მზე კელარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ (შოთა).

ადამიანის სახელები: მზია, მზისა, ქალთა-მზე, მზექალა, მზევინარი, მზეჭაბუკი;

ფრინველის სახელი: მზეწვია;

ყვავილი: პირიმზე, მზესუმზირა, მზიურა;

სოფელი: მზეთამზია;

ადგილი: მზისყური, სამზეო;

საგალობელი: მზეშინა და სხვა;

„მზ“ ძირია აგრეთვე მზირალში, მზირში, მზვერავში;

მზირი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია: ძვ. დამზვერავი, მოთვალთვალე; მსტოვარი, ჯაშუში. („მუნა ახლოს წყარო დორდა, მასთან ტყე იყო ხშირადო, იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირადო“ (ღ.გ.)).

მზირალი – ვინც ან რაც უმზერს, – მაც-ქერალი, მაყურებელი, მჭვრეტელი;

თანამედროვე ქართული ენის სიტყვა ზვარი მომდინარეობს ძველი ფორმიდან: მზვარე, მზვარი, რაც ნიშნავს მზიან, უჩრდილო ადგილს (პირ-მზითები ანუ მზვარუები, მაღვე შრება, იქ ძალე იღებს თოვლას (ვაჟა) (ქეგლი, ტ. V);

---

გამზირში აგრეთვე მზირ – ძირია, რომელიც, თავის მხრივ, მზ-იდან იწარმოება. საინტერესოა აგრეთვე მწეველი ფორმა, რომელიც მომდინარეობს მზეველიდან, და რომელშიც “მზ” ძირი დასტურდება. (აღნიშნული ფორმა დასტურდება სულხან-საბასთან, მზეველი – მწეველი, მომწევი).

ძველ ქართულში მზის-თუალი მზეს, მზის დისკოს აღნიშნავდა („განანათლოს ყოველი ქუეყანაი უფროის მზის-თუალისა“ – მ. სწ. 212, 13 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი). ამ ლექსემაში მზე და თვალი ერთად არის წარმდგენილი, რაც თვალისა და მზის უნივერსალურ ფუნქციურ კავშირზე მიუთითებს.

მზე ქმნის ქართულში იდიომებსა და ფრაზეოლოგიზმებს: მზე ამოსდის, მზე დაუბნელდა, მზემ შეხედა, მზე მიყურებს, მზემ თვალი დახუჭა, მზემ თვალი გაახილა, მზე გაუქრა, მზის სინათლეზე გამოიტანა, მზე მოეკიდა, მზის დაკვრა, მზის გული, მზეთა-მზე... იდიომებსა და ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება აღმოგაჩენინებს თვალია-მზის მეტაფორულ ურთიერთკავშირს, როდესაც თვალის ფუნქცია გადატანილია მზეზე და პირიქით, მზის ფუნქცია თვალზე. მაგალითად: თვალები გაუბრწყინდა, თვალის სინათლე, თვალები გაუნათდა, თვალების ცეცხლი – ყველგან მზის ფუნქცია – ნათება, ბრწყინვა, წვა – არის გადატანილი.

მზე შედის ფიცის ფორმულებშიც, მაგალითად: ჩემმა მზემ, შენმა მზემ, ჩემს მზეს ვფი-

---

ცავ... „შენან მზემან, უშენოსა კერვის მიჰ-  
ხვდეს მთვარე შენი...“ (შოთა); და სხვა.

სეპირის მიხედვით: ადამიანები ცხოვრობენ  
არა მხოლოდ საგანთა ობიექტურ და საზოგა-  
დოებრივი შემოქმედების სამყაროში, ისინი  
მნიშვნელოვანწილად იმყოფებიან კონკრეტული  
ენის გავლენაში; იმ ენისა, რომელიც მოცემუ-  
ლი საზოგადოების ურთიერთობის საშუალებაა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ  
შეგვიძლია ენის გარეშე სრულად გავაცნობიე-  
როთ რეალობა; ენა არის დამხმარე საშუალება  
აზროვნებისა და ურთიერთობის ზოგიერთი  
პრობლემის გადასაწყვეტად. „რეალური სამყა-  
რო“ მნიშვნელოვანწილად იგება მოცემული  
ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე.

ჩვენ ვხედავთ, გვესმის და ვიღებთ ამა თუ  
იმ ფაქტსა და მოვლენას ასე თუ ისე იმის  
შემწეობით, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრი-  
ვი ნორმები გვთავაზობს მოცემულ ფორმებს  
(სეპირი 1993:181).

## ქართული პოეტური მზე

„ვარდთა და ნებვთა ვინეთგან  
მზე სწორად მოეფინების“  
შოთა რუსთაველი

მზე — ღვთაება, უფალი, უზენაესია და ამიტომ პოეტისათვის მზე არის ორიენტირი, მარად შეუცნობელი, მზისკენ სვლა — მთავარი გზა!

„მზისკენ მიმაფრენს ფასკუნჯი,  
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუჭი,  
მენა საგზალი ვარ მისი,  
მაგრამ ვეყოფი?!--  
არ ვიცი!“;

(მუხრან მაჭავარიანი)

„შენ კი, სამეფო ვისაც გეპყრა  
უსაზღვროდ ვრცელი,  
შენც —  
ოფლი ვისაც გაღვრევინა  
მონის უღელმა, —  
აღარ ხარ, —  
რადგან მზის ხელთაა  
სიკვდილის ცელი!  
აღარ ხარ, —  
რადგან სულერთია მზისთვის სუსკელა!“;

„ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,  
ვაღმერთებ მზესა, ვანთებ ცეცხლსა,  
და მზისკენ მიდის რძისფერი კვამლი...“

---

ვაღმერთებ მზესა, ვანთებ ცეცხლსა  
და ვწირავ მსხვერპლსა...“;  
(ანა კალანდაძე)

„ეს სიმღერაა მზის სასალამო,  
მარტისპირული....“;

„თავს მოვიკაზმავ  
სირაქლემას ლამაზი ფრთებით  
და მზეს ვუმღერებ  
ოკეანით მიძავალს მძიმედ“;

„მზე მთის წვერიდან ამობრიალდა  
და მირიადი ჩაქრა ვარსკვლავი...  
სწორედ მასავით დაიწყე ბრწყინვა  
ჩემს კარგის კართან...  
ო, როგორ ჰგავდი შენ იმ ძველ ღმერთებს,  
რომ დაგყურებდნენ მთებიდან, ციდან,  
შენ მირს დაუშვი გრძნეული მშვილდი,  
მზეთ უდიდესო!  
მადლი მივაგე დიდებულ მზესა,  
რომ დაგნათოდა ყორნისფერ თმებზე“;

„აქ დაიბადა „სულიკო“,  
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...

„მიწას სწყდებიან ვერხვები მაშინ  
და გოლიათურ მხრების შერხევით  
მზისკენ მიდიან ზღაპრული რაშით  
ჩემი ვერხვები...“;

„ჰა, ლაუვარდები მცხუნვარე მზითა,  
კვლავ შენს თაღებში ავარდნა მინდა,  
უსაზღვროებავ!...“...

---

მზე, როგორც უფალი, ყველგან და ყველა-  
ფერშია:

„იქნებ მზე ჩამოვარდა ბაბილონის გოდლიდან,  
ჩამოიმსხვრა დახლებზე და ღვინოდ გადმოდინდა?  
ანდა, დევმა საზამთრო დააგორა ზღაპრიდან  
და კლდის ძირას მიაფშვნა მტკვრის ელვარე  
ნაპირთან?“

მზით დახოხბდა ტყეები, ზვრებიც მზით მოიჩითა,  
მზე მოჟონავს ლელვიდან, მზე მოწვეთავს  
ფიჭიდან,

მზეს ყიდიან დოქებით, წონითა და ცალობით,  
ყელამდეა ეს მიწა მზის მადლით და წყალობით.  
მზეა ხმაში, სიტყვაში, მზეა გამოხედვაში,  
მზეა, შემოდგომის მზე და სურნელი ზედაშის...“;  
(შოთა ნიშნიანიძე)

და როცა მზე თავდება სულში, მთავრდება  
ყველაფერი...

„ეხლა შენს სულში ყვავილისთვის  
მზე აღარ არის,  
მზე აღარ არის და არ არის არარამე!“  
(გალაკტიონი)

„მზის სადლეგრძელოს მარადი ჭიქით  
ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი...“;

„მიუწვდომელო, შენ დაგემებ ხელისცეცებით,  
სხივი ხარ მზისა...“

(ჯანსუდ ჩარკვიანი)

---

„თუ პატრონი მზეს უგალობს,  
საქართველოს რა მოკლავსო!“;

„მზისკენ მივდევდით გაფრენილ მერნებს!“;

„მწვანე ფოთლები, ტუჩებრძიანი,  
ყვითლდებიან და მზისკენ მიდიან...“

„ის ათამაშებს ბურთივით მიწას,  
უგზავნის წვიმას, თაკარა სიცხეს,  
პურით და წყალით ჭორფლავს და წინწკლავს  
და ცაზე ხატავს დროთა აღმრიცხველს.  
ეხ, ჩვენი ბარალი, შენ რომ არ გვყავდე,  
რა გვეშველება, მზეო, მაღალო,  
იგანთიადა, ნუში აყვავდა,  
მე კიდევ შენზე ფიქრმა დამღალა“;

„ჰე, მზეო, მზეო, ხელებგაწვდილი  
მე ვდგევერ შენ წინ...“;

„მე ვგრძნობ, ძვირფასო, მზისა მისარქმელს,  
როგორ მივყავარ სინათლისაკენ...“;

„სულ მზისკენ ჰქონდათ გაჭრილი კარი...“;  
(ოთარ ჭილაძე)

„მზეო, ნურასდროს ნუ წახვალ ჩვენგან.  
მზე ყველას უნდა და ყველას უჭირს  
მისი გაყოფა და დარიგება,  
რადგან ყველაფერს ადვილად ვიტანთ,  
როცა სხეული მზითაა სავსე“;

---

## მზე – ადამიანი

მეტაფორული კავშირი „მზე–ადამიანი“ ქართულ პოეზიაში დამახასიათებელი მოვლენაა და რაკი მზე სულიერივით, ადამიანივით განიცდება პოეტების მიერ, ამიტომ მზეს ახასიათებს ადამიანის თვისებები:

„მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია“;  
(ანა კალანდაძე)

„მზის ღიმილი აღაჩინა ცამან“;  
„შენ მისმენ ისე, ვით მზე უსმენს ოკეანეებს“;  
„მზე იყო ცივი და მშვიდი“

„დაცემულა რიყის ქვაზე,  
მზეო, მახსოვს შენი სისხლი...  
ჭრილობაზე თუთუნს გაყრი,  
პერანგს ვწევ და გიხვევ ფრთხილად,  
სილაში კი, როგორც ბალდი,  
ათინათი ამოთხვრილა.“

(ჯანსულ ჩარკვიანი)

„თუმცა გველებმა ველი მოშხამეს  
და მზის ხელები მოიგერიეს...“,  
(ლადო ასათიანი)

„მზე მონადირე მეგონა,  
სახუდარს მოფარებული“;

„მზე კი კუთხეში მიმჯდარა მილეულ დედაბერივით,  
აბრუნებს ოქროს თითისტარს ბიისფრად  
გადაფერილი“;  
(შოთა ნიშნიანიძე)

---

## მზე – სატრფო (მზე – სიყვარული)

„შენ ჩამოხვედი, ეტყობა, მზიდან,  
რომ წამსვე ცეცხლის დამწვდნენ ღვარები,  
გაქრნენ ქალები – პროსპექტზე დარჩი,  
დაგინახე და გტაცე თვალები...“;  
(მურმან ლებანიძე)

„ვაჟაო, დილის მზის სხივო“;  
(ანა კალანდაძე)

„ირგვლივ მზის ნათელი დასდგომია მთებსა,  
ცაში გაფრენილან ნისლისნი მთები,  
მზეი შენიო მზეობს,  
მზედ ენთები, ზეობრ...  
ჩემი გულის ძახილს,  
ო, ღალადისს ჩემსას,  
შენ არსაით ისმენ?....“;

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,  
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,  
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი...“;  
(გალაკტიონი )

„წავიდა, გაქრა... ვერ შევეკითხე,  
რისთვის გამშორდა, რისთვის წავიდა...  
გამიქრა სულის ოცნება წმინდა...  
ილულება მზე, იძარცვება ტყე “;

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“;

---

„დღეს ყველგან მზეა, ეხლა ამ ბაღებს  
და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,  
მაისი ალით ააზამბახებს,  
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“;

„რაც ცა უმზეოდ – დედამიწაც დღეს იგივეა...  
გემიც უშენოდ იგივეა, რაც ცა – უმზეოდ“;

„თითქოს შენს სხეულში მზეა მომწყვდეული...“;  
(შოთა ნიშნიანიძე)

„შენ ამოდიხარ ზღვიდან მზესავით –  
თავისუფალი და მოთენთილი“;  
(ოთარ ჭილაძე)

„შენი წელივით თბილი და მშვიდი  
ჩემს სულში წვება მზის ანარეკლი“;

„შორიდან გიმზერ მზესავით დაღლილს“;  
(ჯანსულ ჩარკვიანი)

---

## მზე – დრო, ადგილი, ინდივიდუალობა

მზის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დროის აღნიშვნაა... მეტაფორულად მზე საათია, ამქვეყნად ყველაფერი დროში და დროით ცხოვრობს... ყველაფერს თავისი დრო აქვს... თითოეულ ადამიანს ცხოვრების გარკვეული, თავისი წილი, თავისი საათი, პოეტები კი იტყვიან: რომ თავისი მზე აქვს... ის დრო, რომელიც მზით აღირიცხება, არის სიცოცხლე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მზე – დროა და ეს უდრის სიცოცხლეს. სწორედ ეს სემანტიკა ჩანს ფიცის ფორმულებში: შენს მზეს ვუიცავ... რაც ნიშნავს: შენს სიცოცხლეს ვფიცავ...

არა მარტო ადამიანს აქვს თავისი დრო, ანუ მზე... არამედ ყველა დღეს, თვეს, ფაქტებსა და მოვლენებს, აწმყოს, წარსულსა და მომავალს... ყველაფერს აქვს თავისი მზე (ანუ სიცოცხლე), თავისი „საკუთარი“ მზე აქვს აგრეთვე ადგილსაც... მზე ერთია, რომელიც დედამიწას ანათებს და ათბობს, მაგრამ იგი სხვადასხვა მხარეში სრულიად განსხვავებულად განიცდება და აღიქმება, მით უმეტეს, პოეტების მიერ. ამიტომ ერთი მზე შეიძლება ბევრიც იყოს, გააჩნია, რას გულისხმობს პოეტი. მაგალითად, გალაკტიონი წერს: „მავრამ თვალმა დათვალს ბევრი მზე და ცხრათვალა... ოჰ, მზით გადანაცხარო, ცხრა მუხა და ცხრა წყარო!“

„ყმაწვილქალობამ წაიღო  
მზეები, ოქრომფინარნი,  
ნეტა კი ვინმე მომგონდეს,  
რომ უმისობა ვინანო“;

(ანა კალანდაძე)

---

„გარინდებულხარ აპრილის მზეზე...“;

„ოქტომბრის მზეში  
აშოლტილი ვერხვების რიგის  
და ღვთაებრივი ასკილის ხატი  
დგას გულსა შიგან...“;

„ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა,  
დაუნდობელი სურვილი ლომის  
და ყოველივე როგორ ნაზდება,  
როცა ახლოა მზე შემოდგომის“;

(გალაკტიონი)

„მაგრამ შენი მზე სიბნელეს გახევს  
და დაადგება შუბლს ნათელივით...“;

„მზეო, თიბათვისა, მზეო, თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი  
გრაალს შევედრები...“;

„ო, ყოველდღე მზეები ქიმერებში ვარდება,  
ქარავანი დღეების მძიმედ მიემართება”;

„ოუ გაზაფხულის მზითა ვარ მთვრალი“;  
(ოთარ ჭილაძე)

„იცინის გოგო და მიაბიჯებს საკუთარ მზეში,  
საკუთარ მზეში და პურის მტვერში“;

„ჩემი წილი მტკვარი დაშრა,  
ჩემი წილი მზე ჩავიდა...“;

---

„მამამ ცეცხლი დამაბარა,  
ვარ ჩემი მზის ანაბარა...“;

(ჯანსულ ჩარკვიანი)

„თქვენი მზისა ვარ, თქვენი ტყისა ვარ“;

„თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები,  
ჩვენ რომ გვეგონა გავრბოდით მზისკენ“;

„უნდა გავუძლო დღის გარინდებას,  
ქართლის ცხელი მზის ნაამბორებთა...“;

„და წმაში უდგას თბილისური მზე და ყირმიზი“;

„ჩვენ ისევ ზევით მივდივართ  
შენი მზის მოსაგონებლად...“;

„მზე აქაური მიდუღს მე სისხლში“;  
(მუხრან მაჭავარიანი)

„რა შეედრება ამ ჩვენს მხარესა?!  
ამ ჩვენს მზესა და ამ ჩვენს მთვარესა?!“;

„ხვალ დილით სხვა მზე ამოვა...“;  
(ლადო ასათიანი)

„შენ ჩემი წიგნი სახსოვრად გქონდეს, —  
მე მზის ქართულის მითქვამს სიცხოვლე...“  
(მურმან ლებანიძე)

---

## მზე – საქართველო

„შორს კი, მთის ძირას,  
სადაც მზეა, სადაც ვაზია.....  
მცირე დეფისად ჩასდგომია დიდ ევრ-აზიას –  
ერთი პატარა, პაწაწინა საქართველოა“;  
(მურმან ლებანიძე)

„საქართველო – ეს ზღაპრული მზეა,  
უკეთესის ბედისაა ღირსი!“;  
(გალაკტიონი)

„შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ,  
არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად,  
არამედ მზით ამოენთე ბრწყინვად –  
ოცდაექვსი საუკუნის წინათ...“;

„სხვა მზე არა მწამს, შენი მზე  
სხეულში გავინაწილე...“;  
(ჯანსულ ჩარკვიანი)

„რაიც მთავარია, ჩვენი მზე დავიცვათ,  
ღმერთო, მოუმართე ხელი საქართველოს“;

---

## მზე – სასმელი

„ხონჩით მზის სხივი მოგართვი,  
მზის სხივის ჩამონაწური“;  
(ჯანსულ ჩარკვიანი)

„ბევრი მზით ვავსებ სულის ფიალას  
და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს“;

„თუ გაზაფხულის მზითა ვარ მოვრალი...“  
(ოთარ ჭილაძე)

---

## მზე – სიცოცხლის სიმბოლო

მზეო, დაუდე საზღვარი მწუხარე  
ფიქრთა ქროლასა,  
–მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები  
გორასა!  
გალაკტიონი

საინტერესოა მზის მეტაფორა ფოლკლორულ ტექსტებში. კერძოდ, „ხმით ნატირლებში“. მოტირალისათვის სააქაო და საიქიო ცხოვრება მოთქმის დროს უპირისპიდება ერთმანეთს. თუ ცოცხალთათვის სააქაო ცხოვრება, ეს ქვეყანა, ერთადერთი რეალობაა, სიკვდილით გამოწვეული მწუხარება ადამიანს იმ ცხოვრების – საიქიოს სიახლოვესაც განაცდევინებს. მოტირალის აზროვნება ძირითადად კონტრასტებზე იგება და შესაბამისი ენობრივი გამოხატულებითაც ფორმდება. სააქაო–საიქიოს ახალი სინონიმები უჩნდება „ხმით ნატირლების“ ტექსტებში. სააქაოს, ამქვეყნის სინონიმებია: სამზეო, მზის ქვეყანა:

„თუკი გვაჩუქე ე ქალაი,  
რად არ დიდი დღე დაუწესე,  
რაად მასწყვიტე სამზეოსა?!  
.....

„მმაო, მამგონე გექნებოდა,  
მამგონე, მმაო, სამზეოსა“;

„გამამაცხადე სამზეოსაო,  
შენ ამაძრახე სამზეურთაო“;

---

„მმაო, სამზეოს გათაულო,  
მმაო, სამზეოს დალეულო“.

ხოლო საიქიოს, იმ ქვეყნის სინონიმებია  
სულეთი და შავეთი:

„სულეთის ღმერთო, მადლიანო,  
მამე ნებაი საუბრისაო“;

„შავეთის კარი გამიღოდი,  
უკვენ არავინ დამაბრუნოს“;

„ნეტავი გაუმარჯვოს, ღმერთსა,  
შავეთსაც მისცა, შავეთს, კარი“....  
და სხვა.

მოტირალი ხშირად შესტირის მზეს, რო-  
გორც სიცოცხლეს, მისთვის ხომ ეს ქვეყანა  
სამზეოა, მზის ქვეყანაა:

„ძჩეს ვერ შავხენებ უშენოდაო,  
ძჩეს, უშენობით დაჩრდილულსაო“;

„ძჩეო, დადეგ და ჩამოხენეო,  
მოვა ყმაწვილი უმზეურთაო“;

„ცოცხალთ რა გვიჭირს, ძჩეს ვხედავთ,  
დაღამდება და გათენდება,  
ბრალია, ვისაც დაუღამდა,  
ვისთვისაც აღარ გათენდება!“

---

„დღეო, რაირა გამზიანებს,  
მზეო, რაირა გეცინება?“

„დაიცა, მზეო, არ დაბრძანდე,  
ლამით მე ვერსა გავარიგებ“;  
და ასე შემდეგ...

სიკვდილს სიცოცხლე, მზე უპირისპირდება,  
შავეთს – სამზეო, დღეს – ლამე... ადამიანი  
კვდება, სიცოცხლე გრძელდება: ისევ თენდება  
და ამოდის მზე, თუმცა მოტირალი იტყვის:  
„მწუხარების მზე“ ვარო.

ლექსემების: მზისა და სიკვდილის აქტუა-  
ლიზება „ხმით ნატირლების“ ტექსტებში ალ-  
ბათ ყველაზე უკეთ ხსნის მოტირალის კონ-  
ტრასტებზე აგებულ აზროვნებას (ბარბაქაძე  
2003:200).

## მზის ინდივიდუალური პოეტიკა

მზის უნივერსალური პოეტიკის გამოკვლევის შემდეგ საინტერესოდ გვეჩვენება მზის ინდივიდუალური პოეტიკა ერთი პოეტის პოეზიის მიხედვით. ამ ნიშნით საინტერესოდ გვესახება შოთა ნიშნიანიძის პოეზია.

„ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,  
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად“;

„კლანჭიანი აგვისტოს მზე მიმინოსებრ ცერზე  
მიზის“;

„მზე კი ძნასავით ჩაშლილი,  
მთელ საქართველოს შვენოდა“;

„მზე კი კუთხეში მიმჯდარა მილეულ  
დედაბერივით“;

„შაიბ, საყვარელო, მზის ოქროს მახვილი,  
მეც წინაპარივით ქუდზე კაცს გავყვირი“;

„მზე საყელოში ზელს ჩამავლებდა  
და გამიყვანდა გაკვეთილიდან“;

„მზე მხარზე გაიდო თოხივით  
და მთვარე ნამგლად მოღუნა“;

„გაიღვიძა, გაიზმორა... დაიხურა მზის ჩაჩქანი“;

„და მზე ეხვევა ზებრასავით ყვითელ სილაში“;

---

„მზე კი ტორებს სცემს არაბული  
ბედაურივით“;

„და მზე ჰგავდა ცხენის ფლოქვით  
ახრჩოლებულ ღადარს“;

„ჩემი მზერისგან მზეც ყიოდა ყალყზე შემდგარი“;

მონღოლთა სისხლში მზე ჭიხვინებს  
უდაბნოების“;

„შემოდგომის უღელს მზე წარივით უბია“;

„თოხისპირებზე გამოუკრავს მზე საგზალივით  
და მინდორ—მინდორ სათოხარში მიდის აპრილი“;

„სარზე მამალმა ხმა ჩაიწმინდა,  
მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხივით“;

„იქნება ღამეს ეს მზე ჩახჩახა,  
უჩინმაჩინის ქუდად ეხურა?“

მზე, მზე, ჩამობარდნე, მზიან ბუტკოებად“;

„მზე აღდგომის კვერცხს შევადარე...“;

„ეს მზე, ეს მითი დამხურეთ ქუდად“;

„მზის სვირინგებით მოხატულხარ ჭრელი  
გველივით“;

„მზე ამ გორაკებს სვავივით კორტნის,

---

მზით ჩაუანგულა პაპის საძვალე“;

„და მზეც მეომარ მამალივით იგრძელებს  
კისერს“;

„მზე, როგორც დიდი, წითელი ბუშტი“;

„სიტყვა მაცვია ჯაჭვის პერანგად,  
მუხის ფოთოლი, მზე და მტევანი“;

„მზე გამაძლარი გლეხკაცივით მთლად  
გაზარმაცდა“;

„ჯერ კი ადრეა... მზე ვენახს წამლავს“;

„სამხრეთის ტილო, მზით ადღვებილი,  
ლაუვარდებით და მზით იხატება“;

მზის ინდივიდუალური პოეტიკა შოთა ნიშნიანიძესთან კარგად ხატავს იმ სამყაროს, რომელშიც პოეტი ცხოვრობს სულიერად. მზე შოთა ნიშნიანიძისათვის არის: დათვი, მიმინო, ძნა, ღეღაბერი, მამალი, სვავი, თოხი, ქუდი, ზებრა, ბედაური, ხარი, საგზალი, თოხლო კვერცხი, აღდგომის კვერცხი, წითელი ბუშტი, სამოსი, გლეხკაცი, მევენახე და სხვა...

აღნიშნული მეტაფორებით, შედარებებით, ჰიპერბოლებით და სხვა მხატვრული ხერხებით კარგად იხატება სოფლის გარემო, რომელიც კვებავს პოეტის ფანტაზიას... მზე პოეტისათვის ყველაგან და ყველაფერშია... სულიერ და უსულო საგნებშიც.

---

## ც ა ს კ ვ ნ ი ს თ ვ ი ს:

მაშასადამე, ქართული პოეტური მზე არის: უფალი, ღვთაება, სიცოცხლე, ადამიანი, სატრუთო, საქართველო... ის ახდენს ადვილისა და დროის მეტაფორიზებას; ქართულ პოეზიაში მზე არის ურთადერთი, როგორც უფალი და ამავე დროს, ბევრი, როგორც ადამიანი... ყველას და ყველაფერს აქვს თავისი წილი მზე, ანუ სიცოცხლე სამზეოში, ანუ დედამიწაზე, მზის სამყოფელში; მზე ყველგან და ყველაფერშია, როგორც ღმერთი...

მზე, როგორც სიცოცხლის, სინათლისა და სითბოს წყარო პოეზიაში ხდება შემდეგ განცდათა და გრძნობათა აღმნიშვნელი: სიყვარული, სიხარული, ბედნიერება, იმედი, ნუგეში... თუმცა, როდესაც ავტორს ნაღვლიანი განცდა გადააქვს მზეზე, მაშინ ის შეიძლება იყოს „მკვდრის მზე“, „დაღალული მზე“, „საპყარი მზე“ („ღრუბელო შავო, მზეო საპყარო“ (ანა);

მზის ზემოწარმოდგენილი მეტაფორული და სიმბოლური მნიშვნელობები ქართულ პოეზიაში უნივერსალური ხასიათისაა, მაგრამ ამ მნიშვნელობების გარდა თითოეული პოეტი საკუთარი „მზის პოეტიკით“ გამორჩევა, რაც პოეტის ინდივიდუალობის შესასწავლად საინტერესო მეთოდია.

საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართველი პოეტები შეგვიძლია ასეც და-

---

ვახასიათოთ: მზის პოეტი, ქარის პოეტი, ნისლის პოეტი, მთვარის პოეტი, სისხლის პოეტი, წვიმის პოეტი, თოვლის პოეტი... ზოგჯერ კი რამდენიმე კონცეპტი თანაბრადაა ერთი პოეტის შემოქმედებაში.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გამორჩეულად მზის პოეტები არიან გალაკტიონი და ანა კალანდაძე (თუმცა ანასთან ვარსკვლავები და ქარიც აქტუალურია).

---

## Semiotics of Poetry

Renovation of the world language picture study over the past few decades is challenged by interests of different sciences (philosophy, psychology, ethnology, linguistics, culturology...).

The world's events and extracts are revealed due to the language. Each natural language reflects the certain model of the world conception "My world is determined by my language frontiers" – writes Ludwig Wittgenstein in his famous work – "Logical-philosophical Treatises." Conceptualisation of reality is the universal remedy of the world perception, however, special signs exist in each language community. The world seems to be rather "different" for various languages while "drawing" their pictures. Concept scope considers the human, the establishment of semiotical relationship, as a cultural phenomenon rather than natural one. Just the language (speech) reveals the human's inner scope, mental and national-cultural points of view as well.

The directions of complex researching objects as well as targets are novelties in Georgian humanitarian science.

The concept appears to be essential in the world perceptive process. The new knowledge paradigms consider the concept as mental significant mechanism defining the human's relation with reality. We are concerned about representative varieties of concepts metaphorizations in language cognitive structures due to Georgian poetry discourse.

---

Researches of the world language pictures consideres Humboldt's works, Muller's cultural-philological studies, Neohumboltians' theory, Vaisgerber's works (he founded the term – the world language picture in his program monograph „The Native Language and the Soul Formation“), Sepir-Worf linguistic theory and etc. A.Vezubitska's work appears to be significant in this point of view as well.

---

## **Sign Phenomenon in the Poetry Discourse**

The sign problem is tremendous in semiotics while researching the sign determination of the word semantics is essential. Lexem meaning is researched according to the language system dealing with dictionary meaning and speech that is rather difficult to identify semantics.

Consequently, the word meaning, that is studied due to various discourses while language functioning accordingly the style, appears to represent different meanings or forms lots of connotations.

Poetry discourse in this approach is rather difficult and has huge range of space as the language performs various possibilities in the poetry language as well. Language forms the idea, however, each language unit envisages the context. We target to reveal actual language units in poetry and establish semantic margins that indicates the Georgian language opportunities and thoroughness.

---

## Semiotics of “I”

Discourse of poetry is very special semiotic system. Anything should be considered as a sign in the world, however, any sign of poetry is more complex. Semiotics is the way, that leads to new landscapes of poetry. “Scanning” of things with new approach discovers the rules of the artistic text. Each detail has got expanded semiotics in the poetry discourse scope – sound, word, rime, metre, rhythm, strophe, the whole rhyme...

The snow, the wind, the sun... are not only the natural events for the poet, it is loaded by another type of semiotics. Interesting results are achieved while researching the universal poetry concepts due to Georgian and other language materials.

Terenty Granely’s poetry exposes identification author’s “inner” and “outer” world and metaphorization of the natural events.

Researching “I” semantics according to modern poetry has demonstrated such principles as:

The semantics of “I” varies due to mental structure and frequency with different poets.

“I” semantics in a text is determined by the usage according to the poet’s vision. The conception of “I” is different with symbolists and various representatives of literary groups. Identification of the “I” structure explains the epoch spirit, indicates poet’s individuality. We find exciting to study it due to literary schools, epoches and cultures.

---

## **The Word Related to Researching of Conception or “Poetics of Stars” in Anna Kalandadze’s Poetry**

Metaphority existed in the nature of the language is more activated and offers continual creation as it deals with artistic space of thinking. “Each word contains plenty of potential meanings. The word forming the phrase with other words activates one key sense from the diversity of concepts” (Octavio Pass). The language consists of practically incomplited creative capacity that forms variety of meanings.

“Word-derivatives” and “Word-concepts” representing the poet’s language scope are revealed with various authors. The mentioned word-concepts, semantems are exposed by:

- a) the frequency of using semantem in the text, marking;
- b) the high grade of semantem metaphorization forming the new sense;
- c) the concept of poetry indicating the author’s idea, due to its functioning in the text.

While researching Anna Kalandadze’s poetry “the star” appeared to be the word-concept.

Almost each poet applies the semantem “star” with different frequency in their poetry, but Anna Kalandadze’s “star” is really special, forming exciting “poetics of stars”. Why just this word? The response is very simple as it is based on the poet’s individuality. The sense of this word seems dealing with the author’s soul. Anna Kalandadze’s poetry exposes all types of

---

concepts of this word – from literal meaning to idiomatic one as well.

According to Anna Kalandadze's poetry the conclusive sense of “the star” as one of the metaphors aspires towards God. Eventual denotative is God that is indefinite as the expedient designating semantem.

---

## The Identification of a Lyrical Figure or the Concept *Blood* in Mukhran Machavariani's Poetry

In order to draw the Georgian linguistic picture of the world, the linguistic picture of Georgian poetry is essential, which, in its turn, implies the construction of linguistic pictures of individual poets. The identification and analyses of individual concepts have been one of the objects of our research. It has become salient, that while Ana Kalandadze is a poet of *Stars*, and Terenti Graneli is of *Wind*, the central concept of Mukhran Machavariani's poetry is **Blood**. In the poet's writings, the concept *Blood* reveals not only principal lexical and metaphorical meanings, but the whole spectrum of individual poetics, being ultimately generated by archetypical, biblical and mythological implications of the word.

The study has uncovered another detail: while in Georgian phraseology *Blood* reveals mostly negative connotations, Mukhran Machavariani's poetry, on the contrary, demonstrates the abundance of positive connotations.

Thus, the concept *Blood* acts as a metaphoric grid, the knitting of which has not been completed and will never be unless the language is alive and proceeds creation. The subject matter of Mukhran Machavariani's **Blood** is *the poet's identification with Georgia and Georgian blood*, logically following *the poets identification with blood*. This is the blood, which comes "in order to prolong humans lives" according to Ilia Chavchavadze.

---

## **Fascinating Function of Language and Fog Semiotics**

The metaphor tends to be the most important event in the world cognition process. Due to paradigm of new knowledge the metaphor is considered as a human's essential mental mechanism determining the person's relation with reality. According to this point of view we are concerned about metaphorical comprehension representative items of natural concepts dealing with language conscious structures in the Georgian poetry discourse.

Fog appears to be one of the most activated semantems among natural concepts representing certain high grade of metaphorization in the poetry discourse.

Fog forms very special poetics considering the emotional meanings as well as metaphorical and symbolical systems in the Georgian poetry. While demonstrating negative and dominant positive emotions, fog is a concern to be a symbol of "The World Sadness" suffering the poet with "Illness".

Fog challenging the illegibility is associated as the mystery, that is supposed to be a divine sigh.

---

## The Sun Semiotics in Poetry

Davit Guramishvili assumes the existence of two suns-cognitive and odd! The astronomical planet as well as God metaphor is considered. The conscious sun is out of sight while the odd one (God) is more inaccessible: “Oh! God of wealth and wisdom and cognition depth! How mysterious are his justice and ways!” (To Romans,12,33).

Marina Tsvetaeva represents two special images of the sun-shining in the sky and lit up in human's breast.

The poet is microspace and exists by analogy with the world...Eternal events always represent metaphors of inner feelings senced by the poet.

The sun-universal concept and symbol-reveals lots of connotations-biblical, archetypal, mythological, astronomical, associational, poetical, and etc. And what does the sun denote? Astronomical meaning: the sun is the yellow star in Milky Way and in the centre of Solar System. Celestial objects, even the earth, continuously move around the sun, that is the source of light and warmth...

The sun influences people as well as the nature while emanating energy of various speed... Light and magnetism establish the earth forms.

The sun appears to be the symbol of the space essential contemplating power. However, ancient pictures of the universe are geocentric, the sun is the centre of symbols, the space and existence as well as the symbol of intuitive

---

knowledge, intelligence, illumination, glory and majesty, sovereignty...Overall, the sun is “an eye” of the universe contemplating the image of divinity, transcendental archetype of light, besides this, demonstrates “the door of the universe” leading to the entrance of knowledge and immortality.

The sun is considered as masculine initiation in many traditions, while some cultures represent it as feminine phenomenon. Due to Georgian folklore: “the sun is my mother, the moon-father, flock of stars are my sisters and brothers!”

The still sun, that is in the sky, is not concerned about the time while it is eternal “now”.

Alchemists consider the sun in accordance with mind, *\_ Sol et Luna\_* gold and silver, the king and the queen, soul and body...

“The sun adventure” (due to the author) is researched in “The Sun in The Knight in the Panther’s Skin” by Victor Nozadze establishing the sun according to the poem in this history. Mentioning this adventure we are concerned about the Georgian “poetic sun” with the scope of symbols, metaphors and etc.

The sun appears to be characters’ metaphor—the sun is the human...in “The Knight in the Panther’s Skin”. This point of view is formed in accordance with metaphor that the sun is God’s visible image.

The human is reflection of God’s image, that is “the part of the sun” or “God’s part” especially the human in love (God is love). We deal with two suns—the sun –God and the sun-human.

---

Researching materials reveal the sun as: God, pagan, deity, life, human, time, beloved, plant, animal, motherland, Georgia...

Some poets promote individual poetics of the sun representing their individual language space.

## **ԾՈՅՑՈՂՐԱԳՐՈՒԹԻՒՆ**

- արշատօնության 1999: Арутюнова Н.Д. Язык и мир человека. М.;
- ծարելակացնելու 2003: Արմա ծարելակացնելու, յարտապահության մէջ գործադրությունների ձևագործութիւնը, տօնութիւնը;
- ծարելակացնելու 1989: Ролан Барт, Избранные работы, Семиотика, Поэтика, Москва;
- ծարելակացնելու 2001: Барт Р. Нулевая степень письма // Семиотика: Антология. М.; Екатеринбург;
- ծարելակացնելու 1999: Барт Р. Фрагменты речи влюбленного. — М.;
- ծանոթացնելու 1975: Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. М.;
- ծանոթացնելու 1979: Бахтин М. М. Эстетика словесного творчества. М.;
- ծանոթացնելու 1922: Белый А., Поэзия слова, П.;
- ծանոթացնելու 1974: Эмиль Бенвенист, Общая лингвистика, Москва;
- ծանոթացնելու 1998: Е. Блаватская, Тайная доктрина, т. 1, Санкт-Петербург;
- ծանոթացնելու 1995: Бодрийяр Ж. Система вещей. М.;
- զարգացնելու 1988: Гадамер Х. Г. Истина и метод: Основы философской герменевтики. М.;
- զարգացնելու 2003: տաման զարգացնելու, նախագծական գործադրությունների մասին, բանական մասնագիտությունների մասին պատմությունների ձևագործությունը, տօնութիւնը;
- զարգացնելու 2000: Хосе Ортега-и-Гассет, Избранные труды, Москва;

- 
- გრეიმასი... 2007: А. Ж. Греймас, Ж. Фон-  
таний, Семиотика страстей, Москва;  
გრეიმასი... 1979: A. J. Greimas and J. CourtOs.  
Semiotics and Language. An Analytical  
Dictionary. Trans. by Larry Grist et al.  
Bloomington: Indiana University Press;
- დეიკ 1989: Дейк ван Т.А. Язык. Познание.  
Коммуникация. М.;
- დელიოზი 1995: Делез Ж. Логика смысла. /  
Пер. с фр. Я.Свирского. М.;
- დელიოზი 1993: Делез Ж. Платон и симу-  
лякр. // Новое литературное обозрение.  
М., N 5;
- დელიოზი 1992: Deleuze G., Guattari F. A  
Thousand Plateaus: Capitalism and Schi-  
zophrenia. / Tr. by B.Massumi. London;
- დერიდა 1981: Derrida J. Dissemination. / Tr. by  
B.Johnson. Chicago;
- ეკო 1991: Eco U. Semiotics and the Philosophy  
of Language. London;
- ეკო 1991: Eco U. Theory of semiotics.  
Bloomington;
- ეკო 2004: Умберто Эко, Открытое произ-  
ведение, Санкт-Петербург;
- ელიოზი 2007: თომას სტრენზ ელიოზი, ათი  
ესეი (თარგმნებს პაატა და როსტომ ჩხეი-  
ძეებმა), თბილისი;
- ეპშტეინი 2000: М. Эпштейн. Однословие  
как литературный жанр. Континент,  
#104;
- ეპშტეინი 2004: М. Эпштейн. Знак пробела.  
О будущем гуманитарных наук. М.:  
Новое Литературное Обозрение;

- 
- зәңгәрдәрә 1993: Вайсгербер Л. Родной язык и формирование духа. - М.;
- зәләрә 1994: Үзүүлүс жылдысы, (тәр-  
гымба ბაჩანა ბრәгзыфұғ), тәбиғиесі;
- зөтгәбәттәбә 2009: Витгенштейн Л. Логи-  
ко-философский трактат / Пер. с нем.  
Добронравова и Лахути Д.; Общ. ред. и  
предисл. Асмуса В. Ф. — М.: Наука;
- зөтгәбәттәбә 1994: Витгенштейн Л. Фило-  
софские работы / Пер. с нем. М. С. Коз-  
ловой и Ю. А. Асеева. Ч. I. — М.:  
Гnosis;
- зәңбіркәндә 1997: Вежбицкая А. Язык. Куль-  
тура. Познание. М.;
- зәңбіркәндә 1999: Вежбицкая А. Семантичес-  
кие универсалии и описания языков. М.;
- зәңбіркәндә 1999: А.С. Выготский, Мысле-  
ние и речь, Москва;
- оңбәтәзә 1999: Иванов Вяч. Вс. Очерки по  
предыстории и истории семиотики //  
Иванов Вяч. Вс. Избранные труды по  
семиотике и истории культуры. Т. 1. М.;
- оңбәтәзә 1985: Иванов Вяч.Вс. Бессозна-  
тельноое, функциональная асимметрия,  
язык и творчество (К постановке воп-  
роса) // Бессознательное: природа,  
функции, методы исследования. - Т. IV.  
- Тбилиси, 1985. - С. 254-259.
- оңтәбәзә 1975: Р. Якобсон, Лингвистика и  
поэтика, Москва;
- оңтәбәзә 2001: Якобсон Р. Семиотика ли-  
тературы // Семиотика: Антология. М.,  
Екатеринбург;

- 
- იელმსლევი 1999: Ельмслев Луи. Пролегомены к теории языка. Пер. с англ. Ю.К.Лекомцева // Зарубежная лингвистика.1. М.;
- კარნაპი 1959: Карнапп Р., Значение и необходимость, пер с англ., М.;
- კასირერი 1983: ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი? (თარგმნა ლამარა რამიშვილ-მა), თბილისი;
- კვარაცხელია 1995: გ. კვარაცხელია, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბილისი;
- კრისტევა 2004: Кристева Ю. Избранные труды: Разрушение поэтики. М.;
- კრისტევა 1986: Kristeva J. Semiotics: A Critical Science and/or a Critique of Science. //The Kristeva Reader. / Ed. by T. Moi. New York;
- კრისტევა 2004: Кристева Ю. Избранные труды: Разрушение поэтики. Пер. с фр. — М.: РОССПЭН;
- ლაიონბზი 2003: Лайонз Дж. Лингвистическая семантика: Введение. Пер. с англ. — М.: Языки славянской культуры;
- ლოტმანი 1972: Лотман Ю. М. Анализ поэтического текста. Л.;
- ლოტმანი 1970: Лотман Ю.М. Структура художественного текста. М.;
- ლოტმანი 1972: Лотман Ю.М Анализ поэтического текста: Структура стиха. Л.;
- ლოტმანი 1977: Лотман Ю.М. Семиотика культуры и понятие текста // Русская

---

словесность. От теории словесности к структуре текста: Антология. М.;

ლოსევი 2008: А. Ф. Лосев, Вещь и имя, Самое само, Санкт-Петербург;

მამარდაშვილი 2000: Мераб Мамардашвили, Эстетика мышления, Москва;

გეტაფორის თეორია 1990: Теория метафоры. М., 1990.

მორისი 2001: Ч. У. Моррис, Основания теории знаков, в кн: Семиотика, антология, Екатеринбург;

მორისი 1983: Моррис Ч. Из книги «Значение и означивание»: Знаки и действия. // Семиотика. М.;

მორისი 1964: Morris Ch. Signification and Significance: A Study of the Relations of Signs and Values. Cambr. (Mass.);

გეჩკოვსკაია 1998: Н. Б. Мечковская, Язык и религия, Москва;

პირსი 2000: Ч. С. Пирс, Избранные философские произведения, Москва;

პოსტმოდერნიზმი 2002: Постмодернизм: новая магическая эпоха, Харьков;

ჟენეტი 1998: Женетт Ж. Фигуры: В 2 т. М., Т.1–2;

რიფატერი 1984: Michael Riffaterre. Semiotics of Poetry. Bloomington: Indiana University Press;

სემიოტიკა 2001: Семиотика: Антология: Сборник работ (сост. Степанов Ю.С.) М.: Академический Проект; Екатеренбург: Деловая книга;

- 
- Նյուիրո 2003: Эдвард Сепир, *Статус лингвистики, как науки*. В кн: Языки, как образ мира, Москва-Санкт-Петербург;
- Նյուիրո 1993: Сепир Э. Избранные труды по языкоznанию и культурологии. М.;
- Առևոյրո 1977: Фердинанд де Соссюр, Труды по языкоznанию, Москва;
- Ծովորոցո 2001: Тодоров Ц. Семиотика литературы // Семиотика: Антология. М.; Екатеринбург;
- Սոլորասո 1990: Ф. Уилрайт, *Метафора и реальность*, В кн: Теория метафоры, Москва;
- Սորյո 1960: Уорф Б. Л. Отношение норм поведения и мышления к языку. — В сб.: Новое в лингвистике, вып. 1, М.;
- Սևյենցո 1995: Успенский Б.А. Семиотика искусства. М.;
- Վյժբյու 2006: Владимир Фещенко, Autopoetic, как опыт и метод или о новых горизонтах семиотики; В кн: Семиотика и авангард, Москва;
- Վլորյենցո 2000: Флоренский П.А. Анализ пространственности <и времени> в художественно-изобразительных произведениях.// Флоренский П.А., священник. Статьи и исследования по истории и философии искусства и археологии. — М.: Мысль;
- Վրաբցյու 1990: Французская семиотика: От структурализма к постструктурализму. М.;

---

Зиңдер 1993: Хайдегер М. Время и бытие. М.;

Зүмбөлдөгү 1984: Гумбольдт. Избранные труды по языкознанию. М.;

## შინაარსი

შესავალი .....	5
ნიშნის პრობლემა სემიოტიკაში .....	7
სემიოტიკა და პოეზია.....	15
სემიოზისი პოეზიაში.....	18
სემიოზისი და ავანგარდი.....	21
პოეზიის ლაბირინთებში .....	23
„შინ“ და „გარეთ“ პოეტურ დისკურსში.....	27
მე-ს სემიოტიკა .....	31
შორისდებულთა სემანტიკა .....	40
სიტყვა აზრის ძიებაში ანუ ვარსკვლავების პოეტიკა (ანა კალანდაძის პოეზია) .....	46
ლირიკული გმირის იდენტიფიკაცია ანუ კონცეპტი სისხლი (მუხრან მაჭავარიანის პოეზია).....	66
კონცეპტი სისხლი .....	66
კონცეპტი სისიხლი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში.....	72
თოვლის სემანტიკა .....	88
ცა და მიწა _ სულისა და ხორცის მეტაფორა.....	95
ენის ფასცინაციური (მაგიური) ფუნქცია და ნისლის სემიოტიკა.....	100

---

პოეზია და მაგია.....	100
ნისლის პოეტიკა.....	108
ნისლის გზა ქართულ პოეზიაში.....	112
სემიოტიკური ესსე „ფუმილის ნაკრძალებში“ (გუჩა კვარაცხელიას ვერცლიბრი).....	123
მზის სემიოტიკა პოეზიაში .....	133
ორი მზე - მიყროეოსმოსი-მაკრო- კოსმოსი .....	133
„მზე-თვალი“ - უნივერსალური სემან- ტიკური ფორმულა ქართული ენის ლექსიკაში .....	137
ქართული პოეტური მზე.....	142
მზე - ღვთაება, უფალი, უზენაესი.....	142
მზე - ადამიანი .....	146
მზე - სატრიუ (მზე _ სიყვარული) .....	147
მზე - ღრი, აღგილი, ინდივიდუალობა.....	149
მზე - საქართველო .....	152
მზე - სასმელი .....	153
მზე - სიცოცხლის სიმბოლო („ხმით ნატირლები“).....	154
მზის ინდივიდუალური პოეტიკა.....	157
რეზიუმე ინგლისურ ენაზე .....	162
ბიბლიოგრაფია .....	173

დაქაბადონება და  
გარეკანის დიზაინი თინათინ ბერბერაშვილი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge